ალაკის

თ ფ ი ლ ი ს ი



წელიწადი პირველი

№ XII

აგვისტო, 1898

თფილისი

Тип. М. Шарадзе и к°. ник. 21. || სტამბა შარაძისა და კომ., ნიკ. № 21.

1898

შინაარსი.

განყოფილება

I

		33
I	ნატვრის თვალი, ლექსი .	1
II	მოგვაკვდავის ჩვენება, ლექსი .	3
III	წერილი თავ. ი. მაჩაბლის გამო .	13
IV	მე და ჩემი პენცია .	28
V	უბრალო საუბარი .	39

განყოფილება

II

I	მიმკვლევა, ლექსი .	1
II	სტუმრები, ლექსი .	3
III	განთიადი, ლექსი .	4
IV	ჯალარა, ლექსი .	6
V	თემურ-ლენგის ტყვე, ლექსი .	8
VI	ახლანდელი სიმღერა, ლექსი .	12
VII	შეცდომა, ლექსი .	13
VIII	ყარიბი, ლექსი .	—
IX	ბუთაისი, ლექსი .	15
X	ხალხური, ლექსი .	17
XI	მცირე ლოცვა, ლექსი .	18
XII	გამოცანები, ლექსი .	19
XIII	ალბომში, ლექსი .	21
XIV	ბ....ს, ლექსი .	22
XV	ავადმყოფი მგოსანი, ლექსი .	24
XVI	მწუხრი, ლექსი .	25
XVII	ნეიტრალი, ლექსი .	28

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ

ᲗᲕᲘᲣᲠᲘ

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

№ XII

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1898

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ

Тип. М. Шарадзе и к°. пик. 21. || ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲛᲑ., ᲜᲘᲙ. № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Сентября 1898 г.

შინაარსი.

განყოფილება

I

			გვ.
I	ნატვრის თვალი, ლექსი	. . .	1
II	მოგვაკვდავის ჩვენება, ლექსი	. . .	3
III	წერილი თავ. ი. მაჩაბლის გამო	. .	13
IV	მე და ჩემი პენცია.	. . .	28
V	უბრალო საუბარი	. . . .	39

განყოფილება

II

I	მიმკვლევა, ლექსი	. . . . .	1
II	სტუმრები, ლექსი	. . . . .	3
III	განთიადი, ლექსი	. . . . .	4
IV	ჭალარა, ლექსი	. . . . .	6
V	თემურ-ლენგის ტყვე, ლექსი	. . .	8
VI	ახლანდელი სიმღერა, ლექსი	. . .	12
VII	შეცდომა, ლექსი	. . . . .	13
VIII	ყარიბი, ლექსი	. . . . .	—
IX	ჯუთაისი, ლექსი	. . . . .	15
X	ხალხური, ლექსი	. . . . .	17
XI	მცირე ლოცვა, ლექსი	. . . .	18
XII	გამოცანები, ლექსი,	. . . .	19
XIII	ალგომეში, ლექსი	. . . .	21
XIV	გ....ს, ლექსი	. . . . .	22
XV	ავადმყოფი მგოსანი, ლექსი	. .	24
XVI	მწუხრი, ლექსი	. . . . .	25
XVII	ნეიტრალი, ლექსი	. . . . .	28

XVIII ქართველი ქალი, ლექსი . . . 30
XIX ქრისტე აღდგა, ლექსი 32
XX მესტვირე რას ამბობს? ლექსი . . 33
XXI სამი დრო, ლექსი 34
XXII ხატის წინ, ლექსი 35
XXIII * * * ლექსი 36
XXIV რამ მომარჩინა? ლექსი . . . 37
XXV მღერალ ქალს, ლექსი . . . 38
XXVI პასუხი, ლექსი.. 39
XXVII პანორამა, ლექსი. 42
XXVIII სამძიმარი, ლექსი. 52
XXIX თვალებო! ლექსი. 54
XXX მახვილი თუ ინდუსტრია?! ლექსი. . 55

განყოფილება

III

I ცივების ლექსი, ჩაწ. სოსიკო მერკვილაძისაგან. 1
II ხათაგანი და შვათაგანი, ზღაპარი, ჩაწ. თ. ძველაიასაგან. 5
III ოქრუა, ზღაპარი, ჩაწ. ს. მერკვილაძისაგან. 17
IV ხალხური ლექსები, შეკრებილი და ჩაწ. სოსიკო მერკვილაძისაგან. . . . 27
V ხალხური ლექსები, კახეთში შეკ. ზ. ჩხიკვაძისა 37
VI ვეზირის მამა, ზღაპ. ჩაწ. ა. მაჩაბლისაგან . 51
VII მედაირე, ზღაპარი ჩაწერილი მერაბიშვილისაგან. 56
VIII ას-თოქრამეტი წლის მოხუცი, ჩაწერილი ს. მერკვილაძისაგან. . . . 60
IX განცხადება. 62

ნატვრის-თვალი.

დილას რიჟრაჟსე გავედი
საძებნად ნატვრის თვალისა;
ჩემ ბედს მივენდე, იმედიც
მქონდა სულ-ხორცის ძალისა.

ხან იქ მივაწედი და ხან აქ,
დაქანცულს სული მხდებოდა...
სადაც ვგონებდი მვირფას თვალს,
იქ მხოლოდ სიბი მხვდებოდა.

საღამოს შინვე დავბრუნდი
იმედ-მიხდილი, ძალ-მკვდარი!...
დღის აღარ მწამდა ოცნება
და ბნელი ღამის სიზმარი!..

კერას მივუჯექ, დაგკვესე,
ცეცხლი ავანთე ჭრიალა
და ბედმაც მამა-ბაბის გზით
წაღმავე ძომატრიალა:

მე რომ საუნჯეს ვეძებდი,
გარეთ გაჭრილი, ტანჯული,
თურმე, ის შინვე ეოფილა
კერას ძირშივე ჩაფლული.

—

ჩვენ ძველებს შეუხვევიათ,
შეუკრავთ მზე და მთვარითა;
ისტორიული სარქველიც
დაუბეჭდიათ ჯვარითა.

—

ამ ქვეყნის მსხვერპლად დაუდევთ,
და საიმქვეყნო წინდათა...
ის არის ჩვენი სიმდიდრე!...
დიდება!!.. წმინდა-წმინდათა!..

—

და მხოლოდ იმის მასლობლად,
(ვიტყვი მე აღსარებასა)
ქართველის გული შვებას გრძნობს
და სული ნეტარებასა!!.

მომაკვდავის ჩვენება.

სიკვდილ-სიცოცხლის შუა მდებარეს,
როდესაც სული ხორცს მეურებოდა,
ცოდვილი ქვეყნის გამოთხოვება
მე მაინც კიდევ მენანებოდა!..

—

რასაც სიყრმიდან თვალი და გული
შეთვისებია და შეჩვევია,
გონება კვეშირს ვედარ გაუწყვეტს,
სიცოცხლეც მისი მონა და ტყვეა!!

—

ვიტანჯებოდი, ცრემლების ნაცვლად,
ჭირის ოფლშიდა ვიწურებოდი...
მიწა მტოებდა... ცა მიწოდებდა
და მე კი ვერც ერთს ვედარ ვსწვდებოდი.

—

არც აქეთ ვიყავ და ადარც იქით
მე, ორთა შუა გამოხიდული;
უჩინარ ბეწვით ოდნათ დაბმული
ხორცი უსულოდ, უხორცოდ სული!

—

უცბათ გაიხსნა ცა, მოელვარე
მადლათ ნათელი გადმოეფინა
და თანვე მოჰყვა ხმა ზეციური;
„აჰა, ოსსანა მაღლთა შინა!“

—

ნათლის სვეტებზე ნათლისვე კიბით
გადმოექცნა ძირს ანგელოსი;
სხივით ნაქარგი თვით ელვარება
იყო იმისი წმინდა სამოსი.

—

მომიახლოვდა მანუგეშებლად,
ცისა და ქვეყნის შუა-მავალი.
დამიდგა მარჯვნით... მისმა შვენებამ
მომხიბლა სრულად და მომჭრა თვალი.

—

ამ დროსვე ერთად შეიძრა მიწაც,
ქვესკნელმა გვრგვინვით გაგვზო ბნელი
და ამოფრინდა ბოროტი სახე
სრულის დიდებით, თვით ბელზებელი.

—

იმის მედიდურ ძლიერ სახეზე
უფლება შავი ნაზით ეწერა;
დადგა ბირდაბირ ანგელოსისა
და შეუშოვრად დაუწყო მზერა.

—

„შენ აქ რა გინდა?—სთქვა ანგელოსმა—“
სამარადისოდ შეჩვენებულო!..
ურჩო მეუფის!.. და ქვეყნის მტერო!
მოუსვენარო!.. ბოროტო სულო?!!

—

განა არ იცი: ვისაც ამ ქვეყნად
ვერ შეურეია სარწმუნოება,
სიკვდილის შემდეგ რომ მიეკარო,
არ გაქვს უფლება! არა გაქვს ნება!!

—

„ვინ მოგახსენა?!.. ჯერ ჩემ უფლებას
ვერ გაეაქარწულებ შენ ასე ჩქარა!..
ჩვენ-ჩვენ საზღვარზე ვდგევართ ისევე!“
—სთქვა ბელზებელმა! გადიხარხარა!

—

„ჯერ სანამ სული ხორცს არ გაჭურია,
არ დამკარგვია უფლება და დრო!..
უკანასკნელად ერთს კიდევ ვსინჯავ,
რომ მაგის სული მოვინადირო.

—

და ხელის შეშლა თუ შეგიძლია,
იხმარე შენი გრძნობა-გონება,
რომ მოანტრო ის ზეციური
საოცნებო რამ ეოფა-ქონება.

—

მეც გამოვიჩენ ჩემ ძალერებას
სათვალ-და-თვალოს და ხელ-შესახებს
და მაშინ ვნახავთ: ამ ორში, ამა,
რომელს აირჩევს? და რას აიდებს?

—

შენ შეგიძლია წაართვა სული!
მე შემიძლია, რომ დავუბრუნო!
შენ სხვის მოსათ ხარ კარზე მოსული
და მე კი მმონებს თვით საუკუნო!!.

ანგელოსი

როდემდის?

ბელზებელი

სანამ არ მოიშლება
ქვეყანა მისის შვენიერებით,
არ მუავს მეტოქე, მოპირდაპირე,
არც მოხერხებით არც ძლიერებით!

ანგელოსი

კი, მაგრამ ეგ ხომ დროებითია?
„მეორეთ მოსვლის“ არა გაქვს შიში?

ბელზებელი

საუკუნეთა საუკუნოებს
არა აქვთ ზომა და ანგარიში.
„მეორეთ მოსვლა“ ისე შორს არის,
რომ მაზედ ფიქრი არს უგნურება.

ანგელოსი

რასაც ოდესმე ბოლო მოელის
არ არის სრული ის ნეტარება.

ბელზებელი

ბევრჯელ წამიც კი ბედნიერების
საუკუნოზედ უტკბილესია!...
მეც მომავალი ჩემი სიმწარე
აწმეოს სიტკბოში ჩამიდესია!!

—

ამას ვჯერდები და მომავალი
მე დამითმია თქვენთვის საკუთრად, —
ჩემთვის შავ-ბუნდათ წარმოსადგენი
და თქვენთვის რადაც ნათელ-ვარდის ფრად.

—

თქვენ აწმეოსა სცვლით იმ მომავალში
მე მომავალზე აწმეოს არ ვჭვიდი!..
ვინ მოსტეუვდება ჩვენში ვინ იცის?..
სულ სხვა-და-სხვა გვაქვს ჩვენ გზა და ხიდი:

—

შენ მარჯვნივ იწვევ ადამის შვილებს
მე იმათ მარცხნიო ვეპატიჟები!
არჩევანი კი იმათ ხელშია
და ნუ გასჯიან როგორც გიჟები!.

—

სადაც ერჩიოთ იქით წავიდენ!.
ა, მაგალითი ახლაც თვალ-წინ გვაქვს:
ამ მომაკვდავთან მოვსულვარი ერთად
და ჭირის უფლად ვადგიავართ მას თავს.

—

შენ სულ სხვას ურჩევ და მე კიდევ სხვას!
არა სჯობს, ვკითხოთ მაგისვე სურვილს:
სიცოცხლეს ირჩევს ჩემი შეწევნით?
თუ შენი რჩევით სანატრელ სიკვდილს?

—

სთქვი: რას ჭვირდები?

ანგელოსი

განსასვეჩებელს
სად არც ურვაა, არც მწუხარება!
და ხორც-შესხმულიც ვერ წარმოიდგენს
თუ რა ტკბილია ის ნეტარება!!.

—

მახლობლად დგოისა, წმინდათა შორის,
ანგელოსთ გუნდში გამორეული,
ციური ძალით გაიმსჭვალება
ვალ-გალახდილი სპეტაკი სული!

—

ამიერიდან უკუნისამდე
არ მოეშლება ის ნეტარება...
მაშინ როდესაც შენი დიდება
ამ ქვეყანასთან ერთად გაქრება.

ბელზებელი

წედანაც გითხარ, უფარსაგა
ეგ საოცნებო რამ მოგონება:
მაგის სიშორეს ვერ წარმოიდგენს
ჭკუათა-მეოფლის გრძნობა-გონება.

—

და მე მით უფრო... რაც დღეს ხელში მაქვს
განა გიჟი ვარ, რომ შეველიო?
ნათქვამი არის: „ხვალინდელ ქათამს,
კვერცხი სჯობია დღევანდელიო“.

ანგელოზი

ჩვენსას თუ სწუნობ, ახლა შენი სთქვი:
რა უფლება გაქვს? რა შეგიძლია,
რომ ამ მიწის შვილს შენ მიანიჭო?

ბელზებელი

რასაც კი მომოხოვს!.. სულ ადვილია!

ხანგრძლივ სიცოცხლეს და ტანმთელობას
სიბრძნე-სიმდიდრეს და ძალიერებას!..
სიჭაბუკესაც, რომ სიუვარული
უგვირგვინებდეს ბედნიერებას.

—

და ამას გარდა, ზედ მეტად კიდევ
მცირე სურვილიც ვალად მედება;
ეოფლის შემძლები, ვიქნები მონა
მაგისი! სატვრა არ მოაკლდება.

—

ეს რომ სთქვა მერე მე მომიბრუნდა:
„აწ მოიკრიბე შენი დონეო
და აირჩიე რომელიც გინდა!..
რაცა ვსთქვით შენც ხომ გაიგონეო?“

—

რომ მოგისმინე იმათი ბჭობა,
უჩვეულობით გაკვირვებულმა,
ადარ ვიცოდი რა უნდა მექნა!..
ძგერა დამიწყო ორჭოფად გულმა:

—

ზეცის შელეკვას ვერა ვბედავდი
და ეს ქვეყანაც მენანებოდა!..
სიტკბო-სიმწარის შუა ვიყავი,
სული შეფოთავდა, ხორცი დნებოდა.

—

ბოლოს გავბედე ხმის ამოღება
და დავეკითხე მათ მორიდებით:
„ჩემგან რას ითხოვთ სამაგიეროს,
იმის სასყიდლად, რასაც მბირდებით?

—

სთქვა ანგელოსმა: „მხოლოდ იმას გთხოვ,
რომ არ დაჭკარგო შენ სასოება
და ხრწნილებადი შენი სხეულის
არ მოინდომო ამაოება!“

—

ბელზებელმაც სთქვა: “ბევრს არც მე ვითხოვ:
რომ მოგიფსანო, უბრალოდ, გული,
მხოლოდ ფორმისთვის, ზეცის საჯიბროდ,
მერმისისათვის მომეიდე სული.“

—

ჩამაგდო ამან საგონებელში.
ადარ ვიცოდი, რა ამერჩია?
ორივე კარი ცის და ქვეყნისაც
მზა იყო ჩემთვის... ორივე ღია!..

—

ხირი ვიბრუნე ბედზებედისკენ
და მოვინდომე მისი მინდობა.
თუმცა არ მსურდა არც ანგელოსის
უარის უოფა და ზეცის გმობა.

—

შენ ხირობაზე მე მოვაწერ ხელს!
ვსთქვი — თანახმა ვარ და არც ვინადგლებ!
იმ ხირობით კი, თუ შენც შენს სიტუკას
არ გადუხვევ და შესრულებ?!

—

— ვფიცავ ჯოჯოხეთს! სთქვა. ადტაცებით
და მედიდურად გადიხარხარა!..
შეკრთა მფარველი ანგელოსიცა,
მწუხარე სახე დაბდა დახარა!!.

—

იუდას ტუავზე კაენის სისხლითა
დაიწუო, მტერმა, ხირობის წერა,
მაგრამ მარტო მის დანაბირებით,
რომ ჩემი გული ვერ შეაჯერა

—

თამამად მითხრა: მეტი რაც გინდა
შენგე მომთხოვე და აგისრულებ!
მე ჩემი სიტუვის გამტეხი არ ვარ!..
არც გავწბილდები! არც გაგაწბილებ!

—

— მართლა? მაშ კარგი! მიუმატე ეს:
რომ აწ საერთოდ ქართველი ერი,
ამაღლებული.. აჭუვავებული..
ხანგრძლივი იოს და ბედნიერი!

—

— ეჰა, ჩავწერე!. სხვა რამეც კიდევ
ჩამაწერინო გინდა თუ არა?
— რასაკვირველია, ერთიც რომ კიდევ
და მეტს არას გთხოვ.. გათავდეს! კმარა!

—

— სთქვი მალე ეგეც და გავათავოდ!
რა სურვილია ეგ კიდევ ერთი?
— რომ საქართველომ ქვესკნელი დაგმოს
მოიახლოვოს ზეცა და დმერთი,

—

რომ ქართველობამ მტკიცედ დაიბერაოს
ქრისტეს მოდგრება და წმინდა რჯული,
და მაშინ, დიახ, შენი იქმნება,
სამარადისოდ ეს ჩემი სული!!

—

შეკრთა ეშმაკი, ამის გამგონე!
არ მოელოდა ამგვარ ბირობას!.
თრთა შეეკვეცა იმის წამიერ
ამბარტავნობა-მედიდურობას.

—

გაქვავდა თითქოს, მაგრამ კანკალი
დაუწყო მხოლოდ გულმა და ხელმა.
სთქვა გუნებაში: ვაი სირცხვილო,
რომ მომატყუა ამ იმერელმა:

—

სულ რომ ტოტა ვთქვათ, დღეს ქართველების
მე ორი წილი ხომ კი მერგება.
და ამ ერთ სულში რომ ის კავუიდო
რა ჯკუა ჯრის? და რა მოგება?

—

გასტეხა სიტყვა; გაუჩინარდა,
ჩაძვრა ქვესკნელში სირცხვილეული
და მაშინ მხოლოდ ანგელოსიცა
ცაში აფრინდა გახარებული.

—

მეც გონს მოვედი, მიმოვიხედე
და იმავე წამს ოვალი მოვჭარი,
რომ მარცხნივ მიდგა დიდი მკურნალი
და მარჯვნიათ ახლოს ჩემი მოძღვარი.

წერილი

თავ. ი. მაჩაბლის გამო.

„რაღა მკვდარი და რაღა შინ მოუსვლელიო“ ამბობს ხალხური ანდაზა და ეს მწარე სიტყვები დღეს ზედ გამოჭრილი გახდენ თავ. ი. მაჩაბელზე: ეს ერთი ხანია რაც დაიკარგა, თვალსა და ხელს შუა მიგვეფარა, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ ველარა გავიგეთ რა!.. ათას ნაირი ხმები დადის, ზოგი ამბობს წყალში გადავარდა, თავი მოიკლაო, ზოგსა ჰგონია, რომ ცოცხალია და სხვაგან წავიდაო, ზოგი რას ამბობს და ზოგიც კიდევ რას. ასეა, თუ ისე, ის მაინც დაკარგული შეიქმნა მისიანებისათვის და უფრო მეტად კიდევ საზოგადოებისათვის.

ერთი რომაული ანდაზაა: „მკვდარზე ან სულ ნურას იტყვი და ან კარგი სთქვიო“, მე ეს ანდაზა არ მიჯდები ჭკუაში: მკვდრისთვის სულ ერთია გინდა ავად მოიხსენიე და გინდა კარგად! მაგრამ დანარჩენ, ცოცხლებისათვის-კი საჭიროა, რომ სამაგალითოდ მკვდარზე მიუთითონ და მისი ავიცა და კარგიც დაანახვონ!.. და ჩვენც თავ. ი. მაჩაბლის შესახებაც ამ გზას დავადგებით. რუსეთიდან რომ დავბრუნდი, ახალ-ჩამოსულობაზე, ყველგან და ყველასაგან მესმოდა, რომ თავ. გიორგი მაჩაბელს კარგი შვილები ეზდება და უმცროსი მაინც მეტად საიმედო რამ არისო: „ქართული, როგორც ხუ-

ცური, ისე მხედრულიც, ზედ მიწევნით იცის და უცხო ენებსა და საგნებსაც საზოგადოდ ადვილად იმორჩილებსო.“ იმ ხანებშივე, ტფილისში, თავ. სოლ. ერისთვის სახლში საშინაო სპეკტაკლი გამართეს. წარმოადგინეს „გაურა“ და „მონავარდისას“ როლს თამაშობდა ჯერ სულ ახალგაზდა მკვირცხლი და სიცოცხლით სავსე ი. მაჩაბელი. ის იყო ჩემგან პირველად მისი ნახვა. მაშინდელ მის სახეს, საოცრად, მაგონებს დღეს მისი ძმისწული, პატარა გიორგი, სააზნაურო სკოლაში რომ იზრდება. შვიდი-რვა წლის შემდეგ მეორედ შემხვდა მისი ნახვა პეტერბურგში სტუდენტათ რომ იყო. იმ დროინდელი სტუდენტობა სრულებით არა ჰგავდა დღევანდლისას. ახლანდელმა სტუდენტობამ წინდაწინვე იცის, რა უნდა გააკეთოს მომავალში!.. გამოზომილი და გამოანგარიშებული აქვს რისათვისაც ემზადება! „ჯერ თავო და თავო მერე კი ცოლო და შვილო“ ფიქრობს. ძველები კი იდიალისტები იყვენ, ადვილად გაიმეტებდენ თავს: ერთ უმნიშვნელო რაიმეს გულისთვის, კედელს შეეხლებოდენ, სამშობლოსთვის მოციქულ-მოწამებად ამზადებდენ თავს!. მართალია, დაბრუნების შემდეგ, უმეტეს მათგანს შუა გზამდისაც აღარ მიჰყვებოდათ ხოლმე წინ-განძრახული, მაგრამ მაინც იმ პირველ ხანებში მათი ნახვა სასიამოვნო იყო. სწორეთ ამ გვარ წრეში იყო ჩამდგარი ი. მაჩაბელიც. ერთი თვალის გადავლებით, როგორც შევატყვე, ის პირველთაგანიც იყო. „ერთი თვალის გადავლებით-მეთქი“ მიტომ ვამბობ, რომ იმ დროში პირადად დაახლოვება არა მქონია ჩვენ ახალგაზდობასთან, თუმცა საზოგადო საქმით-კი მიჯაჭვულზედაც მეტი ვიყავი!. არც მე მქონია გული მათთან მინდობილი და არც არაფრად იმათ ვეპიტნავებოდი.

ამის მიზეზები ბევრი იყო, რომელთაც ჩემ „თავ-გადასავალში“ მოვიხსენიებ. მაგრამ ერთი უპირველესი მიზეზი-კი ჩემი წინ დაუხედავი ხასიათი იყო: საზოგადო საქმის შესახებ, რაც გულში მქონდა ის ენაზე მეკრა და მტრისა და მოყვრის გარჩევა არ ვიცოდი. მე მაშინ არ მქონდა წარმოდგენილი, თუ ამითი პირადი განწყობილება ვისთანმე დაირღვეოდა!. მაგრამ საქმემ სულ სხვა დამანახვა: დღესაც ბევრს შეხვდებით იმათში, რომ ჭირივით ვეჯავრებოდე, თუმცა არაფერი საპირადო იმათთან არა მქონია-რა და შემდეგშიაც, როგორც საზოგადო საქმეში უმნიშვნელოებზე, აღარც კი მიფიქრია იმათზე. ძვირათ ვინმე მინახავს ჩვენში, რომ კერძოს, საპირადოს უფრო მაგრად არა სჭიდებდეს ხელს, ვიდრე საზოგადოს. რაც იმათ მოსწონთ პირადად, საქვეყნოთაც კარგი ისა ჰგონიათ!. და თუ ვინმე თანხმა არ გაუხდათ, შეიძულებენ, მაჩაბელს არა ჰქონია ამ გვარი ხასიათი!.. რაც მე მის შესახებ საწყენი და არა სასიამოვნო რამ მითქვამს, უთვალავია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ იმას არც ერთი გულში არ ჩარჩენია. ასი და ათასი მაგალითიდგან ორიოდეს მოვიტან აქ და ისიც საკმარისია: 1) დაბრუნდა თუ არა უცხო ქვეყნებიდან, ის მაშინათვე სათავად-აზნაურო შკოლის უფროსად გააგზავნეს. მისი მეტოქე იყო ბატ. ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც მე განწყობილება არა მქონდა, მაგრამ მაინც სიმართლემ ამაღელვა და დავიწყე ამრჩევლების ძვირი და ყველრება საჯაროდ: საზოგადო საქმეში განა ამისთანა „ჩემიან“-„შენიანობა“ იქნება?!—სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი ამ საქმეში? მაჩაბელი, შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება, ეგ ახლა მოშორდა სასწავლებლის კრებას, პედაგოგი არ

არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორ გაართმევს თავს მეთქი, მაშინ როდესაც ალ. ჭიჭინაძე გამოცდილი მაგ საგანში და თავის საკუთარი შკოლაცა ჰქონდა მეთქი?—ერთი ვინმე გავლენიან პირზე მიმითითეს: „იმან მინდომაო!..“ „როგორ თუ იმან მოინდომა?!. განა აქ საზოგადო საქმეში ბატონ-ყმობა გვიარსდება?.. არ-კი ძველებურ ბატონ-ყმობას გმობთ და კიჟინასა სცემთ და აქვე კი ინტელიგენტობაში იგივე დესპოტური, გარემოების შეუფერებელი, ბატონ-ყმობა შემოაქვსთ მეთქი“? „მოქნეული და მოზომილი ვის გაუგონიაო?.“ ნათქვამია და მეც ამ ცხარე საყვედურების დროს, თვითონ ი. მაჩაბელზედაც ბევრი რამ საწყენი შემომეხარჯა! გადაჭარბებულ რამეებს ვამბობდი, მაგრამ იმას კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ შორს კი იჭერდა ჩემგან თავს და მეც არა ვნაღვლობდი, რადგანაც ის იმ წრეში ჩადგა, რომელსაც მე არა თანა-ვუგრძნობდი.—ცოტა ხნის შემდეგ მაჩაბელმა თავის-თავად დაანება თავი ინსპექტორობას.

2) ერთხელ სადილათ ვიყავით იმასთან და სუფრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი შექსპირის შესახებ. ვანომ სთქვა: მეფე ლირი პირდაპირ ინგლისურიდან არის ნათარგმნი და კარგი ენითაც არის ქართულზე გადაღებულიო?—პირდაპირ ინგლისურიდან, რომ არის ნათარგმნი ეტყობა, მაგრამ ქართული ენა კი ძალიან კოჭლობს მეთქი. ვუპასუხე მე.—გაცხარდა. წამოვარდა ზეზე, შეიჭრა მეორე ოთახში, გამოიტანა წიგნი და დამიგდო წინ... აბა გვიჩვენე შეცდომებიო? პირველ-გვერდზევე მივუთითე. გადააბრუნა მეორე, აქაც ამოჩდა... ჩაჰყვა ამ გვარად და რომ გამტყუნდა, უკმაყოფილოდ მითხრა: „რა ვუყოთ მერე განა შენ ნაწერებში კი არ არის შეცდომები

თუო? მე სიცილი დავიწყე და ვუთხარი: აქ სიტყა ჩამოვარდა მეფე ლირზე და მეც მიტომ ვამბობ!. და როცა ჩემ ნაწერებზე გადახვალთ, რა იცით რომ აქაც არ დაგეთანხმებით?—მერე კიდევ, განა ერთის უვარგისობა, ამართლებს მეორისას? მე რომ ქართული კარგათ არ ვიცოდე, ნუ თუ სხვებმაც აღარ უნდა ისწავლონ?—ამ გვარი ბაასი ინტელიგენტური ბაასი კი არ არის, მუახლური გაქიშპებაა მეთქი". გაჩუმდა ხმა აღარ ამოუღია. 3) ჟურნალ „ივერიის" რედაქტორის მაგიერათ რომ იყო, მაშინ მე საქმის გამო მივედი მაჩაბელთან. ის შეწუხებული დამხვდა და მითხრა: ახლა მაგის თავი აღარა მაქვს. ისეთ გუნებაზე ვარ, რომ თავ-ტანის აღარა გამეგებარაო? ვიცოდი რა მიზეზიც იყო. მეწყინა და ვუსაყვედურე: „მერე და არც კი გრცხვენია, რომ მაგას ამბობ? თუ საზოგადო ასპარეზზე გამოსულხარ, წვრილმან რამეებს რათ გადაჰყოლიხარ?! გულის გადაყოლა ნაცარ-ქექიობა და ლაჩრობაა!—და სხვას მაინც რათ ეღობები საზოგადო გზაზე მეთქი?.." მოგვივიდა ლაპარაკი. არ მივხედე, რომ ცუდ-გუნებაზე იყო და მწარედ ველაპარაკე. საოცრად შეიმაგრა თავი და ეს კი მითხრა მხოლოდ: რა გინდა, რომ ჩემ სახლში მოსულხარ და მოსვენებას აღარ მაძლევო?—რედაქცია შენი სახლი ნუ გგონია-მეთქი მივაძახე და გამოვბრუნდი. მეორე დღეს თვითონ მოვიდა ჩემთან და მითხრა: გუშინ არეულ გუნებაზე ვიყავი და საწყენი ხომ არაფერი მითქვამს შენთვის? გამიკვირდა, მით უფრო, რომ დამნაშავე მე თვითონ ვიყავი, რადგანაც უდროვო დროს, იმას რომ თავის საკუთარი დარდები აწუხებდა, მე კიდევ ნუგეზალს ვუჩხიკინებდი!.. ამ გვარი შემთხვევა, არავისთან იმდენი არა მქონია, რაც მაჩაბელთან, მაგრამ წარმოი-

დგინეთ, რომ არა თუ გადამმტერებია სხვებსავით, პირიქით დიდი პატივის მცემელი იყო ჩემი!.. ეგება იკითხოს ვინმემ: ან მაჩაბელი რათ ივიწყებდა ამ ხშირ უსიამოვნობას და ან აკაკი რათ აცივდებოდა ისე მაჩაბელსო?.. მაჩაბლის რა მოგახსენოთ და მე კი ჩემს პასუხს გეტყვით: კერძო, საპირადო მეგობრობა სხვა არის და საზოგადო კიდევ სულ სხვა!. ბევრი ვინმე გვყავს მისთანა ნათესავი თუ ნაცნობი, რომელიც სულსა და გულს გვირჩევნია. ვენდობით გვიყვარს და უმათოთ ცხოვრება გვეძნელება!.. მაგრამ იმავე დროს ესენი, საზოგადო-საქმეების შესახებ, სულ სხვა აზრისა და მიმართულების არიან. თვითონ სულ სხვა რჯულისანი იყონ, ჩვენი თანაგრძნობა საზოგადო საქმეში არ ეხერხებათ!. აგრევე გვყვანან მისთანა საყვარელი კაცები, რომელნიც ეგება თვალით არც-კი გვენახოს, მაგრამ, როგორც ჩვენ თანამოაზრეებს, გულიდან ვერ ვიშორებდეთ. პირველები არიან კერძო მეგობრები და მეორე საზოგადო!..

მე, სწორე მოგახსენოთ, კერძო მეგობრებზე უფრო საზოგადოს ვეძებდი და მაჩაბელშიაც მინდოდა მეპოვნა საზოგადო მეგობარი!.. და მაშასადამე საზოგადო საქმეში მორიდება და პირფერობა, აქა და კერძოთ არა ვაწყენიო-რაო, დიდი შეცდომა იქნებოდა.—მაჩაბელსაც ასე ესმოდა ეს თუ არა არ ვიცი, მაგრამ ერთხელ კი უბრალო შემთხვევამ ყოლიფერი გამოააშკარავა!.. საზოგადოდ სამღერასა და ქართულ ლექსებს ერთი და იგივე მომხიბლავი ძალა აქვსთ!.. ძვირათ ნახავ მისთანა კაცს, რომ, იცის თუ არა მღერა, ხან-და-ხან მაინც თავისთვის არ წაიღიღინოს ხოლმე!. ძვირათ იპოვება მისთანა ქართველი, რომელსაც „ანბანი“ კი უსწავლია, რომ ლექსებიც არ დაეწეროს!!—სხვათა შორის, ერთი პოლკოვ-

ნიკი კვინიტაძე იყო, შესანიშნავი მეომარი და ვაჟკაცი. მისი დღე და სოფელი სულ ბრძოლის ველზე ჰქონდა გატარებული. ჩემი ნაცნობი იყო და ძალიან სურვილი მქონდა, რომ მისგან ბევრი რამ გამეგონა სამხედრო საქმეების შესახებ, მაგრამ ის, როგორც კი მნახავდა მაშინვე ლექსებზე ჩამოაგდებდა საუბარს! მე რომ, მაგალითად, არღუთაშვილზე, ან ანდრონიკაშვილზე დავუწყებდი გამოკითხვას, ის მაშინათვე მომაძახებდა: „როგორ არა!.. როგორ არა!.. ძალიან ვაჟკაცი იყო და მიტომაც მე ეს ლექსი დავუწერეო!“ და მოჰყვებოდა ხოლმე აღტაცებით მისი ლექსის კითხვას!.. ერთხელ რედაქციაში შემოვიდა და შემოიტანა მისი ლექსები. მაშინ „დროება“ მაჩაბლის ხელში იყო გადასული. ჩვეულებრივად აღტაცებით დაიწყო კითხვა. მაჩაბელი აჩქარდა. შევატყვე, უნდოდა, რომ გაეწყვეტინებია კითხვა და ეთქვა: „არ ვარგაო!“ მაგრამ მე დავასწარი და მოვუწონე ავტორს. მაჩაბელმა გაოცებით შემომხედა და აღარა სთქვა რა. ჩემმა მოწონებამ ისე გაუკეთა კეული მოხუცებულ მოლექსეს, რომ მის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რომ გაათავა კითხვა: „ვიცოდი რომ მოგეწონებოდათო და ღმერთმა მოგახმაროსთ „ფეშკეშ!“ მომირთმევია თქვენთვის და დაბეჭდეთო“!.. რედაქტორს სახეზე სასოწარკვეთილება დაეტყო, მაგრამ ისევ მე მიუბრუნდი და დიდის ბოდიშით მოვახსენე: „შვენიერი, საუცხოვო ლექსებია მაგრამ ის შეჩვენებული ცენზურა არ გაუშვებს მეთქი! ერთი ორი ვოენურად დაუკურთხა ცენზორებს და ლექსები კი მაინც ჩვენ დაგვიტოვა სახსოვრად!..

იმ საღამოსვე სანდრო ყაზბეგმა წაგვიკითხა ლექსები და დავცინე, საცინლად ავიგდე... რადგანაც სანდრო-

საგან ბევრჯელ გაგვიგონია, რომ ცხვრებს უდექიო ბევრჯელ სოველ-მიწაზე ვგდებულვარ და ერთხელ კბილი ლურსმანით ამოვიგდეო და სხვაც ბევრი რამ ამ გვარი. მეც მის ლექსებს ბოლოში, იქვე ხელათ, მოვაწერე მისებური პაროდია:

„ცხორში გაზდილო ვაჟაუ:
სოველ მიწაზე გდებულო!
ფოთოლ ტაშ დააკვრევინე,
ლურსმან კბილ ამოგდებულო!..

ეს ისე ეწყინა სანდროს, რომ მეტი აღარ შეიძლება. წაიღო ლექსები და მათი დაწუნებაც ზემ სიხარბესა და შურიანობას მიაწერა. მარტო რომ დავრჩით, მაჩაბელმა მითხრა: საკვირველი კაცი ხარ ჭეშმარიტად: ხან ასე ხარ და ხან ისე!.. შენსას კაცი ვერას გაიგებს!— დღეს ის მოხუცებული კაცი მოატყუე... უქე, მისთანა რამ, რომელიც საქები არ იყო და ახლა კი, ყაზბეგს უწუნებ ლექსებს მაშინ, როდესაც მაინცა და მაინც დასაწუნი არ არის!..

— კვინიტაძეს— ვუპასუხე მე— თავისი პური მოუჭამია. დღეიდან აღარც ავათ არგია საზოგადოებას და აღარც კარგად, რომ მაგის ლექსებს რამე დამოკიდებულობა ექნეს საზოგადოებასთან. ახალ-გაზდა კაცი რომ ყოფილიყოს დიახ ვეტყოდი: არ ვარგია შენი ლექსები! ტყულა ნუ ჰკარგავ დროს და სხვითი რამეთი, რაც უფრო გეხერხება, მითი ემსახურე ქვეყანასათქო. მაგრამ დღეს მაგ მოხუცებულს საზოგადოებისათვის რაღა სამსახური მოეთხოვება კიდევ?.. და მერე ისიც კიდევ მწერლობის მხრივ? კერძოთ კი, თავისთვის, ლექსებსა სწერს, გულს აყოლებს და სიამოვნებს, მოსწონს თავისი შრომა, ისე როგორც ყოველ დედას მოსწონს თავისი შვილი,

გინდ მახინჯი იყოს, და მე რათ მოუწამლო ტკბილი ოცნება!.. ის რომ სიტყვით ვასიამოვნო, ამითი ვის რა დააკლდება? და ან საზოგადოდ რა გაფუჭდება?

— კი მაგრამ მოტყუება, იგივე საცინად აგდება არ არის დარბაისელი კაცის?.

— ნეტავი, თუ კი მაგითი არა გაფუჭდება-რა და ქვეყანასაც არა დააკლდება-რა, ყველას მოტყუება ისე შემეძლოს, როგორც კვინიტაძე მოსტყუვდა!.. სიცოცხლე ისეც გამწარებულია და მეტი ნაღველი რაღათ ვისმეს გადავუსხა ზედ, როცა ამას ქვეყნის სარგებლობა არ მოითხოვს?. ერთი რუსული ანდაზაა: „ოღონდ კი ნუ იტირებს ბავშვი და რითაც უნდა თავი შეიქციოსო“ თუ საზოგადოდ არავის საგინებელი იქნება, კერძოთ, დეე, ყველამ ისიამოვნოს.. რომელი მკურნალია, რომ ავადმყოფს არ ანუგეშებს, გინდ მამაკვდავიც იყოს, და ეუბნება: გაწირული ხარო?!.

— მაშ ყაზიბეგს რაღას ერჩოდი?

— ის სულ სხვაა, ის ახალგაზდაა, ქვეყნისათვის სასარგებლოა. კარგ პროზებს რომ აღარ სწერდება, ახლა ლექსებს გამოსდგომია და მთელი დღე ჩხირ-კედლაობს!.. მე მინდა რომ იმან, რაც არ ეხერხება, იმაზე ხელი აიღოს და ისევ თავის საკუთარ გზას მიუბრუნდეს.

ეს რომ გავათავე, ვანო ჩაფიქრდა და მითხრა: ახირებული აზრისა ხარ და მიკვირს, რომ ამდენხანს ცხოვრებას ვერ გამოუცვლიხარ, ვერ გადაუკეთებიხარო!. არ ვიცი, მაგ შენ ხასიათში კეთილობა მეტი იხატება თუ ბოროტებაო?. სიცილით მითხრა და კიდევ ჩაფიქრდა. არ ვიცი რასა გრძნობდა და რას ჰფიქრობდა მაშინ ჩემზე? მაგრამ შემდეგ კი ის მოჰყვა ამ მაშინდელ ჩვენ საუბარს, რომ იმ დღემდე მე და ის კერძოთ გარეშე

ვაყავით ერთმანეთისათვის, გული არცერთს არ გვეხსნებოდა საერთმანეთოდ და იმ დღიდან კი უფრო თან-დათან ვუახლოვდებოდით ერთმანეთს და კიდევაც გავიცანი ის, როგორც საზოგადოდ, ასე კიდევ უფრო კერძოთაც. სწორეთ საუცხოოდ იყო გაზდილი: თავ-მდაბალი, ზდილობიანი, ტკბილად მიმღები და ბუნება-თანაზიარი!.. ამხანაგებისათვის თავ-დადებული, მოსისხარ-მტერსაც კი ჩელს მიაწვდენდა საჭიროების დროს!. სხვის დამნაშაობას გულში არ ჩაირჩენდა და თავის შეცდომას კი, გინდ მცირედიც ყოფილიყო, აღიარებდა და სინანულში ვარდებოდა. ადამიანის წყენას ერიდებოდა კერძოდ, და საზოგადო საქმეში კი ულმობელი იყო. საზოგადო ცხოვრებისათვის კიდევ უკეთაც იყო მომზადებული: ქართულს გარდა უცხო ენებიც კარგად იცოდი, ისე რომ თამამად შეეძლო იქიდან თარგმნა. შრომის მოყვარე იყო, მოუსვენარი, უსაქმურად ვერ დადგებოდა და ბევრის ატანაც შეეძლო. რა საზოგადო საქმესაც კი იკისრებდა, სულითა და გულით ეძლევოდა. მისგან არა თუ ღალატი, ოდნათ გულის აცრუებაც არ შეიძლებოდა. მისი დიდი წუნი ის იყო, რომ, როგორც ბუნებათანაზიარი კაცი, ზოგჯერ მეგობრების რჩევას გადაჰყვებოდა ხოლმე. ეს არ მომწონდა მე და ალბათ ამის მიზეზი იყო, რომ მე ვერიდებოდი და თუ თვითონ არასა მკითხავდა, რჩევა რაიმესი მეზარებოდა. მით უმეტეს, რომ საზოგადო საქმეების შესახებ მაინცა და მაინც რჩევი არ ეჭირვებოდა. ყოველიფერს საზოგადოს თვალყურს ადევნებდა. არ შეიძლებოდა მისთანა საზოგადო რამ მოვლინება, გინდ მცირეც ყოფილიყო, რომ იმას გულგრილად გვერდი აექციოს ⁄ თავის მხრით, ავზე ავი არ

ეთქვა, გინდ მისი მოყვრების შესახებაც ყოფილიყოს, და კარგზე-კარგი, გინდ მისი მტრების სასახელოდაც.

ამ გვარი კაცები საჭირო არიან ოპოზიციაში და კიდევაც, თვითონვე მიაგნო ამ გზას და ჩადგა შიგ.— მესამოცე წლებმა ჩვენში იქა-აქ ვარდები დამყნა, მაგრამ, სამაგიეროდ იმავე დროს, ეკალიც ბევრი დაგვითესა. ნამუშევარზე ბალახ-შამბმა გადაიარა და გამმარგლავი კი არსად იყო. ორმოცი წლის განმავლობაში, ერთი დგმა რასაც კი ამბად და არაკად გადასცემდა მეორეს, ისიც იმაზე დგებოდა და ყველა ერთად ისევ იმ ძველებურ ლათაიებს გაიძახოდენ, ზოგს „ვაშა-ვაშას“ შეღრიალებდენ და ზოგს: „ჰკა მაგას!“.

საჭირო იყო გამორკვევა, თვალების ახელა და დაკვირვებით სწორ გზაზე გავლა. ეს ეს კიდეც იკისრა მაჩაბელმა: გააჩინა ოპოზიცია. საზოგადოდ ყველგან, სადაც უნდა იყოს, ოპოზიციის პირველი ხანები საეკლო გზაა. არ შეიძლება, რომ ქვეყნის უმეტესობას, უჩვეულო მოძრაობა და მოთხოვნილება ოპოზიციის, თვალში არ ეჩხიროს და ეკლად არ ეჩხვლიტოს. ამიტომაც ყოველ-გვარი ოპოზიცია, საზოგადოდ უმეტესობის მხრით, უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე. და ცხოვრების კანონის ძალით უმისობაც არ შეიძლება: ავიღოთ, სამაგალითოდ, რომელიმე ტბა.. აუზი—სადაც დიდი ხნიდან ჩამდგარ-ჩაგუბებულია წყალი. თვითონ ტბა დამშვიდებულია მოკამკამე სარკესავით. ტბის კიდეები ამწვანებულია და სხვა-და-სხვა ყვავილებით აფერადებული. ერთი შეხედვით ეის ნახვას არა სჯობს რა და მნახველებიც კმაყოფილი არიან. მაგრამ, პოეტის თქმისა არ იყოს: „სულ ბნელია რაცა ელავსო!“ ის ტბა იტყუება: ზედა-პირი, რომ სასიამოვნოა, დაბლა, ტბის ძირში გველ-ბაყაყები ბუ-

დობენ და ათასგვარი ქვეწარმავლები ფუსფუსობენ. იქვე დალეკილი სიდამპლე და სიმყრალეა, რომელიც უხილავად სწამლავს ჰაერს და სხვა-და-სხვა გვარ სატკივარს აჩენს. უმეტესობა, რასაკვირველია, ამას ვერა გრძნობს, მაგრამ ვსთქვათ მაგალითად, რომ რამდენიმე შორს გამჭვრეტელმა კაცმა დაინახა და მოინდომა შველა. აიღო თოხი, ბარი, ნიჩაბი, და ყოველგვარი საჭირო იარაღი, მიადგა პირდაპირ კიდეს და მოინდომა მისი გაჭრა, არხის გაყვანა, რომ დიდი ხნის დაგუბებული წყალი გამოუშვას, გასწმინდოს, გაასუფთაოს და შიგ ახალი მარგი წყალი ხელ-ახლად ჩააყენოს. პირველ ხანებში, როცა ტბა დაიძვრის, რასაკვირველია, წყალიც აიმღვრევა და სიმყრალეც სუნს გამოსცემს. და ეს ქვეყნის უმეტესობას ააღელვებს და ააშფოთებს და გულ-წრფელადაც იტყვიან: ეს რა გვიყვეს ამ შეჩვენებულებმა? მოვიდენ აგვიმღვრიეს წყალი, აამყრალეს აქაურობა და ჩვენ თანაგრძნობასაც თხოულობენო?. გიჟები არიან და ოხრებიო!!. ეს დღე ადგება თავდაპირველად ოპოზიციასაც ყოველთვის, რადგან ხშირად ცხოვრებაში ზოგი რამ დაძველებული დაწესებულება, ზემოხსენებული, მატყუარა ტბა და ჰაუზია!. ეს რასაკვირველია, უნდა სცოდნოდა მაჩაბელს, მაგრამ მაინც უშიშრად გამოვიდა საოპოზიციო გზაზე. შემოიხვია გარს ახალ-გაზდები და კვირაში ერთხელ თავს იყრიდნენ ერთად, რომ საქვეყნო ავ-კარგზე ჰქონოდათ საუბარი და მსჯელობა. ეს იყო მეორე ბიჯი ჩვენ „ჩიაᲐ ცხოვრებაში, ამ ორმოცი წლის განმავლობაში. მართალია, ზოგიერთებმა დაარსებისათანავე კიჟინა დასცეს და „შავი-კაბინეტი“ უწოდეს ამ ახალ-გაზდა ოპოზიციას, მაგრამ იმან მაინც თავისი გაიტანა, როცა იერიში მიი-

ტანა სამოქალაქო საბჭოზე: თითქმის, ყველასაგან მოულოდნელად, გვირაბი გაიყვანა იმ პატარა გორაკში, რომელსაც სამოქალაქო საბჭო ეძახა და ბევრს სამართლიან რამეს კი წინ ეღობებოდა.

ამ გამარჯვებით წათამამებულმა ოპოზიციამ, ბოლოს, ერთხმად, მეტი მოინდომა და სიძნელეშიაც ჩაიგდო თავი, როცა ჩვეულებრივის იარაღებითა და ხერხით, რომელიც პატარა გორაკზე. იხმარეს, დიდ-იალბუზსაც მიადგენ გასაჭრელად... პირადად დამარცხდენ და დამარცხების მიზეზიც ეს იყო: ოპოზიციამ თავდაპირველადვე წესად შემოიღო, რომ რასაც ხმის უმეტესობა დაადგენდა, ის უეჭველად თვითოეულ წევრსაც უნდა ეკისრა და ამან ზოგჯერ იძულებული გახდა მაჩაბელიც, რომ თავის სურვილის წინააღმდეგ ემოქმედნა ბრძოლის დროს. აქ იგულისხმება საპირადო საქმეები და არა საზოგადო, როგორც, მაგალითად, ის რომ დერექტორად ამორჩევის შემდეგ, უმეტესობის სურვილს ველარ წაუვიდა და ბანკშიც დარჩა, თუმცა კი წინააღმდეგი იყო აქ დარჩენის და სხვანი... საზოგადო თვალით თუ შეეხედავთ და არა საპირადოთი, აქაც ამ დიდ-ბრძოლაში, ბანკის არჩევანების დროს, გამარჯვება მაინც ოპოზიციას დარჩა!.. სამი მხრით ძლიერი მოწინააღმდეგები ეხვეოდენ ოპოზიციას!.. თვითოეულ მათგანში სხვა-დასხვა სფერის გოლიათები იღებდენ მონაწილეობას და მაინც კიდევ, მათის სურვილის წინააღმდეგ, მაჩაბელი იქმნა არჩეული!.. ამაზე მეტი საზოგადო გამარჯვებაც წარმოსადგენათაც ძნელია.... და რაც შეეხება კერძო დამარცხებას, ის სულ სხვა არის!.. „ძალა აღმრთსაც ხნავსო“ ნათქვამია. ასეა-თუ ისე ეს ოპოზიცია კი აღარსადა სჩანსო, იტყვიან ზოგიერთები. ეს შემცდარი აზრია:

დროებით უჩინარობა სრულიად გაქრობასა და მოსპობას არ ნიშნავს;.. როცა ხნულში ნათეს ხორბალს ზეიდან შავი მიწა აყრია, ერთხანად არც ისა სჩანს, მაგრამ დროზე კი ჯეჯილად აბიბინდება ხოლმე. საზოგადოებისათვის არც ესრედ წოდებული „მაჩაბლის ოპოზიცია“ გამქრალა. და კერძოდ კი... საპირადოდ ვერ დაიყენა კარგი დღე ვერც ერთმა წევრთაგანმა და ყველაზედ მეტად კი თვით მაჩაბელმა. ძნელი ასატანია ცხოვრების მარცხი საზოგადოდ, მაგრამ მაინც არა უჭირსა იმას, ვინც ოჯახში ცოლშვილით, მოყვრებითა და მეგობრებით ბედნიერია და მაჩაბელსაც ეს ანუგეშებდა, ამხნევებდა, სანამ სნეულებამ არ დაიგდო და არ დაჩაგრა.. წელიწადი იტანჯა, მაგრამ მაინც კიდევ გაუძლო... აიტანა და თითქმის სიკეთეში რომ შევიდა, მაშინ გამოუტყვრა, გაწირულსავით, უცნაური-ბედი და თვალსა და ხელშუა დაგვეკარგა! ვფიქრობთ და ვერ წარმოგვიდგენია მიზეზი და ერთმანეთს ვეკითხებით: „რამ აიუძულა ის კაცი?“ კითხვა უპასუხოდ რჩება და ეს კი ვიცით მხოლოდ, რომ, რასაც უნდა აეძულებია, თავდაპირველი მიზეზი იძულებისა ⁄ ფესვი უბედურების, მისი საზოგადო მოღვაწეობა იყო!!. იმას ემსხვერპლა, თვარა მისის ნიჭისა და ცოდნა-შრომის პატრონს, საკუთრად რომ თავის თავზე, ცოლშვილზე ⁄ საპირადო საქმეებზე ეფიქრა, დღეს დიდკეთილ-დღეობაში იქნებოდა ჩამდგარი უმრავლესობის მოსაწონად და თუ თვითო-ოროლა ახირებულები წუნს დასდებენ, მითი მის ტკბილ-ცხოვრებას არა დააკლდებოდა რა ქვეყნის თვალში!.. მაგრამ სჩანს, რომ ასე არ ესმოდა მაჩაბელს ადამიანის ქვეყნად მოვალეობა!. საზოგადო, საქვეყნო საქმე, შეგნებული კაცისათვის, იგივე რჯული და სარწმუნოებაა, — როგორც ნამდვილ-მორწმუ-

ნე სარწმუნოებას ვერ უღალატებს, ისე საზოგადო მოღვაწეც საერო საქმეს ვერ უმტყუნებს... გინდ სამსხვერპლოთაც გაუხდეს საქმე... რა რჯულიც უნდა ეჭიროს ქართველს, მაჰმადიანის, კათოლიკის, თუ მართლმადიდებელის, მაინც მტკიცედ სდგას ზედ. ამის მაგალითი გვიჩვენეს წინაპრებმა, რომელთაც ურჯულოთა-თან ცხოვრებას თავის დადება აირჩიეს. მაჩაბელიც ქართველი იყო და დროთა შესაფერ მსხვერპლად იქმნა შეწირული. აქ რომ ზოგიერთებმა ამ ჩემ ნაწერს კუდი არა გამოაბან რა, ვარწმუნებ მკითხველს, რომ ამას არავის საწყენადა და სიპირადოდ არა ვსწერ. ჩემი სურვილია, მხოლოდ შვილებს გავაცვნო ის დაღუპული მოღვაწე, რომ მისმა შვილებმაც არ დააგდონ მამის გაკვალული გზა! თამამად იარონ ზედ, რომ მამა შვილით ითავსებოდეს და საერთო საქმე წინ მიდიოდეს.

მე და ჩემი პენსია

„ბატონის წყალობა ტალახიანი ჯოხიც კარგიაო“ ნათქვამია ანდაზათ, მაგრამ ხან და ხან კი ზოგიერთი ბატონის წყალობა ღვთის რისხვაზედაც უარესი ყოფილა. — ამას შემდეგი ზღაპარი გვიმტკიცებს: „იყო და იყო, ღვთის უკეთესი არა იყო-რა!... ურთი ჩანჩურ-ბატონი იყო ნამეტანი გულ-კეთილი და საზოგადოდ კეთილის მოსურნე, მაგრამ ცბიერ მოურავებს ისე ყავდათ ის ბატონი დაბრიყვებული, რომ მის ბრძანებას არაფრად არ აგდებდენ. ერთხელ ამ ბატონმა მოინდომა ნამსახური კაცის დასაჩუქრება და უბრძანა მოურავებს: „დღეიდან სიკვდილამდე, ამა და ამ კაცისათვის სარჩო გამიმწესებია და თქვენც გიბრძანებთ, რომ ამიერიდგან ის ჩემი ნაბოძები წყალობა მაგას, თავთავის დროზე, მალამოდ დაადვათ ხოლმე და მაგის საჭიროებას თაფლად სცხოთო!“ მოისმინეს მოურავებმა, მაგრამ რადგანაც ისე არას აკეთებდენ თუ სამოურავოს არ ირგებდნენ, ახალ დაჯილდოვებულსაც გაუტარეს სიტყვა, მაგრამ იმან შორს დაიჭირა. „თქვენ რომ წილი დაგიდვათ, მე რალა დამრჩესო?“ მაშ კარგიო — თქვეს მოურავებმა და ჩაიხვიეს გულში — ეხლა კი ჩვენ ვიცითო!. კაცნი არა ვყოფილვართ და ქუდი არა გვხურვია, თუ ვერ შეგანანებთო!..“ ჯილდოს მიღების დრო რომ მოვიდა, მოიხმეს მოურავებმა ის კაცი, გაატიტვლეს, მიაკრეს ბოძზე, თვალებზე მალამო დააკრეს რომ ვეღარა დაენახა რა და ტანზედაც თაფლი წასცხეს. დაეხვიენ სა-

ბრალოს ბუზები და კინაღამ სული ამოაძვრეს. მერე წავიდენ მოურავები და ბატონს მოახსენეს; „თქვენი ბრძანება, თქენი სურვილისამებრ ავასრულეთო: თაფლიცა ვსცხეთ და ფალამოც დავადევითო!...“ დაჯილდოვებულმა რომ და ნახა ცუდათ არის ჩემი საქმეო. და თუ მეორეთაც ასე მიყვეს, მე ველარ გადავრჩებიო, მიანება თავი ყოველიფერს და გადავარდა: არ მინდა ამისთანა წყალობაო! და მისი ხვედრი მოურავებმა გაიიაწილეს. ეს, რასაკვირველია, ზღაპარია, მაგრამ ახლა კი მისთანა ნამდვილს გეტყვით, რომელიც ამ ზღაპარზე უფრო საარაკოა: ამ ათის წლის წინეთ, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის არჩევანების დროს, ბანკის დირექტორობა მთხოვა ერთხმად კრებამ. მე ვერ ვიკისრე და მიზეზიც ავუხსენი კრებას შემდეგის სიტყვებით:

ბატონებო! უგულითადეს მადლობას გწირავთ იმ პატივისათვს, რომელიცა გსურთ მე მომანიჭოთ! საზოგადოების ამ გვარი ყურადღება ყოველ გვარ ჯილდოზედ უტკბესად და უსასურველესად მიმაჩნია, რადგან მესმის საზოგადოების ფასი და შეგნებული მაქვს თითოეულის მისის წევრის მოვალეობა.

როდესაც საზოგადოება აკისრებს მისს თითოეულს წევრთაგანს რამე მოვალეობას, რაგინდ უმცირესიც იყოს ეს მოვალეობა, წევრს მაინც ნება არა აქვს, რომ სიმდაბლითა და მორჩილებით არ მიიღოს მინდობილება, თუ კი ჰგრძნობს, რომ აღსრულება შეუძლია. სწორეთ ამ გვარ მდგომარეობაში გახლავარ მე დღეს: რომ მოგახსენოთ, ბანკის დირექტორობა ჩემს ღონეს აღემატება-თქო, ეს ჩემის მხრივ თავის მოკატუნება იქნება და არც არავინ თქვენთაგანი დაიჯერებს, მაგრამ ვწუხვარ, რომ დღეს მაინც უნდი ვეურჩო თქვენს ბრძანებასა და სურვილს შემდეგის

მიზეზების გამო, რომელთაც გულ-ახსნით მოგახსენებთ: როდესაც ამ სათავად-აზნაურო ბანკს აფუძნებდენ, მაშინ ზოგიერთი ჩემი ამხანაგი და მეც, ბათ რიცხვში ერთი უმ-ცირესთაგანი, წინააღმდეგი ვიყავით იმ პირობებით ბან-კის დაარსებისა, რა პირობებითაც დაარსდა. ამან გამოი-წვია დიდი უკმაყოფილება, რის გამოც ბევრი უსაძართლო ცილის-წამება ავიტანეთ და მრავალი უსიამოვნება ვიტ-ვირთეთ. მაგრამ ყველაზედ უფრო გულსატკენი ჩვენთვის ის იყო, რომ ზოგიერთებმა პირადობაც შეგვწამეს: ვითომ ჩვენ თვითონ გვდომებოდეს იმ ბანკში შესვლა, ანუ რო-გორც ისინი ეძახდენ, ბანკის ხელში ჩაგდება. ჩვენც ჩვე-ნის მხრით შეუპოვარის გულ-წრფელობით ბევრი რამ წა-რმოვსთქვით და სხვათა შორის ესეც: „ბატონებო, გაივ-ლის რამდენიმე წელიწადი და ჩვენი სიტყვა წინ დაგიხვ-დებათ. ამ გვარი ბანკი მძიმე უღლად დაგაწვებათ კისერ-ზე, შეგაწუხებთ, შეგანანებთ და მაშინ-კი უეჭველად ბრძა-ნებთ: არ გვეგონა, თუ ასე დაგვემართებოდაო! მაგრამ დაგვიანებული „არ გვეგონა“, სწორე მოგახსენოთ, უსა-რგებლო მალამოა წყლულისა“. თუმცა დიდმა ხანმა გა-იარა მის შემდეგ, რაც ეს წარმოითქვა, მაგრამ მაინც გვახსოვს. კერძო რამ ადვილი დასავიწყებელია, შეიძლე-ბა გუშინდელი ნათქვამი დღეს აღარ გვახსოვდეს, დღევა-ნდელი ხვალ დაგვავიწყდეს, როგორც საპირადო და კე-რძო რამ, მაგრამ საზოგადო მოვლინება-კი, გინდ მცი-რედიც იყოს, ღრმად იბეჭდება გულის ფიცარზედ, და აი, თუ რათ გვახსოვს მაშინდელი ნათქვამი. დიახ, თვალ-წინ გვიდგია ის სიტყვები, არ შეგვიძლია მისი გატეხა და ბო-დიშს ვიხდი ურჩობისათვის. თქვენ შეგიძლიანთ ჩვენივე სიტყვები მოგვიბრუნოთ და გვიბრძანოთ: „როდესაც კაცი საზოგადო სარბიელზედ გამოდის, ის მონა არის საზოგა-

დოებისა, კერძოობა-პირადობაზედ ხელ-აღებულიაო". კეთილი. მაშინ ჩვენც აღარა გვეთქმის-რა, მაგრამ მე ამ შემთხვევისათვისაც მეორე ფარი მაქვს მზად: კაცი ან უნდა არ ჰკიდებდეს ხელს საზოგადო საქმეს და თუ მოჰკიდებს, უთუოდ კიდეც უნდა მოანდომოს და შესწიროს მას მთელი თავისი გრძნობა-გონება ბ ჯან-ღონე. ტყუილი თქმაა, ვითომც შეეძლოს ვისმე ერთსა და იმავე დროს ბევრის საქმის გაკეთება ისე, რომ არც ერთს არა დააკლოს-რა. ამ გვარივეა ბანკის დირექტორობაც. სცდებიან, ვისაც ჰგონიათ, რომ არა უნდა რა ამ ხელობას გარდა სამგვარის ხელის-მოწერისაო; „დააფასეთ სხვისი მამული", „გაჰყიდეთ სხვისი მამული" და «მიბოძეთ ჩემი ჯამაგირიო". მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მაგ მოხელეობას უნდა დაუდვა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი... თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სარგებელია, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები. ეგება ბრძანოს ვინმემ, რა საქმეა მაგისთანა? ჩვენ მხოლოდ აქეთ-იქით მოუსვენრად მოარულსა გხედავთ და შენი ფეხალაგობრივი არა შეგვინიშნავ-რაო!. და მაშინ მე იძულებული ვიქნები მოვახსენო მაგალითი. მაგრამ ჯერ-კი წინდაწინვე ვითხოვ, თავხედობით ნუ ჩამომართმევთ იმ შედარებას, რომელიც აქ უნდა გამოვხატო სამაგალითოდ: შეიძლება კაცმა უმცირესი რამე უდიდესს საგანს შეადაროს ბ მეც ამ უმცირესობაზე ვაყენებ ჩემს თავს: ფუტკარი ყოველთვის დაბზუის, დაჰფრინავს იქით-აქეთ, ფეხ-ალაგობრივ მის მუშაობას ვერავინ ხედავს, მხოლოდ იმის ნამუშავრით სარგებლობენ... ის რომ ვინმემ დაიჭიროს, დაამწყვდიოს, დააბას და ის ისარიც ამოჰგლიჯოს, რომელსაც ფუტკარი ფარად ხმარობს ხელის შემშლელებზე მუშაობის დროს,

ის შეიქნება მაშინ მშვიდობიან, მოსვენებულ და უწყინარ არსებათ, მაგრამ ჩვენ-კი იმავ დროს მოკლებული ვიქმ-ნებით იმ თაფლს, რომლითაც ხანდახან პირს ჩავიგემრი-ელებთ ხოლმე და იმ სანთელსაც, რომელიც ბნელს გვი-ნათებს. ბოდიშს ვიხდი კიდევ ამ გვარ შედარებაზე და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს თავ-ხედობით არ მომღის; თუმცა იმდენად არა, მაგრამ შედარებით ცოტა-ოდნად-კი ჩემი თავი მეც პატარა, ძალიან პატარა ფუტკრად მიმაჩ-ჩნია.. ეგება შემცდარიც გახლდეთ, მაგრამ რა ვქნა, რომ მაინც დარწმუნებული ვარ და ნება არა მაქვს, რომ ამ ჩემს რწმუნებას ვუღალატო. სწორეთ დღეიდგანაც იმ უსასყიდლო გზით უნდა ვიარო, რა გზითაც აქამდე მივ-ლია, რომ უფრო მეტი სამსახური გავუწიო საზოგადოე-ბას, და აი კიდევ მიზეზი, თუ რათ ვეწინააღმდეგები თქვენს სურვილს. ცოტანი არ არიან ჩვენში რიგიანად მომზადე-ბული ყმაწვილი კაცები, გთხოვთ რომ იმათაც შეხედოთ მაგ თვალითვე, გადაიტანოთ მათზედ თქვენი გულ-წრფე-ლობა და მით გამოიწვიოთ თქვენ და სასამსახუროდ და მე-კი მაპატიოთ თქვენი ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა *).

მოისმინა თუ არა კრებამ ეს სიტყვები, ერთხმად-ვე მოისურვა, რომ ჩემთვის სანამ ცოცხალი ვიქნე-ბი დირექტორის ჯამაგირი ყოველ წლიურად პენციად დაენიშნა. სამჯერ განვაცხადე უარი მადლობის გადახდით მაგრამ, ბოლოს როცა იმავე კრებამ საყვედურსავით მი-თხრა: „ეს დაწუნებას ნიშნავსო!“ მართალია, შენი ნაშ-რომის სასყიდელი არ არის ეგ, მაგრამ მაინც ისე შე-იწირე ჩვენგან როგორც წვლილი მადლობის ნიშნა-დო“. მეც რაღა გზა მქონდა! დიდის სიხარულით მივიღე

*) „ივერია“ 1889 წ.

ჯილდო და მითი გათავდა საქმე. ეს ამბავი ყველამ დიდის ტაშის კვრითა და აღტაცებით მიიღო და, არა თუ ბანკში, ბანკს გარედაც დიდი და პატარა ყველა კმაყოფილი და თანამგრძნობი იყო!. ეს კეთილი საქმე გაზეთებშიაც კი ჩავარდა და არა თუ ადგილობრივმა და სატახტო გაზეთებმა, უცხო ქვეყნის გაზეთებმაც კი მოიწონეს ეს ბანკის კრების განაჩენი და იმერლობა ქებით მოიხსენიეს!.. მე, რასაკვირველია, კმაყოფილი ვიყავ როგორც პირადად, ისე კიდევ უფრო საზოგადოთაც, რომ ჩემ გამოისობით ისე შეამკვეს საზოგადოება და იმერეთი. როგორ შემეძლო მაშინ წარმომედგინა, რომ ბანკში მოსამსახურე პიროების წყალობით ეს ყოველიფერი სიყალბე გამოდგებოდა. მეც გავიკიცხებოდი და ჩემთან ერთად საზოგადოებაც უპიროდ დარჩებოდა მისდა უნებურად? ნახეთ მართლა რამდენი შეუძლიან სიყალბესა და ცბიერობას: როდესაც დრო მოვიდა და მეც ბანკში მივედი ხვედრის მისაღებათ, მმართველებმა შორს დაიჭირეს: ჯერ უნდა შევიტყოთ, კანონიერია, თუ არა კრების გადაწყვეტილებო? და ჰქონდა უფლება თუ არა პენციის დანიშვნისაო?!.. ამის შეტყობას, რასაკვიუველია, დიდი ხანი მოუნდენ, და ბოლოს როცა გადაჭრილი პასუხი მიიღეს: „გადაწყვეტილება და დადგინება კრებისა კანონიერია, სანამ მეორე კრებაზე არ გააუქმებენო“. დააპირეს ვითომ მოცემა, მაგრამ მათს „ჯერ არ მცალიას“ დასასრული აღარ ჰქონდა. ერთი თვე მატარეს ყოველ დღე: აი ხვალ მიიღებ, აი ზეგო და ბოლოს მახარეს: „უკაცრავად შენმა მოვალემ მოიყვანა ბოქაული და შენი ხვედრი ფულები დაკავავო!“ გამიკვირდა, რადგანაც ის მოვალე ნამდვილი მოვალე არ იყო ჩემი და მეც ხელში ბათილობის წერილი მეჭირა. სამსჯავროზე მისდგა საქ-

მე და მე მოვიგე. მეორეთ რომ მივედი მისაღებათ, მაშინ კიდევ სხვა კრედიტზე მიმითითეს: „დავრწმუნდით, რომ ის ნამდვილი იყო და ფულებიც გადავეცითო!“ საკვირველია, იურისტები იყვენ დირექტორები, ადვოკატები და ის კი არ იცოდენ, რომ ამგვარ ფულს მოვალე ხელს ვერ მოჰკიდებდა კანონის ძალით და, ჯამაგირიც რომ ყოფილიყო, მაშინაც ორი მეხუთედის მეტს ვერ წაიღებდა?! კიდევ სამართალზე მისდგა საქმე და მომრიგებელმა მოსამართლემაც დაუმტკიცა დირექტორებს, რომ შემცდარი იყვენ!., მტრის ენა რას არ იტყვის? ეს ამბავი რომ გაიგეს, ზოგიერთები ამტკიცებდენ, რომ ბანკში არიან მისთანა ავან-ჩავანები, რომელთაც ამ გვარ შემთხვევაში თვითონ მოჰყავთ კრედიტორები, როგორც კარგ მეძებრებსო. მაგრამ აბა ეს რა საფიქრებელია და ან მე როგორ დავიჯერებდი?.. მით უფრო, რომ რაღაი კი დარწმუნდენ, კრედიტორები ვერ წაიღებენო, არა თუ მათ, მეც აღარ მომცეს.—პირდაპირ მითხრეს: „საზოგადოკრება აღარ არის და უმათოდ, თუ არ მოვახსენეთ, როგორ მოგცეთო!“ „თქვე დალოცვილებო! თუ კი თქვენ იღებთ და სხვებსაც ყველას აძლევთ, არა თუ იმათ ვისაც საზოგადოება უნიშნავს, იმათაც კი ვისთვისაც საზოგადოებას არა დიუნიშნავს რა, მე მარტო ერთმა რაღა დავაშავე, რომ არ მაძლევთ-მეთქი, ვეკითხებოდი?“ და ისინიც, რომ თავი გაემართლებიათ, ერთი—მეორეს აბრალებდენ.—რამდენჯერმე დამიბარეს, მოგცემთო. ჩამიყვანდენ ხოლმე ქუთაისში, მაცდევინებდენ, მაყურყუტებდენ, უბრალო ხარჯში შევჰყავდით. ბოლოს მოახდენდენ კრებას და უარს მეუბნებოდენ და თვითონ კი იჯიბავდენ ხოლმე სხდომის ქირას. განსაცდელში ჩამაგდეს. ის დამახარჯვიეს, რაც ბანკს არ მოუცია და, სწორეთ რომ, ბუზე-

ბიც კი დამახვიეს თავზე.—ბოლოს ვიფიქრე: ეს პენცია ჩემთვის საფრთხეა და მახე, რომ კიდევ უფრო უარესს გაჭირვებაში ჩამაგდონ მეთქი და მივანებე თავი.—ხალხი კი დარწმუნებული იყო და ეგონა, რომ მე პენცია უკლისად მეძლეოდა. და ან კი როგორ არ დაეჯერებია, რომ ბანკში მოსამსახურეები ამას გაიძახოდენ და ერთხელ-ორჯელ ბეჭვდითაც გამოითქვა, რომ „ეძლევაო“.—მე ამის გამოაშკარავება, არ მინდოდა. მრცხვენოდა უფრო ის, რომ იმერეთში ამგვარი საქმეები შესაძლებელი იყო. ბოლოს შემთხვევით დეკანოზმა ლამბაშიძემ „მწყემსში“ დაბეჭდა სრული წერილი, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია ჯ მე ხელი გადავაქნიე.. მივანებე თავი ჯ როგორც პოეტმა ვსთქვი: „სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია ძველიათქო“ და გავჩუმდი. წელს, როცა ავად გავხდი და ბატ. ს. ბ. თოფურიას საავადმყოფოში ვიწექი, ერთხელ შემდეგი საუბარი შეგვექნა მე ჯ პატივცემულ დოქტორ თოფურიას:

— ჭეშმარიტად, დიდი ბედნიერი ხარ—მეუბნებოდა თოფურია—რომ ქვეყანას ასე უყვარხარ!.. ამდენი ხანია მოსვენება აღარა მაქვს: დიდი და პატარა ყველა შენს ამბავს კითხულობს!.- საიდან და საიდან არ მოდის დეპეშები?! ერთი ურემი მაქვს დაგროვებული და რომ მოიკეთებ მაშინ გადმოგცემ!.. წაგაკითხებ. მნახველებს ხომ რიცხვი აღარა აქვს... მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გიჩვენებ, რომ არ გაწყინოს აღტაცებამაო. მე ნაღვლიანად გავიცინე და ვუთხარი: რა გამოვიდა?.. ქვეყანა ისე არის შექმნილი, რომ ათასი მოყვარე ხან და ხან ერთი მტრისაგანაც ვერ გადაარჩენს კაცს. მართალია ქვეყანას ვუყვარვარ, მაგრამ ის კიდევ უფრო მიკლავს გულს, რომ ვერაფრით შემიძლია ვემსახურო ჯ სიყვარული გადავუხადო. ჩემისთანა დასნეულებული კაცი გინდ იყოს და გინდ არა!..

— მაგისი ნუ გეშინია!. ღვთის მადლით კარგად შეიქნები იმდენათ, რომ საზღვარ გარეთ წასვლა შეიძლო და იქ შეიძლება სულაც გამობრუნდე, გამომრთელდე, თუ შენს თავს მალე შეუწყვე ხელი.

— მაგას საშუალობა უნდა...

— ბანკს მივმართოთ და შეგიწყობს ხელს.

— ბანკს!.. იმ ბანკს, რომელიც მოსისხლეთა მყავს გადაკიდებული და ცხრა წელიწადი არ მაძლევს იმას რისი მიღების უფლებაც მაქვს?.

— როგორ? განა პენსიას არ იღებ? ნუ იტყვი?. ეგ კიდევ უკეთესი—გაკეთებულა ჩვენი საქმე: ახლა ერთად აიღებ და გასწევ საზღვარ-გარეთ!. ახლავე დააწერინე განცხადება. მოაწერე ხელი და გათავდა!.

— არ მომცემენ!.. გამოკლილი ვარ!!

— როგორ შეუძლიათ?. რა ნება აქვსთ წაგართვან? რა უფლებით?.

— შუბლის ძარღვის კანონით!... ერთხელაც ვიყავი ავად და ამისთანავე შემთხვევაში, რა შამომითვალა ერთმა დერექტორთაგანმა იცი? ავათ ჩვენცა ვხდებით, ჩვენცა ვკვდებით, მაგრამ საზოგადოებას კი ანგარიშს არ ვუგზავნით!. არცა ვსთხოვთო! თვითქო მე კი მოწყალება მეთხოვოს და არა ჩემი საკუთრება!..

— ეგ როგორ შეიძლება! აქ რაღაც სხვა ამბავია?! განა შეიძლება, რომ ამისთანა დროს, გინდ შენი სისხლის მსმელებიც იყონ, ხელს როგორ შეგიშლიან? შევატანიოთ დღესვე განცხადება ბანკში და ნახავ თუ ორ დღეში არ გადაგიწყვეტონ!.. ეს ჩემი საქმე იყოს მე მოვთხოვ!..

— მე კარგად ვიცი, რომ არა გამოვარა, მაგრამ რომ შენ დაკარწმუნო, ბატონი ბძანდები, შევიტანოთ ბ ენახაეთ..

მართლაც შევიტანე თხოვნა, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ყურადღებაც არავინ მიაქცია. მე რაღა მისი თავი მქონდა და ჩემთვის ჩემი მეგობრები ცდილობდენ, ერთ მათგანს უთხრეს თურმე, აგრე საქმის გაკეთება არ მოხერხდებაო!. აქ, ქუთაისში სულ სხვა წესი და რიგია, ვიდრე საზოგადოდ ყველგანო: აქ უნდა, ის კაცები, რომელთაც უნდა გადაწყვიტონ საქმე, როგორმე იშოვნოთ ცალ-ცალკე და ამისთვის საჭიროა მიმართოთ მათმათ დაახლოვებულ კაცებსო და ისინი მოახერხებენო. ამ ხანებშივე ერთმა ვინმემ, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება სავალდებულო და პირდაპირი არა აქვს რა ბანკთან რჩევა მოგვცა: თუ ნახევარზე ხელს აიღებს აკაკი ნახევარს ორ-სამ დღეში მიიღებსო, თვარა ისე არ მოხერხდებაო!. ზოგიერთმა კიდეც მირჩია, რომ დავთანხმებულიყავი, რადგანაც მეტი გზა აღარ იყო, მაგრამ ეს მე ვერ დავინახე ჩემ საკადრისად და არ ვქენი. ქრთამის მიმცემი ისეთივე დამნაშავეა, როგორც მიმღები!..

ამ დღიდან ხომ სულ აღარა მოხერხდა-რა! კვირაში ორჯელ-სამჯელ ნიშნავდა კომიტეტის თავ-მჯდომარე სხდომას, მაგრამ წევრები არ მოდიოდენ, რომ არ შემდგარიყო კრება. ოთხი თვე გასტანა ამ ოინებმა. მისთანა გავლენიან პირების მეცადინეობამ, როგორიც არიან ბატ. თოფურია, კვირკელია და სხვანი უნაყოფოდ ჩაიარა!... რამდენჯერმე ვსთხოვე, რომ არ მინდა, უარი მითხარით, მაგრამ განჩინების პირი კი მაინც მომეცით, რომ სხვები დავაჯერო, რომ არას ვიღებ ბანკიდან და კერძოთ ეგება ვინმემ გამიმართოს ხელი მეთქი. ამან კიდევ უფრო გააჯიუტათ და არ იქნა, არ შედგა კომიტეტი, სხვებისაგან რომ იშოვნოს, ეს ხომ ჩვენთვის არ ივარგებსო და სხვა. აქ მე მისი ასის თავიც არ მითქვამს რაც იყო... ყველა იმ

ხრიკებისა და მელაკუდობის გამოაშკარავება, რაც ამ უბრალო საქმის გამო იყო, არ მინდა რომ გამოვაშკარაო!.. და კალამს ვაგდებ ხელიდან!.. რაცა ვთქვი, ისიც მიტომ ვსთქვი, რომ იცოდეს საზოგადოებამ, თუ რა ამბები ხდება ჩვენ'ში?.. ჩემ შესახებ სულერთია: მოვრჩები, თუ არ მოვრჩები მაინც ბევრს ველარას გამოვადგები ქვეყანას, მაგრამ შეიძლება ამ გვარი რამ იმათაც გადახდეთ, ვინც საზოგადოებისათვის ჩემზე უფრო საჭირო და გამოსადეგი იქნებიან.. და მათ უსამართლოდ გაწირვის ნებას არ უნდა აძლევდეს ქვეყანა თვითო-ოროლ ვინმეებს!!. და მეკი მარტო „სადღეგრძელოები" და „პარაკლისებიც" მეყოფა და მისთვისაც მადლობის შემწირველი ვარ საზოგადოებისადმი.

უგრალო საუბარი

„მოლიპულ-გზაზე“

ბუნებითად ნიჭიერი და ჭკვიანი, მაგრამ გაუწრთვნელი, უსწავლელი და უმეცარი კაცი—ჯაჭვით დაბმული ლომია, რომელიც შორს ვერ წავა, ვერას მისწვდება, მაგრამ ახლო-მახლოს კი, ფეხ-ალაგობ, მაინც კიდევ ძლიერია!—აგრევე ნიჭ-ნაკლე და ჭკუა მჩატე, მაგრამ ნასწავლი და გავითარებული კაცი—თავისუფლად მფრინავი კაჭკაჭია, რომელიც შორს დაფარფატობს, ყველგან ჩხივის წარა-მარად; ხან დროზე და ხან უდროოთ წამოიძახებს ხოლმე ჩაგონებულს, მაგრამ, შეთვისებულს კი, სხვის სიტყვებს.

ეს ჭეშმარიტება ყოველთვის მაგონდება, როცა კი გავითვალისწინებ ხოლმე ერთი მხრით ჩვენს ინტელლიგენციას და მეორით სოფლელებს: პირველში შორს-მფრინავი კაჭკაჭი მეტია და მეორეში კი ჯაჭვით დაბმული ლომები. ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ ხალხს სწავლა სწყინდეს და უსწავლელობა უხდებოდეს!. არა!.. პირ-აქით დღევანდელი უსწავლელობა გვაფორხებს და გვატყვევებს.. და მხოლოდ სწავლა განათლებას შეუძლია შესაფერ-ძლიერების კალაპოტში ჩააყენოს ჩვენი ხალხი, მაგრამ, ეს კია რომ, სწავლაც არის და სწავლაც!.. ყოველ-გვარ ძუძუ-მწოვარისათვის,

მხოლოდ დედის რძეა უკვდავების წყაროსავით მარგი და სანამ მარტო მითი არ მოიზდება და არ შეიმაგრებს აგებულებას, სხვა, გარეშე რამ საზრდო მისთვის, უდროოდ მიწოდებული, მავნებელი წაქი და წათხია!

ჩვენ, დღევანდელ ქართველებს, სახლი (ოჯახი) აღარა გვაქვს, რომ დედის რძეთ მივაწოდოთ რამ შვილებს!.. ნაკარქექიად გადაქცეულები, სხვისი შემყურე-მოიმედე ვართ და იმ თავითვე მშობლიურ-ნიადაგს ვაკარგვინებთ!.. ფეხს აღარ ვადგმევინებთ, უსუსურად შეგვყავს პირ-დაპირ საკაჭაჭოში და ღვთისგან მონიჭებული, თან-შობილი ცხოვრების საგზალი, გრძნობა-გონება— სასხვისშვილოზე უობდებათ. თუ კაცი სწორი გზით არ მიდის და მიხვევ-მოხვევა ეჭირვება, ის მაშინ ან გზას დაჰკარგავს და ან გვიანობამდე ვერ მიაწევს იქამდე, სადაც მიდის.

დღეს ჩვენი ახალ-გაზდობაც უგზო-უკვლობის გამო უნაყოფოდ ხეტიალობს. აბა, დაუკვირდით! ზოგი ისე გაქარაფშუტავებულა, რომ აღარაფერს სადროვოს აღარ ადევნებს თვალ-ყურს!.. თავისი საკუთარი აღარც სმენა აქვს და აღარც მხედველობა და სხვის ჩაგონებით წამოიძახებენ ხოლმე: „შია შოშიასო!“ და სხვანი. —ზოგიერთები კი ებრძვიან გარემოებას!. არ უნდათ, რომ დროს ჩამორჩენ, მაგრამ მაინც ნაყოფი ვერა მოაქვთ-რა და ამაოდ იტანჯებიან.

წყალი თუ სათავეში იმღვრევა, ბოლოში მისი გაწმენდა მოუხერხებელია!.. ეს, ზემოსხენებული ახალ-გაზდებიც, თავდა-პირველად რომ არ ყოფილან სწორ გზაზე დაყენებული, მიტომაც უქმად ჩამვლელია მათი შრომა-მეცადინეობა. მართალია, ესენი დიდად ცდილობენ, რომ თავდაპირველი ნაკლი როგორმე თავის-თავად შეი-

ვსონ... მეცადინეობენ... სწავლობენ, კითხულობენ, მაგრამ სწავლა-კითხვასაც თავის კანონი და წეს-რიგი აქვს, ისე როგორც ყოველიფერს! მაგალითად: ვინ არ იცის, რომ კუჭს საზრდო უნდა და ჭამა საჭიროა? მაგრამ ჭამაც არის და ჭამაც!. კუჭს უნდა ვაძლიოთ მისთანა საზრდო, რომელიც ადვილი მოსანელებელია და მარგი, თვარა, რაც კი ხელში მოგვხვდება, წარამარად და გაურჩევლად, ყველა რომ პირში ვიტენოთ, ზოგი უმი და ზოგი დამპალი, უეჭველია კუჭს დაასნეულებს და გაუჩენს სატკივარს, რომელსაც კუჭის-კატარს ეძახიან და რომელიც ასე ხშირია ჩვენ დროში. კითხვაზედაც ასე ითქმის: უსისტემოდ, მოუმზადებლად რომ მისთანა წიგნებს ეპოტინოს მოსწავლე, რომელსაც მისი არსება ვერ მოინელებს და ვერ შეისისხლხორცებს, რასაკვირველია, ტვინი შეელახება?! და ამიტომაც ბევრი არიან ჩვენში „ტვინ-კატარა“ მოღვაწეები!.. ყველა ამ ზემო-თქმულის დასამტკიცებლად, საჭიროა მიჰმართოს კაცმა იმ უტყუარ-სარკეს, რომელსაც „ლიტერატურად“ უწოდებენ!... ჩვენ, ქართველებს, მართალია, ნაწერებიც ბევრი გვაქვს, წიგნებიც ბლომათ იბეჭდება, ჟურნალ-გაზეთებიც გამოდიან, მაგრამ ლიტერატურა კი მაინც არა გვაქვს. როგორც უბრალო ძიუებისაგან ასხმულ „ყელ-საკიდს“ არ ეწოდება „მანიაკი“ და თაღლით-მარგალიტს „შადა“ გინდ შიგა და შიგ,—აქა-იქ, ობოლი მარგალიტებიც ერიოს, ისე დღევანდელ ჩვენ ლიტერატურას ლიტერატურობა არ ეთქმის... მაგრამ ნათქვამია: „ავია, თუ კარგიაო, მაინც შენი ქმარიაო!“ და ჩვენც კიდევ მაინც ჩვენს მწერლობას უნდა გადავავლოთ თვალი. ხშირად შეხვდებით ჩვენს მწერლობაში მკირე-რამ პოეზიის ან პროზის ნაწყვეტს, რომელიც ამტკიცებს მისი ავტორის ნიჭისა და შემო-

ქმედებითის ძალას, მაგრამ იმავე დროს სხვა მისი ნაწერები კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ!.. როდესაც შინაურობაში, ახლო-მახლოზე რამეს შეხებიან—სადამდისაც-კი საბელს გაუშვია—ძლიერი არიან და შორს რომ მოუნდომებიათ გაწევა, დაცემულან. ჩვენი ცხოვრებიდან რაც კი აუღიათ, ის კარგათ აქვსთ დასურათებული, მაგრამ შორეულსა და იდეიურ რამეზე კი ფეხი წაუმტვრევიათ.—აბა, დაუკვირდით ჩვენს ქართველს არტისტებს!. ჩვენებურ ვაჭრებს, გლეხებს, თავადებს, მაჭანკლებს და სხვ. დიდის ხელოვნებითა და სინამდვილით ადგენენ, მაგრამ სხვა უცხო ხალხების ტიპის შეგნების ძალაც აღარ შესტანთ, არა თუ ხელოვნური განხორციელება. რა არის ამის მიზეზი? ის რომ, რაც სიყრმიდგანვე, ახლოსვე, შორს წაუსვლელად, თვალ-ყურში შეჩხირებიათ, ის ძალა-უნებურად შეუსისხლხორცებიათ, და ძლიერად უჭირავსთ ხელში და რაც კი შორეულია, რასაც შესწავლა და შეგნება უნდოდა, შორს დარჩენიათ და ველარ მიმწვდარან!.. ამგვარ ცეცხლშივე არიან ჩავარდნილი ჩვენი მწერლებიც უფროს ერთად... ახლა ნასწავლ და გავითარებულ პირებსაც მივუბრუნდეთ!.. გვიწერენ კრიტიკულ, პუბლიცისტურ, პოლიტიკურ და სხვა ყოველ გვარ „ტიკურ“ რამეებს!.. ევროპიული ავტორიტეტები სულ ბურთივით გააქვთ-გამოაქვთ, მაგრამ, მუშტრის თვალით რომ გასინჯოთ, შიგ საკუთარი მათი არა არის რა... და მარტო „შია-შოშიას“ გამოდის. ამათზე საუბარს და მათ ნაწერების გარჩევას მივანდობ მომავალ კრიტიკოსებს, იმედია რომ ბ-ნი „ხომლელი“ ოდესმე მათ უყურადღებოთ არ დაადგებს და მე კი მხოლოდ გაკვრით ვიტყვი რამდენიმე სიტყვას იმ რომანის შესახებ რომელსაც „მოლიპულ გზაზე“ ეწოდება

და ეკუთვნის ახალგაზდა მწერლის კალამს. ეს თხზულება, მართლა რომ დიდი საბუთია მისი, რასაც ჩვენ ვამბობთ ლომ-კაჭკაჭების შესახებ. ამ დიდი რომანის ავტორმა ქ-ნ. ტასო ერისთავის ქალმა თავდაპ ირველად ორი პატარა მოთხრობა დაგვიწერა: „ბატონებმა არ დაიწუნეს“ და „ლაზარემ გადააჭარბა“. ორივე, ეს, გლეხების ცხოვრებიდან იყო ამოღებული და დამწერმაც, ახალგაზდა მწერლის პირობაზე, რომ უნდოდა, უფრო მეტი ყურადღებაც დაიმსახურა მკითხველებისაგან. და მართლათაც დიდი ნიჭის პატრონობა ეტყობოდა და საიმედოც იყო მომავლისათვის. ამ თანაგრძნობამ წაათამამა ახალგაზდა მწერალი და ცოტა არ იყოს აჩქარდა და უდროოდ შეეჭიდა დიდ რამეს: გლეხების ცხოვრებას რომ აღარ დასჯერდა, მთელი ქართლის გამოხატვა მოინდომა „მოლიპულ გზაში“ და რომ აქა-იქ ფეხი არ ასხლეტოდა განა შეიძლებოდა?.. ამისთანა დიდ ტვირთს, ნიჭს გარდა, დიდი გამოცდილებაც ეჭირვება და თუ არ ხანში შესული და ბევრის მნახველი, უტყუვრად ამწონ-გამზომი მწერალი, ახალ-გაზდა ვერ მოახერხებს, გინდ უდიდესი ნიჭის პატრონიც იყოს. ეს მწერალიც დღევანდელ ქართლის მდგომარეობას, როგორც თავად-აზნაურობის ისე გლეხებისაც, ახალგაზდობის, თუ ძველთაობის შესახებ დიდის ხელოვნებით გვითვალისწინებს, მაგრამ, როდესაც წარსულში და მომავალში გადადის აქ კი „საკაჭკაჭოზე“ გამოდის და სხვის სიტყვებს იმეორებს უსწორ-მასწორად!...

რომ ყველაზე ცალ-ცალკე არ მივუთითოთ ავიღებთ მხოლოდ ერთს ამ გვარ ადგილთაგანს მის თხზულებაში, იმ ადგილს, სადაც გადა!ულ ბატონ-ყმობაზე მსჯელობს და კიჟინასა სცემს. ჯერ ერთი ის, რომ ის ძველი დრო

სიმართლით ვერ წმრმოუდგენია, ცილსა სწამებს!. და მეორეც ვისთვის რა საჭიროა, რაც აღარ არის და რასაც მნიშვნელობა აღარა აქვს იმაზე რისხვა-გოდება?.. მაგრამ ეს მისი ბრალია, რომ დღეს ბატონ-ყმობაზე ჩმახვა ჩვენში მოდა არის საზოგადოდ და მოდას კი ისეთი გინოტიზმური ძალა აქვს, რომ გონიერებსაც იმორჩილებს. დღეს ბატონ-ყმობაზე წუწუნი სწორეთ რომ კაჭკაჭური „შია-შოშიაობაა!“ ამის გამო ჩვენი აზრი ბევრჯელ ვრცლად გამოგვითქვამს და ახლაც კიდევ გაკვრით ვიტყვით, რომ ბატონ-ყმობის ისტორიას ჩვენში, ცოტა არ იყოს, ცილსა სწამებენ და აწმყოში რომ გადმოაქვთ, ამითი დიდი ვნება მოაქვსთ ქვეყნისათვის. ყოველ-გვარი მოვლინება, რომელიც კი ფეხს იკიდებს ცხოვრებაში, როგორც დროთა ვითარებისაგან გამოწვეული, კანონიერია. ამგვართაგანს ეკუთვნის ძველებური ბატონ-ყმობაც საზოგადოდ ყველგან და მით უფრო ჩვენში, სადაც ეს „ბატონ-ყმობა“ საუფროს-უმცროსო შეთანხმებით იყო შეკავშირებული და არა ძალ-მომრეობითი ბორკილით გადაბმული. და ამ უფროს-უმცროსობას უნდა უმადლოდეთ, რომ საქართველომ მეცხრამეტე საუკუნემდე თავი შეინახა. მაშინდელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ორად გაჰყო ქართველი ერი: მეომრად და მეურნედ. პირველი გუნდი მტერს იგერებდა, სისხლს ათხევდა საქართველოს კიდეებზე, რომ წარმტაცი არ შემოეშვა და ქვეყნის თვით არსებობა.. თავისუფლება დაეცვა!.. მეორე, შიგნივ ტრიალობდა, ოჯახს ეკიდა და პირველ-გუნდს საზროდს აწოდებდა. პირველი თავადობდა და ბატონი ე. ი. პატრონი ერქვა!. მეორეს ყმას ანუ გლეხს ეძახდენ. დღეს ყველგან გაწრთვნილი ჯარია, სადაც უფროს-უმცროსობა სასტიკად არის დაცული. არიან

უბრალო პაიკები, სალდათები და აგრეე მათი მეთაურ-უფროსები, აფიცრობა. ამათ ყველას ხაზინა ინახავს და არჩენს. ძველ-დ ეს შეუძლებელი იყო და ამიტომაც ერისთვები და თავად-აზნაურები იგივე სარდლები, ღენერლები და სხვა-და-სხვა ხარისხის აფიცრები იყვენ.— რა კუთხიდანაც საქართველოს მტრები მოადგებოდენ, იმ კუთხის თავადები იმაგრებდენ საერისთავოს!. პირველ საფარს ისინი უკეთებდენ და მერე სხვებიც მიეშველებოდენ ხოლმე. მეცხრამეტე საუკუნემდე ეს წეს-წყობილება აუცილებელი იყო ჩვენთვის, რადგანაც უკეთესი აღარა მოხერხდებოდა-რა!.. მაგრამ ამ საუკუნეში კი მნიშვნელობა დაჰკარგა და საზოგადო სიკარგიდან კერძო სიცუდეზე გადავიდა: კავშირი ბორკილად შეიცვალა და შეთანხმება—ძალ-მომრეობად. საჭირო იყო, რომ ამ უსამართლობას მალე ბოლო მოღებოდა და მიტომაც მესამოცე წლების მწერლებმა იერიში მიიტანეს. ერთი მხრით უნდოდათ, რომ ჩაგრულებისათვის თვალი აეხილათ და მეორეთი მჩაგრელებისათვის ემხილათ მათი უსამართლობა. — „მოქნეული და მოზომილი არ გაგონილაო“ ამბობს ანდაზა და ჩვენც, რასაკვირველია, გავაზვიადეთ და ბევრი რამ გადაჭარბებულათა ვსწერეთ: ის შევსწამეთ ჩვენებურ ბატონ-ყმობასაც, რაც არ ყოფილა და მხოლოდ სხვა ხალხის ზნე-ჩვეულების და ხასიათის წამონაშობი იყო. გავაზვიადეთ, მაგრამ ამას გარემოება მოითხოვდა მაშინ, დღეს კი, როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდნილია, იმაზე ლაპარაკი, უბრალო წყლის დღობვაა. ეს არ ესმისთ ჩვენ კაჭკაჭებს და წოდებათა შორის შურსა და მტრობას აგდებენ უსამართლო მისისინებით. აბა, ამაზედ არის ნათქვამი: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასო, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“. თავად-აზნა-

ურობაზე დღეს იერიშის მიტანა, მხოლოდ მიტომ, რომ ოდესმე, ერთ დროს მათი წინაპრები დიდიკაცები იყვენ, უსამართლობაა! მადლობა ღმერთს, იმთავითვე ჰქონდა ჩვენ ქართველობას წარმოდგენილი, რომ „თუ კაცი თვითონ არ ვარგა ცუდია გვარიშვილობაო“ და დღეს ხომ კიდევ უფროცა აქვს შეგნებული. რამდენი ოჯახის შვილია, კარგი ჩამომავლობის, რომ უვარგისობის გამო, ქვეყანას აბუჩათა ჰყავს აგდებული და აგრეთვე ცოტანი არიან ჩვენში მდაბალი, უგვარო ჩამომავლობის ახალგაზდები, რომ მთავრის შვილებზედაც უფრო პატივცემული და მოწონებული ჰყავს ქვეყანას? მაშ აქ გვარიშვილობაზე და ჩამომავლობაზე რისთვის და ვიღასთვის არის საჭირო ლაპარაკი?. უბრალო ენის ქავილია სხვა არაფერი!.. მართალია არიან დღესაც ზოგიერთი ტუტუცები, რომ თავი მოაქვსთ გვარიშვილობით, მაშინ როდესაც თითონ ღირსი-კი არ არიან იმ გვარიშვილობის, მაგრამ განა ხალხი საცინლათ არ იგდებს მათ?.. და ვინც ღირსია თავის წინაპრების და გვარს არ აცხვენს, იმას რათ უნდა დასცენ კიჟინა?—ეს არ ესმისთ ჩვენ კაჭკაჭებს და „თავად-აზნაურობა“ ბიწიერება ჰგონიათ და გლეხობა დიდი სავაშავაშო მოვლინება.

არა ერთხელ გაიგონებს ჩვენში კაცი, რომ ერთი უხეირო ვინმე, რომელიც გინდა ძველი თავადის ნაშთი იყოს და გინდ გლეხის არაფრად ღირს, ტრაბახობდეს: „ჩემ წინაპრებში გამოჩენილი ბ ქვეყნის ნამსახური არავინ ყოფილა, უბრალო გვარის იყვნენ, მაგრამ, რადგანაც მე მათი ნაშიერი ვარ პატივცემული ბ ყველასთან გათანასწორებული უნდა ვიყოვო!..“ აი, ამგვარი ხალხია, რომ დღეს ფარ-ხმალი აუღია და კიჟინასა სცემს თავად-აზნაურობას, რომელიც ისეც თავისთავად კანონიერად ფერს იცვლის,

რომ სხვა გვარ თავადობას დაულოცოს თავისი უფლება! ამათ ყოველიფერი ეპატივებათ, მაგრამ ისეთ პირს, როგორიც არის ქ-ნი ტასო ერისთავისა, არ შეჰფერის ფეხის აყოლა ლ საკაჭკაჭოზე გამოსვლა. როგორც მწერალის, მისი მოვალეობაა, რომ საქები ყველგან აქოს და საძაგი დაჰგმოს წოდების მიუხედავად. ნიჭი რაც უფრო დიდია, უფრო მეტი ზრდა და წრთვნა ეჭირვება, რომ თავის დროზე ჯეროვანად გაიწრთვნას და შეცდომა არა მოუვიდეს რა და ამას გულით ვურჩევთ, ჩვენ მაღალ ნიჭიერ ავტორს „მოლიპლულ გზისას“, რომ მომავალ იდიალების ხატვას ჯერ-ჯეროობით თავი დაანებოს და რისიც მორევა და შესისხლ-ხორცება შეუძლია, იმას მოჰკიდოს ხელი. ნათქვამია: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო!“..

მიმკვლევა

გამხიარულდი ბუხარო!
გულ-ჩახვეული ნუ ხარო!...
მცივანა ზამთარს უკვარხარ
და არც ცხელ ზაფხულს სძულხარო!

—

მოვდივართ მოსალოცავად,
მოგვაქვს სამკვლევი და „კვალი“;
ღმერთმა მრავალს წელს დაგასწროსთ
და გაკითუნოსთ ახალი!

—

შენ აგუზგუზებ, ბუხარო,
დაბლა ნაკვერჩხალს, მაღლა ალს...
ნიგუზალს შეგიჩინჩხალებთ,
გაგაყრევინებთ ნაჰერწკალს.

—

და ლოცვა-ნატვრას დავიწყებთ...
ეს ძველებური წესია:
ის ერთი ასად მოიმკოს,
რაც კარგი დაკითესია!...

—

„ამდენი ბური დაღვინო!...
„ხორაგეული ამდენი!...
„ამდენი ჯოგი ოთხ-ფეხი:
„ცხვრები, ძროხები და ცხენი.

—

„ამდენი ოქრო და ვერცხლი!
„თვალ-მარგალიტი ამდენი!
„სიკეთე ბევრი სხვა-და-სხვა
„და დმერთი მხოლოდ ამხდენი!!“

—

ამ ძველებურსა ნატვრასა
ჩვენც დავამატებთ ახალსა:
ამდენი თარამგრძნობელი
და წამკითხველი ჩვენს „კვალსა“.

—

გამხიარულდი, ბუხარო,
დაფიქრებული ნუ ხარო.
ჩვენს მოუგრებს უველას უუვარხარ!...
მტრებს ხომ სძულხარ და სძულხარო.

სტუმრები

ცეცხლი ანთეთ გუზგუზა,
გამხიარულდეს ბუხარი!...
გადამთიელი ცოლ-შვილით
კარზე მოგვადგა სტუმარი.

გზაზე ტეის ჰირად ეეარენ
მშიერ-მწყურვალი, გამხდარი!...
გამოქცევიან შიმშილსა,
გადმოულახავთ მთა-ბარი.

ჩემი მათ არა ესმით-რა,
არც მე მესმის მათი ენა;
მაგრამ ადამით ძმები ვართ,
მამაც ერთი გვყავს ჩვენ ზენა.

ღვთის მოცემული ბევრი გვაქვს,
ხორაგი, ჰური და ღვინო,
რომ გეეოსთ შინაურებს და,
კარეულებიც ვარჩინო...

შინ შემოდიან მგზავრები,
კუთხეებს მიჩერებიან
და რომ ვერ ჭხედვენ ხატებსა,
შეშინებული კრთებიან.

ჰირჯვარსაც ადარ იწერენ,
ურჯულოს სახლი ჭგონიათ...
სუფრას დაუსხდენ ჰირდაჰირ
ეტეობათ, მაგრა ჭქონიათ?

გამოძღენ... გამოსისინდენ,
წითელი ღვინით თვრებიან...
მადლიც არ უთხრეს მსხვინძელს
და წასვლას ეპირებიან.

—

ამბობენ: „აქ ვერ დავრჩებით
ამადამ!... ცოდვა არიო:
ურჯულოები ოთვილან
არ აქვსთ ხატი და ჯვარიო!"

—

ვერ მიხვდენ და ვერ შეიძლეს
გონებით მის წარმოდგენა,
რომ ხატიცა და ჯვარიცა
მასხვინძელს გულში ესვენა!

მანთიადი

—

მთა-წმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მადლით ჰფენს
თავდადებულის სთვლავსა.

—

დადუმებულა მთა-წმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა, —
მდინარე ნასს უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.

—

მთა-წმინდა გულში იხუტებს
სოფლიშვილიშვილო სამარეს
მამა დავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოუვარეს.

—

მგოსანი გრძნობა მორეკვით
თვალს ავლებს არე-მარესა
და გულის ბასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

—

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!

—

„ვერ ავიტანე ობლობა,
სიხარულის ცრემლები ვღვარეო,
წამძღია სულმა და გულმა, —
შენს ნახვას დავეჩქარეო.

—

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

—

„გულში აფეთქა სიამემ,
სევდები უკუეყარეო, —
ია და ვარდი დამეკანარი
ხელახლად კამახარეო.

—

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის-ჩამდგმელო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო,

—

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამფარეო;
და რომ მოვკვდები გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო.

—

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ—
შენს მიწას მიმბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!...“

ფალერა.

(დიდ-მოურავის-საკაძის სიმღერა)

ის ადარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჯადარა...
ვედარ გაჭკივის თამამად
ჩემი დაფი და ნადარა.

—

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-დონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.

—

ამეკვსო გული წვეთ-წვეთად
ნადვილითა და შხამითა,
ისე ვით საუკუნები
სხვა და სხვა მრავალ წამითა.

—

მაშ რადად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას ოხრებულსა?

—

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარე-მოცულსა.

—

ვუხმობ ფრადონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჭეავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!

—

რა ვუყოთ, ოეთრი მერიოს?!
ინით შეგდებავ ჭადარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნადარას.

—

მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!...

—

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!..
და შენც ტარიელს მოგავხარ
ისე, ვით კარტა ლომსაო.“

—

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინა-მორბედი!...

—

არა! აჭევავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჯადარა!...
გმირებს უძახის... უკვეს
ჩემი დაფა და ნადარა!...

თემურ-ლენგის ცყვე.

(მიბაძვა)

გულ დადალული, დამწყარი,
მეფის ტუვეობის მნახველი,
ტუვეობაში მეოფ ცოდ-შვილსა
ეკითხებოდა ქართველი:

—

„მითხარით, რა გადურჩინეთ
სამშობლოს ახრებულსო,
როდესაც თემურ მძვინვარე
ფეხით სთელავდა მის გულსო?“

—

ცოლმა მიუგო: „რაც გვქონდა
სიმდიდრე ჭეშმარიტია,
ოქრო და ვერცხლი დიდ-ძალი,
თვალი და მარგალიტია.“

—

„ნუ თუ ეგ არის სიმდიდრე
მაგ შენს გულსა და თვალშია?
ეგ ოქრო ცეცხლში ჩაჭეარე!
თვალ-მარგალიტიც წუალშია!“

—

ეს სთქვა და მიუბრუნდა ქალს:
„შენ მაინც კამახარეო! —
გულმა რა გითხრა, როდესაც
დაგიგდე ჩვენი მხარეო?“

—

— რა უნდა გითხრა, მამილო!..
დავსწუევდე ჩემი ბედია!..
სხვა რა შემეძლო მე ამ დროს
ბედ კრულსა ამის მეტია:

—

მოვსწუვიტე ვარდი კოკობი,
სახსოვრად მოვიტანეო;
მისი დამჭკნარი ფურცლები
ცრემლებით გადავბანეო.

—

— დამჭკნარი ვარდი, ცრემლებით
არ განედლდება... არაო!..
მარტო ცრემლები ქვეყნისთვის
საშველად არა კმარაო.

—

მერე ვაჟს ჰკითხა მოხუცმა:
„შენ რადა იცი კარგიო?
რა წამოიდე, მიჩვენე,
საშვილიშვილო ბარგიო“?..

—

შვილმა მიუგო: „ხანჯალი,
სიფრთხილით შენახულიო,
რომ საიდუმლოდ მონგოლებს,
გავუპო ხოლმე გულიო!“

—

— შემცდარხარ, შვილო! მაგითი
ვერ ნახავ კამარჯვებასო:
რომ ბევრიც მოჭკლა აქ მტერი
იქ ქართლს ვინ მისცემს შვებასო?

—

რად დაგავიწყდათ სუფეელას,
საუნჯე წმინდა... დიდიო,
წარსულისა და მომავლის
სიცოცხლის კეზა და ხიდიო:

—

სად არის ჩვენი ჩანგური
ქვეყნის ჭირი და ლხინიო;
სამშობლოს სისხლი და ხორცი
მისივე ნაღველ ტკვინიო“?

—

მაშინ მიუგო მგოსანმა:
გულზე მე დავიკიდეო.
ვერ გავეურები, გინდ მოვვლო
ტუვეობით კიდით-კიდეო!..

—

ჩემი სამშობლოს სიცილი
და მისი მწარე კვნესაო...
ორივე ერთად სიმებმა
შიგ გულში ჩაისკვნესაო".

—

სთქვა და ჩამოჭკრა სიმებსა
ხმას ცას აწვდენდა ჭანგებით...
ღ ის ხმა ტუგულ ქმნილს ბაკრატსაც
მოესმა დეოისა განგებით...

—

მოესმა: „ბაკრატ, გახსოვდეს
შენი სამშობლო ტკბილიო!
ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო".

—

მაშინ სთქვა ბაკრატ: „ჰე, ღმერთო!
აწ იუავ ნება შენიო!..
მე სულს გავსწირავ, მაკრამ შენც
სამშობლო დამიხსენიო".

ახლანდელი სიმღერა:

„ჭკარ! მოჭკალ! შეჭკარ! შეიხუარ!“
იძახდენ ჩვენი ძველები...
ამას მოწმობენ მტრის სისხლით
ნაღები მთა და ველები.

—

„ჭკარ! მოჭკალ! შეჭკარ! შეიხუარ!“
დღესაც ვიძახით ყველანი;
მაგრამ ენა გვაქვს თარ-ხმალად
და სისხლად შავი მელანი! —

—

ვეფხ-ლომნი გადაგვიშენდენ,
გამრავლდენ მელა კატები...
„ჭკარ! მოჭკალ! შეჭკარ! შეიხუარ!“
ჭეშვირიან ადგოკატები.

—

ძმა ძმას არ ჭზოგავს, მამა შვილს,
მოუკარე მოუვრის მტერია!..
„ჭკარ! მოჭკალ! შეჭკარ! შეიხუარ!“
ეოველგან ასე სწერია!...

—

იჩაგრებიან საწყლები...
ტრემლზე ტრემლს ჭდვრიან მწარესა,
„ჭკარ! მოჭკალ! შეჭკარ! შეიხუარ!“
გაისმის ეოველ მხარესა!...

———

შეცდომა.

სულელი არის, ვინც ჭეიქრობს,
რომ მთვარე ჩემთვის ბრწყინავსო,
მარტო ჩემთვის!.. და სხვებისთვის,
ეველასთვის ბნელში ძინავსო!

—

უგნური არის, ვინც ჭგონებს:
ჩემთვის იშლება ვარდიო,
მარტო ჩემთვის!.. და სხვებისთვის,
ეველასთვის ეკლის ბარდიო!..

შემცდარი არის, ვისაც სწამს
ქალმა მე შემიყვარაო!...
სხვებისთვის გული დაიხეშო...
ჰირ-ბადე დაიფარაო!..

ყარიბი.

ნუ კითხულობ, ვინა ვარ?
სიდან მოვალ? სად მივალ?
სულ ესა ვარ, რაცა ვარ,
რასაც მხედავთ თვალ-და-თვალ!

—

თავისუფლად დავდივარ,
არც ბატონად, არც მონად!
ცა ქუდად არა მეოფინის,
დედამიწა ქალამნად.

—

უფროსი, არც უმცროსი
ნებით არვინ მუოლია!
ვინც მცნობს და ვისაც ვსცნობ,
ეველა ჩემი ტოლია!?

—

ძმობა და სიყვარული
ფულით არ მიყიდია!...
მხოლოდ გული და სული
მათი გზა და ხიდია!

—

არც მქონია, არც რამ მაქვს,
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზედ მდიდარი
არც კი გამიგონია!

—

მე რომ მაქვს ის სიმდიდრე
დვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე
და სიმდიდრე გულია!

—

ვერ მომბარავს ვერავინ
თან დამაქვს ეს დიდება!...
განჩინების ძალითაც
ხელი არ ეკიდება!

—

ჩამოდექი, ბრისტავო!...
ნუ მოდიხარ, მოგალე!...
სიმდიდრეც ამას ჰქვიან...
ვინც მომცა... ვენაცვალე!...

ქუთაისი

მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო!
ვინ უოფილა შენი მავნე,
გულს ეკალი რომ დაგისო?

—

შენი ციხე-კალავანი,
ბევრჯელ სისხლით კანაბანი,
მიწასთან ვინ გაგისწორა,
ერთხელ მტკიცე, ახოვანი?

—

თავს დაგეურებ ახრეებულს,
ქვით და ეკლით რომ ივსებ გულს!
ვეღარ ვხედავ ოქროს ჩარდახს,
ერთს დროს განთქმულს ჯ დიდებულს!

—

ეგ ფაზისი თავ-მომწონი,
სახელ-ცვლილი დღეს რიონი,
გულ-ამდვრევით რას ბუტბუტებს,
გადასული დროს მომგონი?

—

აგონდება ოქროს კრავი,
ვით ქონება რამ უძრავი?
და მრისხანე ზვირთებზედაც
არგო ფრთხილად მომცურავი?

—

შიგ იაზონ ელინებით,
ვერ შემრთველი სურვილ-ნებით,
მედეიას მომხარვი
მედიასვე მანქანებით?

—

სადა არის ოქროს სილა
შლამ-ტალახით ამომსილა!...
მწუხრის ზეწარს დაუფარავს
ბაგის მზე და მაგის დილა!....

—

გარბის შენგან მგლოვიარე!
ცრემლით ირწყვის არე-მარე
და შავ-ზღვასვე შეჰდრიალებს:
„ჩემი ტანჯვა მიიბარე!“

—

მაგრამ ჩემო ქუთაისო
შენაკავშირ-შენათვისო!
მოთმინებას!... მოთმინებას!...
სევდით გული არ აივსო!...

ხალხური.

მინდვრად ეგდო თეთრი ქვა,
დავჭკარ ხელი, თან ამოვა...
ქალო! შენი სიყვარული,
სადაც წავალ, თან წამოვა.

—

ქვა უბეში ჩავიდეგი,
დამამძიმა, დამძალა!...
ქალო! შენი სიყვარულიც
გამწარდა, ვით სამსალა.

—

ქვა ავიღე, გადავაგდე,
მიუმატე ძველ ეორეს...
ქალო, შენი სიყვარულიც
გადვულოცე მეორეს!

—

იმ ქვას წვიმა დაასვენებს, —
ტრემლები შენს სიყვარულს...
მაგრამ წვიმა ქვას ვერ ანებებს
და ტრემლები კაცის გულს.

მსირე ლექსები.

როდესაც გაჯირვებული-
კისრულობს სხვისა მონებას,
რომ არ დაეცეს, უფალო,
ნუ გამოულევ გონებას...

—

უდირსი როცა შეიძენს
შემთხვევით ოფა-ქონებას,
რომ არ გაბრიყვდეს, უფალო,
ნუ დაუკარგავ გონებას!..

—

როდესაც ქალი კეკლუცი
ხელს მიჭუოფს თავ-მოწონებას,
რომ არ გაფუჭდეს ბრანჯვითა,
ნუ დაუმონებ გონებას!

—

როდესაც ვკრეფავთ კოკობ ვარდს
და ვსცდილობთ ზედ-დაკონებას,
რომ იქ ეკალსაც ვხედავდეთ,
ნუ დაგვიბნელებ გონებას!

—

ეველას, ეოველთვის, ეოველგან,
ნუ გამოულევ გონებას,
რომ მხოლოდ სიბრძნე-სიმართლით
სცდილობდეს შენსა მონებას.

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

როგორც დრუბლთ წინამძღვარსა,
უეკარს გრგვინვა ჭექა-ჭუქი,
რომ მის ფრთებ ქვეშ შეიფარონ
წიწილა და ბატის ჭუკი.

—

მართლის თქმით და გულ-წრფელობით
ბევრი ვინმე მოიმდურა;
უფრო კარგი იქნებოდა,
რომ არ იყოს ის ცმუტურა.

—

ბევრს ამბობს და რიგიანად,
რაც გულში აქვს, ვერ დამალავს;
ნაძლევს დავდებთ, ვინც რომ იმას
შეაჩერებს, ან დადალავს.

—

კატასავით მოკრუტუნე,
წუნარი, ფრთხილი კუდა-მელა,
მხოლოდ ჭეიქრობს თავის-თავზედ,
სულ ერთია მისთვის უკელა.

—

ვერც არაფერს გააკეთებს,
არც არაფრის წამხდენია;
მაკრამ ზოგჯერ მისი სიტყვა
სიზმარივით აგვხდენია.

—

უმნიშვნელოდ არას იტყვის,
და თუ ნახა მან მიზანი,
ერთს მისთანას დაიძახებს
როგორც დიდი ზარბაზანი.

—

სიტყვით წმინდა გიორგია,
საქმით თურმე გაურქ-ადა;
უწყლოთ თევზი გაუჩინა,
რიუეები გაუბადა.

—

ბროკურორად ნამეოფია,
მერე იყო თვით ვექილად;
სადაც გინდა, როგორც გინდა,
გამოდგება ის ადვილად.

—

ხან ჩვენია, ხან სხვისია;
ხან აქ არი, ხან იქ არი.
ხან წადმა და ხან უკუდმა
ბდდვირს აადენს, როგორც ქარი.

—

გულით ამბობს, რასაც ამბობს,
რაც ბერანგზე დაიწერა
და თუ სტდება, მისი ტოდვა
მიეცა მას, ვინც ჩაბერა.

ᲐᲚᲑᲝᲛᲨᲘ.

უმაწვილი სჯობდი მოხუცხა,
მოხუცდი — სჯობხარ უმაწვილებს?
ისეა, ვისაც ბუნება
თვის ძალს გაუნაწილებს.

—

ახალი ცუდი ძველ კარგის
ვისგან რა შესაფარდია?
ვარდი რომ კიდეც სჭკნებოდეს,
მაინც ვარდი და ვარდია.

—

ის თუმც ალარ ხარ, რაც იყავ,
შენთანვე შალარებითა,
მაინც შენ გირჩევს გონება
და გრძნობა-ნეტარებითა.

—

იტოტხლე, იმხიარულე,
ციურის ნიჭით გზნობილო!
არ მინდა დაგასახელო
ისეც ეველასგან ცნობილო!

...ს

ახლოს სარ—თვალს ვერ გიმართავ,
შორით ვუნდები ცქერასა;
ლაშის დავკარგო გონება,
გადავეგე გულისძგერასა!...

—

შენ კი მეკრძალვი ბეჩავსა,
როგორც წიწილა ძერსა....
შენს დმერთს მიჭმადლე!... დაუგდე,
უური გლახ-გულის ძგერასა.

—

ნუ გამხდი ნაცარ ქექიად,
ნუ დამსვამ ცივსა კერასა;
ზედ ნუ დამაერი ნაცარსა...
მიხშირებ გულის ძგერასა!...

—

ნუ მაწუეგლინებ გაჩენას,
სიცოცხლეს, ბედის-წერასა!...
თანგრძნობა უნდა მალამოდ
სნეული გულის ძგერასა!...

—

ქვეენის მკურნალი შეკვეარე,
მაგრამ ვერ მივხდენ ვერასა:
სხვა და სხვა მიზეზს ადებენ
ამ ჩემი გულის ძგერასა.

—

ად�ვებსა მიშდიდენ,
სიცილს, ტირილს და მდერასა;
მაგრამ ვერ არგო ვერც ერთმა
შენახულ გულისძგერასა!'

—

ეური დავუგდე მაშინ მე
ჩემი სიმების ყდერასა
და თვითვე მივხვდი რაც იწვევს
ამ ჩემი გულის ძგერასა:

—

ბრალი არა აქვს დამაზ ქალს
შავგვრემანს, არცა ქერასა!...
მარტო შენა ხარ მიზეზი!
მიხშირებ გულის ძგერასა

—

მიტომ რომ თვალს ვერ გიმართავ,
შორით ვუნდები ცქერასა!...
დამის დავკარგო გონება,
კალავ ვჭუეე გულის ძგერასა.

ავადმყოფი მგოსანი

ბედო შავ-ბირო, უბირო,
ამრეკო გზა და კვალისა!
სულს ნუ ამოამხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა!..

—

აჩრდილი-და ვარ წარსულის
და ლანდი მომავალისა!...
ვის შერჩენია, მე შემრჩეს
გადახდა სოფლის ვალისა?

—

მაგრამ სურვილმა მომხიბლა
ცრუ მოიმედე ხვალისა;
ჩამიხმატებილა ჩანგურმა
და გული გამისალისა:

—

ჩანგურო! ჩემო ჩანგურო!
ოცნების ზდვაში მცურავო!
შენი კრინ-მანჯი წკრიალი,
ხელ-ახლად მომეწყურაო,

—

ჯორა გაქვს ია-ვარდისა,
სიმი — ბულბულის ენაო;
ფრთები არწივის გასხია —
შეგშვენის ადმა-ფრენაო: —

—

მიმოფრენ მეც თან დაგუკვარ,
წამის-წამ, კიდის-კიდესო!
ვედარ მერევა სიკვდილი
მე შენსა გადამკიდესო!...

—

დიდება შენსა მოვლენას,
ციურო, ტკბილო ძალაო!...
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო.

მწუხრი

მთვარიანი დამე იყო,
წყნარი, გრილი, მოამხიბლავი!..
ზეკარდამო მადლსა ჭფენდა
ძალთა-ძალი უხილავი.

—

ცა ქვეყანას, ქვეყანა ცას,
ეურს უგდებდენ ერთმანეთსა;
მით ორივე შეთანხმებით
ადიდებდენ შემოქმედსა!

—

ცის და ქვეყნის შეამავლად
სხივი იყო მთიებისა
და იმათში ბირველობა
შეექურ-ვარსკვლავს მიეთვისა.

—

თვით მცენარე ადმაკმევით
მიმოფენდა სუნნელებას....
სიჭაბუკე ძალსა გრძნობდა
და სიბერე გაახლებას...

—

წამი იყო სასუფევლის
მრავალ-მეტყველ მდუმარება
და ნაყოფი სამოთხისა
ამაკრძალი ნეტარება.

—

აქ უეცრად ვარდის ბუჩქი
შეინძრა და შეირხა რტო,
ზედ ბულბული თურმე იჯდა
გამსჭვალული მარტოდ-მარტო.

—

მოერია გრძნობა მდერალს,
გულში მადი ჩაესახა!...
ტკბილ-ზევსური, მწარე ზარი
ორივ ერთად შემოსძახა.

—

ხმა გაისმა სხივ-ნართი რამ
ზეამტანი, ამაძგერი!..
უველა სმენად გადაიქცა
უსულო და სულიერი.

—

მოფერადე ჭანგით-ჭანგის
დაიქანცა, დაიდალა,
თითქოს ჩასდნა თვის ჭიკჭიკში:
ხმა შესწყვიტა!.. გაქრა ძალა!..

—

ნაცვლად მისსა იქვე ახლოს
აჭიკჭიკდა სხვა ბულბული...
იგივ კილო, იგივე ხმა...
შიგ არც სული და არც გული!..

—

თურმე რაღაც სათამაშო
ბავშს ეჭირა, სულს ჭბერევდა
და მანქანიც ხელოვნური
ბულბულისა ხმით უკრავდა.

—

მაგრამ ნამდვილს ისე ჭკვავდა
ვითა მწუხრი კანთიადსა,
ვით უსულო სულიერსა
და ახრდილი მისვე ცხადსა.

—

შეგვადარე ერთმანეთსა,
შეგვუწონე დიდსა მტირე
და ასე ვსთქვი: „სხვა-და-სხვა
ბოეტი და მოშაირე!»

———

ნეიტრალი

—

აქეთაც ვარ, იქითაც ვარ,
მიუგარს შუა მე ტრ ალე!...
მაგრამ არსად კი არა ვარ:
ჩემთვისა ვარ... ნეიტრალი.

—

მადლობა დმერთს, რომ სხვებსავით
არ მებნევა გზა და კვალი!...
გადავდივარ!.. გადმოვდივარ!..
ისე როგორც ნეიტრალი.

—

მე არა მსურს, ჩემზე ვინმე
რომ გარისხდეს!.. იყოს მწყრალი!..
იც მომწონს, ვარდიც მიუვარს,
რადგანაც ვარ ნეიტრალი.

—

სამაისო მომზადებამ
ორად გაჰყო ჩვენში ძალა,
მე არც ერთს არ ვემატები:
განზედა ვარ, ნეიტრალი.

—

ამბობენ, რო საზოგადო
საქმე არის უფლის ვალი,
მაგრამ მე ჯერ ვალს არ ვიხდი,
სანამდი ვარ ნეიტრალი.

—

სულ სხვა-და-სხვა ბარტიისა
ერთად შემხვდა ორი ქალი:
ერთი ერთს მთხოვს, მეორე სხვასს...,
დამიფიქრეს ნეიტრალი.

—

ერთსაც ვუთხარ, მეორესაც ეს;
აქეთ თვალი!... იქით თვალი!!..
ბისმარკივით გამოვძვერი,
დავრჩი ისევ ნეიტრალი.

—

საარბევნო ლხინში ვიყავ:
იქ სუფეველა იყო მთვრალი,
მეც ვსვი, მაგრამ ფხიზლათ ვიყავ,
რადგანაც ვარ ნეიტრალი.

—

ვინც ამ ქვეყნად ბირდაბირობს
კაი, მხოლოდ მისი ბრალი,
თავრა ყველგან კარგი ყმაა
ჩემისთანა ნეიტრალი!...

—

აქეთაც ვარ, იქითაც ვარ
მიყვარს შუა მე ტრიალი!..
მაგრამ არსად კი არა ვარ
ჩემთვისა ვარ ნეიტრალი!!..

———

ქართველი ქალი

ვინ სთქვა: ქართველს ქალს შვენება
მაღლით არ მოჰმადლებია?“
არც ერთი ნიჭი ბუნების
რწმენულსა არ დაჰკლებია!..

—

თვით სარკე ხედოვნებისა,
შემკული გარეგნობითა,
მონების ნერგი მაღალი
ეგვაგებული გრძნობითა

—

თვალსა სჭრის და გულს იტაცებს
ანდამატური ძალითა
და ჭიბდაგს ეოვედს არსებას,
გარს შემონაშუქ ალითა

—

ბნელში მნათობი; ნათელში
მოოინათინე ქმნილება,
ესისხლ-ხორცება სიტოცხლეს
სხვისას და ენაწილება!..

—

მაგრამ!.. რა მაგრამ? მე მაინც
ჯერ მას ვერა ვსცემ თაუვანსა!..
„ზარს“ ვერ ვუმღერებ მის კუბოს
და „ნანას“ მისსა აკვანსა!...

მიტომ რომ მისსა შვენებასა
აკლია გვირგინ-ბეჭედი,
აწმყოში სულის ჩამდგმელი
და მომავალში იმედი.

ეს არის ნერგი ოცნებაის
ფრმად გულში ჩამარხულისა;
სახის აღმგზნები ბეჭედი
სამშობლოს სიყვარულისა.

ქრისტე აღდგა!

მარიამ იაკობისი,
მარიამ მაგდალინელი
და მასთან ერთად სალომე,
ქრისტეს საფლავის მძებნელი

—

მოსულან ნელ-საცხებელითა,
რათა სცხონ გვამსა დიდებულს;
მაგრამ შემკრთალან, რომ ხედვენ
დიდ-ლოდსა გადაგორებულს,

—

მკვდარი არსად ჭჩანს!.. და მარჯვნივ
ჭაბუკი ვინმე მდგომარე,
სხეტაკი შესამოსლითა,
ნათლითა მოსხივციესკარე,

—

მათ ეუბნება: „რათ შეკრთითთ?
ანგელოზი ვარ მე მცველი.
აწ გიხაროდენ, ხე აღდგა
იესო ნაზარეველი!“

—

მენელსაცხებელთ აევსოთ
სიხარულითა მუის გული
და მიახარეს ქვეყანას:
„აღდგაო მკვდრეთით ჯვარცმული!“

—

ადგა, ვინც სისხლი დაჭთხია
ახალი რჯულის „დვრიტადო!“
ცა და ქვეყანაც ჰასუხად
აძახის „ჭეშმარიტადო!“

მესტვირე რას ამბობს?

ტრემლით ამევსო ქაშანჩა,
კვნესით და ოხვრით — სტვირიო!
აქამდე ძველ დროს მოვთქვამდი
ახლა ახალსაც ვსტირიო!..

—

დმერთო, რა ვნახე?! რას ვხედავ?!.
რა დრო დაკვიდგა ესაო?
სიმტკუვნე გულში იტინის,
სიმართლემ დაიკვნესაო!..

—

მელა მეკაომედ დამდგარა,
მწყემსობას ჩემობს მგელიო...
ეშმაკი ეშმაკს ჰატიჟობს:
„სასუფეველში გელიო!“

—

დიდება შენდა უფალო!
სხვა დროა... უცნაურიო...
გადაუბრუნდა ქვეყანას
თავალი, ენა და ყურიო!..

—

ტრემლით მევსება ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო,
აქამდი ძველებს მოვსთქვამდი,
ახლა ახლებსაც ვსტირიო!..

საბი დრო

ჭაბუკობის დროს, როდესაც
სიტოცხლე გრძნობით დნებოდა,
ფერადი ჭრელი ქვეყანა
ვარდის ფრად მეჩვენებოდა.

—

სიკვდილიც ტკბილი მეგონა,
საძრახსა ორვის ვძრახავდი;
დიდს და პატარას სულ ერთად
ანგელოზებათ ვსახავდი.

—

ადარ დგებოდა ბუდეში,
ფრთებ-შემოსხმული კარს, გუდი;
შიგ ია-ვარდი ჭკვავოდა
და ჭიკჭიკობდა ბულბული.

—

რომ დავვაჭკაცდი მესტუმრა,
„თვალ-დიდა“, კამოცდილება
და მოწონებულ ქვეყანას,
მეგე შეკნიშნე ცვლილება:

—

ვარდი ერთი თვით იშლება!..
თერთმეტით — მარტო ეკალი
და კაცის ანგელოზობაც
ადარ კამოდგა მართალი!

—

გული დაჯკნა საგულეს,
კარს მოიქთო ნადვილი!..
ბულბულიც ეორნად კადიქცა
ᲬᲠᲝᲛᲐᲮᲘ ქვეეონის მნახველი

—

ხანში რომ შევედ, ქვეეანას
გულ-გრილად ვავლებ მე თვალსა?
ვარდს ადარ ვაქებ — ვადიდებ
და ადარც ᲬᲬᲣᲔᲓᲘ ეკალსა.

—

ორივე ერთ ხეს აბია!.. —
ძირი ორივეს ერთია!..
მათი კამრჩევი, მსაჯული
თვით შემოქმედი — დმერთია.

ᲮᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲜ.

მიუვარს, როდესაც ხატის წინ
ანთია წმინდა სანთელი
და საიდუმლო ᲮᲐᲠᲮᲐᲓᲘᲗ
ბნელს ფანტავს მისი ნათელი.

—

მეუდრეად, უხმოდ და უძრავად
დნება, ვით მსხვერᲮᲚᲘ დიადი,
რომ მადლით კასსᲮᲔᲢᲐკოს,
თავად-უწᲓᲝᲛᲔᲚᲘ წეედიადი!..

მიეხერებივარ ამ დიდ-ძალს
ᲨᲬᲐᲠ-ᲢᲙᲑᲘᲚᲐᲗ ჩაფიქრებული;
მეცა უსიტყვოდ, უძრავად,
ᲪᲘᲡ სვეტად კაქვავებული.

—

რადაც უცნაურ ერთობას,
ვხედავ სანთელს და ჩემს შუა!...
მხოლოდ ვგრძნობ!... თვარა ვერ წვდება
ჩემი გონება და ჭკუა.

—

სანთელი ჩემი ხორცია,
სიტოცხლე—მოკლე ბატრუქი;
ნათელი—ჭკუა-გონება,
იმათგან გამონაშუქი!..

—

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა
და რომ ვიწოდე, ვლნებოდე
არ შემიძლია ეს განა?

—

კი!.. მაგრამ მნათე არსად ჩანს,
ჩემთან მომტანი ცეცხლისა!...
ის მოტიქული მომავლის,
მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!!...

---

*
* *

ზდვაო, ადელდი, ადელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე!
ამთაგორე ტალღები,
კიდეებს გადაცილე!

—

მარგალიტების სალარო
შენი უფსკრული გულია,
მუდროების დროს ის განძი
ქვეყნისთვის დაფარულია.

მხოლოდ როდესაც მრისხანებ;
გულს უხსნი მზე და მოგარეს;
იმ მარგალიტებს შესტეორცნი
შესს შემკვრელს არე-მარეს.

ხოეტო! ნურც შენ ეკრძალვი
მრისხანე გულის ღელვასა!...
ძალის დროს ქუხილს ნუ მოშლი
და სიბნელის დროს ელვასა!..

რამ მოგმარჩინა?

ბურანში მეოფს ტოტხალ-მკვდარსა
ხმა ჩამესმა ტიური რამ:
„ვერ გიმეტებ სასიკვდილოთ!
ჯერ ადრეა!.. ვერ გაგწირავ!!.«

—

თან ჩამოჭვეა, როგორც კიბეს,
სამკურნალო იმ ხმას ძალი:
ვისუნთქე და შევფართხალდი,
გავახილე სუსტათ თვალი.

—

ნათლის შუქმა თვალი მოგვრა,
მომეჩვენა რადაც ბუნდათ...
თითქმის დასი ანგელოსთა
მეხვეოდა მე კარს გუნდათ.

—

ერთს ეჭირა ჩანგი ხელში
სულს ატკბობდა ყღერით... მღერით
და სხვები კი ბანს აძლევდენ,
თანგრძნობით და გულის ძგერით.

ვთქვი: „სადა ვარ? სად მოვსულვარ?
ველარა ვცნობ მე ამ სოფელს!..
ეს ეოფილა, რომ იტყვიან:
ზეცასა და სასუფეველს!!.

—

ეს სიმდერაც მალამოა
წრფელი გულის, წმინდა სულის!..
მშობელი და თვით ნაშობი
ზეციური სიყვარულის!-

—

ეს ვიგრძენ და მისუსტებულს
სამკურნალოთ მიმეძინა..
ვფიცავ, დმერთსა მხოლოდ ამან!..
ამან, მხოლოდ მომარჩინა!..

მლერალ ქალს.

საგანგებოთ მოვდენილო
უზენაესს განგებითა,
სულთან გულის გალამბმელო
მომხიბლავის ჭანგებითა!

—

თვალი გჭამს და გული გელაპარაკ
და მაინც ვერ ძღება გული;
ვარდ-ბულბული შენში თხზულა,
რომ ამაღლდეს სიყვარული.

—

გიუურებ და მაგონდება
თვალ-დათხრილი მე ბულბული,
გატრტვნილ ზამთარს რომ ვერ ხედავს,
თვალ-წინ უდგას გაზაფხული.

—

მოტეუებით მოხიბლული;
აფერადებს ჭანგით ჭანგსა,
ქვეუნით ტოველს გამოიწვევს,
„ტით ფრინველს ლ ზღვით ნიანგსა“

—

შენც ისე ხარ!.. მხოლოდ განზრახ.
ჩვენს აწმეოზე ხეჭავ თვალსა
და ოტნებით წარმოიდგენ
ჩვენ წარსულს და მომავალსა.

—

ხან ქვითინებ გულ-დაწეეტით,
შავ-ქვესკნელში აძვრენ ხმასა,
ხან იმედი ცაში აგეავს
აორკეტებ გულის თქმასა!...

—

ჩამოგვბერე ჩვენც ეგ ძალა,
სულთან გულის გადამბმელო,
რომ ეოგელთვის თვალ-წინ გვედგას
ფერ-მიხდილი საქართველო!...

პ ა ს უ ხ ი

რას მეტევი ძმაო, მისთანას,
რომ არ მსმესოდეს ათასჯერ?
სიტეეას ნუ აჭიანურებ!...
მოკლედ გამოსთქვი... გადასჭერ!!

—

რასაც შენ ამბობ, ეგ ხომ ჩვენც
იმ თავდანვე ვიცოდით?!
წუალი მაშინაც გვარჩობდა!...
ტეტხლში მაშინვე ვიწოდით!...

—

წამალი გვინდა!... წამალი,
შეშფოთებილს მრავალ-სენითა!
ვის გაუგურნავს სნეული
რჩევით და მარტო ენითა?

—

სიუმაწვილეში ერთ ზდაპარს
გამდელი მეუბნებოდა....
დდეს ის ზდაპარი მცნებია მრწამს,
მაშინ კი მეცინებოდა.

—

იმ ზდაპარს ხალხი ეძახის
„უკვდავების წყაროსა“,
დიდ ჭირში გამამხნევებელს,
სასურველ სანეტაროსა.

—

ჭირისუფალი დაეძებს,
მოლხავს კიდით-კიდესა;
არ ერიდება შემთხვევას
ბევრ-ჭირის გადამკიდესა.

—

თავის თავს მისთვის ივიწყებს,
თვალ-წინ უდგია სნეული;
მტერს სასიკვდილოდ შეებრძვის,
გინდ იყოს ქაჯი-გრძნეული.

—

ან შეაკვდება, ან მოჭკლავს,
ხელში ჩაიგდებს „წეარისა“;
მოაქვს და სნეულს ასხურებს,
რომ ადგეს!... გაიხარისა!!

—

მაშინ-კი თავის თავზედაც
ჭზრუნავს ვად-მოხდილ გმირი-გმირი,
ლხინობს და ლხინიც ერგება;
გამოვდილი აქვს მას ჭირი!

—

ჩვენც გმირი გვინდა დღეს ძმაო,
„შკვდავებისა“ მძებნელი!
და არა ნაცარ-ქექია,
ტიტინა, ქუჩის მტკეცნელი!..

პანორამა

ზოგს ის მოწონს, ზოგს ეს მოწონს,
სულ სხვა და სხვა ბევრი რამ:
მე კი ყველას მირჩევნია
ჰაწაწინა პანორამა:

—

ჩაიხედავ — გამოჩნდება
ყველა ნათლათ, უტეუარათ,
გინდ იხმარონ მედის ტუავი
ჰირ-ბადეთ და ხელში თარათ.

—

ყველგან არის... ბევრ-გვარია
ამისთანა საკვრეტელი,
მაგრამ ჩვენში ერთი არის:
„საზოგადო სარბიელი“

—

ვინც გინდათ და ვინც არ გინდათ
აქ შეხვდებიო ყველას ერთად,
გაბერილებ-გაგუდულებს,
თავი მოაქვსთ რადაც დმერთად.

—

ჰირ-ბადეთ და გზა-და-ხიდათ,
გაუხდიათ სიყვარულიო!..
სათვალთმაქცოთ იძახიან:
„ოჰ, სამშობლო!. ოჰ, მამულიო!.“

—

ენა-ჯახრაჯ, საქმე-ხრიკა,
საგულ-კოჭო ლიბერალებს,
უველას, გულში სულ სხვა უძევს!
თავში სხვა რამ უტრიალებს!

—

გვატუუებენ, გვაბრიუკვებენ,
გზას გვიხლართვენ წარა-მარა!..
დროა თვალი გავახილოთ!..
რაც მოგტუუვდით, ისიც კმარა...

—

ვინც იჩემებს მოღვაწობას,
მოღვაწეა განა ველა?
ზოგჯერ თურმე ძალდივით ჰუეფს
მატუარა გულ-მელა.

—

არა, არა! სხვა დრო გვინდა!..
გამოვიდეს სულ სხვა დასი,
რომ ძველსაცა და ახალსაც
ლირსეული დასდვან თასი.

—

ჩვეულება — ტრადიციით
ვინ თქვა ქვეყნის სამსახური?
ვინც ლირსია მას თაკვანი!..
ვინც არა და — მას ჰანდური!..

—

მაშინ ეხლოდ ჩვენი ქვეყნის
წარმატებას დავიჯერებ...
გულს ვაძკერებ საბულბულოთ!..
ჩანგს სავარდოთ ავაყლერებ!..

—

მანამდი კი წინ დაგიდგამთ
გასაცნობათ ბანორამას
და გიმღერებთ იმერულათ
„ბვეგონას“ და „ჩაირამას“.

—

აქ არიან თავ-მოყრილი
სულ ჩვენები და არ უცხო!..
მინდა საგზლათ თვითოეულს
„გამოცანა“ გამოუცხო:

—

აი!.. ხედავთ ამ ვაუბატონს,
უველაზე წინ რომ დამდგარა
და სახეზეც აწერია:
„თავ-მოუვარე!.. მეტიჩარა?“

—

დღეს ერთია, ხვალ მეორე;
აქ სულ სხვაა და იქ სულ სხვა!..
აბრიდივით მოიდარებს,
მარტივით კი იცის სუსხვა..

—

ხან მხარს აძლევს ფარისეველებს,
გოლგოთაზედ მისდევს ქრისტეს
და უველაზე მაღლა ჰუვირის
«წაიუვანეთ! ჯვარს აცვით ეს!“

—

ხან კელაპტრით ლიტანიას
ქრისტიანთან უკლის ერთათ
და იძახის: „ქრისტე აღდგა!“
აღვიაროთ დმერთი დმერთათ“,

—

ხან მტერია მოსისხარი,
ხან მორჩილი—მონა შვილი!..
არც აქ არის, არც იქ არის,
მიხტი-მოხტის, როგორც რწყილი!

—

„ასკეკუკუს“ ბოთამაშე,
„ფიგაროა“ მწერლობაში!...
იმას სცდილობს, მხოლოთ იმას,
რომ ატეხოს რამ გაინგაში!..

—

შეახეთქოს ტოლი-ტოლსა,
მეგობარი მეგობარსა;
მერე შედგეს მადალ სერზე,
გადაძახოს მთა და ბარსა:

—

„შემომხედეთ“, აი, სად ვარ
გმირი, ყოველის შემძლებელი?..
კარზე ყურით მიბმული მყავს
იუდა და ბელზებელი.

—

ჩემი გეგმით, ჩემი რჩევით
ეს ქვეყანა გაჩენილა!..
ზამთარ-ზაფხულს მე ვაყენებ,
ჩემით ცივა, ჩემით თბილა!..

—

ოვით შემოქმედს ჩემი რჩევით
მოუწყვია არე-მარე!..
მე ვათენებ, მე ვადამებ,
მე ამომყავს მზე და მთვარე!

—

მოდით რადა!.. მეთაყვანეთ!..
მე ვარ თქვენი წინამძღოლი!..
მე ვარ მხოლოთ მე! მე! მე!.. მე!..
არვინ არის ჩემი ტოლი!"

—

ამას ეგირის კუდა-ბზიკა!..
გაკვიწედა ეველას ეური!..
წვერიც აქვს და „მე"-საც ბდავის
ვით თხა თხების მეთაური.

ბევრს ატეუებს!.. მის ჩელშია
ჩვენი ცხვრების ბედის-წერა!
მაკრამ ჩვენ-კი უკაცრავათ,
იმისი რამ არა გვჯერა:

—

„მე"-ს რომ ბდავის არ ვარგია
ამისთანა მეთაური!..
თუ კარეთ გელს კადაურჩა,
ძალი შეჭამს შინაური!

ეს ცხადია, მაკრამ მაინც,
კადაკვრია თვალზე ბისტი,
და ეოველკან „მე"-ო ბდავის
ზოგიერთი ჰუბლიცისტი.

(პოეტებს)

ტოტა ნიჭი, ტოტა ტოდნა:
ზედ ქართული ანა-ბანა...
ცა ქუდათ არ მიაჩნია
და ქალამნათ ეს ქვეყანა!

—

ხან რუსთველობს, ხან შავთელობს,
ხანაც მოიჩახრუხავებს...
აძიმწარებს ტკბილ-ქართულსა:
ხან თავს ჭრის და ხან ატეკვებს,

—

საპირადო და საკუჭო
აზრებს აძლევს მადალ ბანსა;
სიტყვებს გააქვს ბრახა-ბრუხი,
როგორათაც ბარაბანსა.

—

წამოუკბავს ტკბილ-ტკბილ რითმებს:
„კუჭო — მუჭო, გულო — ფულო!"
და ბოლოში მიაკერებს:
„ოჭ, მამულო დადუპულო!"

—

ვინც ამ სიტყვებს აბდა-უბდათ
მიაკოსებს... მოაკოსებს,
პოეტია!.. სხვა რა უნდათ
ჩვენ კაჭკაჭა-კრიტიკოსებს?

—

ამ სიტყვებში ეხატებათ:
ხელოვნება — პოეზია!..
ია, ვარდი და სუმბული
მათთვის მხოლოთ ჩადა ბზეა!..

—

ტაშს უკვრენ და იძახიან:
„ვაშა! ვაშა! — გენიაო!..
დაცემული ჩვენი მხარე
ამის ადნადგენიაო!

—

ზეგარდამო შთაგონებით
ცამდი აწეულიაო
და ვინც ამას თაყვანს არ სცემს,
ის ბოროტი სულიაო".

—

შეფეერებულ ვითომ ბოეტს
თავი მოაქვს რადაც დიდათ
და მწერლობას ცხოვრებისთვის
ის იკეთებს გზათ და ხიდათ:

—

ხან აქ არი, ხან იქ არი
მიძვრებ-გაძვრებ-გამოძვრებას!
მაგრამ უფულგან მედიდურობს,
კოლოტივით იბერება.

—

იტის კარგად, რომ ამწონი
და გამზომი არვინა ჭყავს...
რომ კრიტიკოს — კაკკაკები
ვერ არჩევენ ბულბულს და ყვავს.

—

აი, ამან გაასწორა...
მხოლოდ ამან მთა და ბარი
და მიტომაც მრავალია
ბოეტების მაძებარი.

(პედაგოგებს)

მეხრე-ტეტია — მიხაკა
და დვიტიკელა გოგია,
ვინც ქართულს დაამახინჯებს
სუფეელა ბედაგოგია.

—

„კორეი“ და „ვოდოვოზოვი“,
„უშინსკიც“ შეუსწავლიათ:
„ბესტალოც-დისტერვეგები“
არშიათ გარე ავლიათ.

—

მხოლოთ მას იმეორებენ,
რაც სხვისგან გაუგონიათ,
სურამში დაბადებული
ნოვდოროდელი ჭკონიათ!..

—

მათთვის არც გვარი, არც ტომი,
არც ‘ხვანაირი ბუნება!..
სამაიმუნო გამხდარა
მათი ჭკუა და გონება.

—

აი, ხომ ხედავთ ამ ბატონს,
რომ ჭეშმიტდა ჩვენსა შეოლასა
და მითი გულს უკეთებდა
მთა-გაადმიელ მოლასა?

—

ცხადათ აქ იყო, ჩუმათ — იქ,
მტრისა და მოყვრის მსახური!
ჩაიბისმარკა: არ დასწვა
არც მწვადი და არც შამფური.

—

მას თურმე ბედაგოგობა
დაჭქონდა გასაყიდათ
და ჩვენი ახალგაზდობა
დაიდვა გზათ და ხიდათ,

—

და რაც უნდოდა, იშოვნა...
აუხდა გულის წადილი!..
დღეს ეძებს მარტო მეგობრებს;
მზათა აქვს მათთვის სადილი.

—

იცის, რომ კუჭი მაძღარი
ადვილი მოსაგებია!..
მოიხიბლება: ცუდს აქებს
და დაჭგმობს რაც საქებია!..

—

იცის და მიტომ ბატიუობს
დიდს და ბატარას უველასა...
მაგრამ ვის? ინტელიგენტსა
ფუჭსა და დორ-მუცელასა.

—

ოდესთ წავა მათითაც...
ბრმა და ურუ არის სოფელი:
მოუვარე მტერი ჭგონია
და მტერი — შემამკობელი.

—

აი, ამასთან მეორეც
მოდის და მოიფხორება...
ვითომ ვერ იცნობს მოდასა!..
ჩუმათ კი ეანბორება.

—

ეტუობა ბედაკოგიის
ჯერ მაგას არა სცხებია:
ვერ შეუგნია სხვისი რამ,
თავისიც დავიწუებია!..

—

ადარც აქ არის, ადარც იქ!..
ჩამდგარა ორთა წუალთ შუა!..
გამოდმა გრძნობა დაჭარგა
და გადმა დარჩა მას ჭეშა,

—

მაგრამ ხომ გაგიგონიათ:
„ქვეყანას უმუახლოსა
ვირს ვარდისახარს ეძახდენ,
რომ ხელი არვინ ახლოსა?!.“

—

მესამე? მაგრამ მესამე,
მეოთე, გინდა მეასე!..
სულ ერთი გვარის არიან...
შემისწავლია მე ასე.

—

და როცა გამოერევა
ამათში თითო-ოროლა,
როგორც უვავებში ბულბული,
ანუ ჩხიკვებში ტოროლა.

—

აჩხიკვდებიან დიდები,
ადარ აძლევენ შველასა!..
ან და ოვის კერძათ გახდიან,
ან შეაჭმევენ მელასა.

—

ვინდა გაარჩევს ჭადაგოგს
უგვაროსა და გვარიანს,
როდესაც ერთი ფასი აქვს
კვთიასხვესა და ვარიანს?!..

—

სამმიმური

(ბატონიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონის
დასაფლავებაზე წარმოთქმული ლექსი).

ეს საგულისხმო დღევანდელი დღე
საგანგებოა და სახსოვარი,
როგორც ახრდილი ჩვენი წარსულის
და მომავალის ნიშან-დამბარი:

—

ამ გვარი გლოვა და ეს ტირილი
ალარ გვინახავს დიდი ხანია!..
ჭსრანს, რომ წარსულ დროს თვის ჩვეულება
საფლავში თან არ ჩაუტანია.

—

და ისევ თურმე გვიდვიის გულში
ობოლ ნაკვერცხლათ ჩვენი ძველი დრო,
ვით ცისარტყელა ფერადოვანი,
შვების ნიშანი მარად-სამკვიდრო!

—

ვინ მოგვაგონა ეს ჩვეულება?
ვინ შეგვითანხმა ერთგრძნობათ გული?
მან, ვინც დავკარგეთ ასე უდროოთ
და მაღლით იქნა მიწოდებული!..

—

ნერგი სამეფო, შტო ჩინებული..
ჩვენ ნიადაგზე აღმონაცენი!..
ხალხის ნაშობი, თან შენაზარდი
ჭირში და ლხინში ჩვენი და ჩვენი!!

—

შეძლების და გვარ ქვეყნის მოყვარე,
გულის მომგები და საყვარელი!..
აი, ვის იგლოვს ამდენი ხალხი!..
ვის საფლავზეა ცრემლების მდვრელი!!

—

ცვალებადია ჩვენი ქვეყანა!..
მხოლოდ განგება არ შეიცვლება...
მაგრამ მოყვარე და საყვარელი
ქვეყნის მკვდართ რიცხვში არ ჩაითვლება!..

—

აქაც დარჩება, იქაც წაჰყვება,
მას ზნეობრივი მისი ქონება!..
ხალხის გულია იმისი გუბო
და მტკიცე—ტახტი ქვეყნის გონება.

—

მშვიდობით!.. მარად კურთხეულ იყოს
ამ ქვეყნით ჩვენში შენი ხსენება!..
და იქ, დიდებულ წინაპართ-შორის
მისი მიღება და განსვენება!..

— ———

თვალებო!

სარკეო სულის და გულის,
გრძნობა-გონების სარკმელო;
გადადგით მიმტუუბელო,
კარზე წამწამით დამბმელო...

—

თვალებო! ქვეყნის ვარსკვლავთ
მოცემცემ-მოკაშკაშენო!..
თქვენის ნდამატ-სხივებით
უნდა ედემი ვაშენო!..

—

რომ ვწ და სამარადისოთ,
ის იყოს ჩემი სადგური...
სად ევვა ადარ იქნება
და ადარც გველი მატლური.

—

რომ „ცნობადისა ხე“ იგი
ადარ დამეგოს მე მახედ
და სიყვარული უკვდავი
წინ მიელვებდეს დვთის-სახედ.

—

კავიადამებ ოცნებით
მე მაშინ გრძნობა-გონებას!
დმერთად ვიწამებ თქვენს მფლობელს
მსხვერპლად შევსწირავ მონებას!!.

—

წამს სუკუნოთ მივითვლი
მარადათ სუკუნოსა!..
მაგრამ ოცნებით სნეული
ვაჭ თუ ვეღარა მკურნოსა...

—

— თვალებო! ქვეყნის ვარსკვლავათ
მოციმციმ-მოკაშკაშენო!
ჩემი ედემი სხვის კარზე
როგორ ავაგო... ვაშენო?!..

მახვილი თუ ინდუსტრია?!...

კაიძვერა გმირებისთვის
ეს ქვეყანა თეატრია!...
თვალთმაქცობენ და ჰკვირიან:
„მახვილი თუ ინდუსტრია?„

—

ვისაც ქვეყნის ნაცოდვარი
ჯიბეში სქლათ ჩაუერია,
ის ეველაზე მეტათ ჰკვირის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

ჭკუა-მწყრალი, ლიბერალი,
კუჭისთვის რომ მოაზრია,
ბანზე აგდებს სიტყვებს!..ჰკვირის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!..

—

ქურდი თხლეზე დაწერილი,
ბატრონს რომ ზედ მიუსწრია,
თავს იმართლებს და იძახის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

შეხიზნულებს ჩვენს ოჯახში,
სამტროთ თავი მოუურია:
ადარ გვზოგვენ, ჩვენ კი ვეიქრობთ,
მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

რაზედაც ჩვენ მამა-ბაბებს,
ოფლი სისხლათ დაუდვრია,
წაგვართვეს და ჩვენ ვიძახოთ:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!..

—

ვისაც ჩვენი ქვეყნისათვის
ცოცხლათ ტყავი გაუძვრია
რა ნება აქვს რომ იძახოს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!

—

ვინც ბირადის ანგარიშით
ჩვენი წმინდა ამდვრია,
აქვს უფლება იძახოდეს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

ვინც ათასებს მხოლოდ იმას,
ვისაც თავი მოუხრია
განა შეენის იძახოდეს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!

—

ვინც სდევნიდა უველა კარგ კაცს,
რომ კბილები ჩაუმტვრია,
დდეს ნება აქვს, რომ იძახოს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!

—

ვფიცავ დმერთსა, დმერთსა ვფიცავ,
ეს ქვეყანა თეატრია:
უველა სტუეის, ვინც იძახის:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

მხოლოდ კენჭებს ვინც აგროვებს:
ან იერის და ან უერია,
იმას შვენის, რომ იძახოს:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?

—

დიბერალო! შე საბრალო!
რად აჩქარდი? ჯერ ადრია!
კენჭობის დროს უნდა გეთქვა:
„მახვილი თუ ინდუსტრია“?!...

ციფეგის ლექსი.

(სოსიკო მერკვილაძისაგან შეკრებილი)

(ციფებისა და ქალის ბაასი)

თქვენი მტერი და ორგული,
ციფებამ დაგვაღონაო,
დაგვაღნო სანთელივითა
გაგვხადა დრამის წონაო,
მე ამას ვერარ მოურჩი,
თუ არ რა გამიგონაო
და ან რაში შეუფარდი
ჩემში რა მოეწონაო.

ციფეგა

თუ მოგიბრუნდი იცოდე,
ჩაგაწყვეტინებ ხმასაო,
სულ დაგავიწყებ ლექსებსა,
შაირებისა თქმასაო.
ასე გაგიხდი საქმესა,
სიკვდილს აძლევდე თავსაო,
სულ ოხრად დაგარჩენიებ
შენ ჯარასა და ტარსაო.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

რაღას მაწვალებ შიშითა,
თვალებიც გაგხეთქიაო,
დამვრები უჩინარათა,
შე სასიზღარო ჭიაო.
ამის უარესს რას მიზამ,
კბილიც არ შეძრჩა ერთიო
მეტს შენ ვეღარას დამაკლებ,
თუ მწუალობს მაღლა ღმერთიო.

ც ი ვ ე ბ ა

რაზედა მლანძღავ, ოგონავ,
შენ მოგეკიდე შვილათო
ხანდისხან გაგაცივებდი,
ხან გამოფებდი თბილათო.
ჰირს ძლიერ გაგიმწარებდი
წეალსა გასმევდი ტკბილათო,
აწიდაც არ დაგივიწეებ
ხან-და-ხან ვნახავ სილადო.

ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი.

ოგონამ უთხრა რათ მინდ
შე წუწკო მენი ნახვაო,

ჯერ რაც აქამდინ მიქენი,
ისიც ქვეყანამ გმრახაო.
ქურდო! ქურდულათ დაძვრები,
მერალათ გაგხსნია ხახაო,
ჯერ ისიც ამოუშლელათ
ჩემს გულში ჩაისახაო:
შეხვალ თუ არა ოჯახში
კანკალობენ და ჩივიან
აკაწკაებენ კბილებსა,
წელი უწყალოთ ტკივიან,
სიცხე ალმურში ჩააგდებ
მდუღარე ცრემლი სცვივიან.

ცივება.

გული რათ მოგდის, გოგონა,
სიტყვა რათა გაქვს ავია?
თუ რომ შენ კარგათ მიგჭულინტო
ჩემი ნუდარა ბრალია.
საწყალო ვის იმედი გაქვს,
ვინა გყავს მომტირალია?
დაგიდებ თავით სუდარსა,
რომ ყველამ გნახოს მკვდარია.

ქალიშვილი

გოგონამ უთხრა: რა გინდა,
ვინა ხარ, სადაურიხ?
არ მიმძიმს შენი მუქარა
ვითომ ძალლი ჭეეს მურია.
მე შენ ვერ დამიჩათინებ
თუ ვარ ეოჩაღი ქალია,
და მეაგს შემწეთ და მფარველად
ჩემი ხატი და ჯვარია.

ხათაგანი და ეჭათაგანი

(მეგრული ზღაპარი; თქმული ვლადიმერ ჩოჩიასაგან და ჩაწერილი თეოფანე ძველაიასაგან).

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეფე, ჰყავდა სამი ქალიშვილი. ამათ თავის დღეში მზე არ ენახათ, რადგანაც მამას ოთახში ჰყავდა დამწყვდეული, და ყოველ მესამე დღეს ასწონიდა მათ. ერთს დღეს უმცროსმა ქალიშვილმა უთხრა თავის დებს: დებო, მოდით იატაკის ერთი ფიცარი ამოვაგდოთ და ვნახოთ მზის სინათლე როგორიაო! დებმა მიუგეს: ვინც პირველად სთქვა იმან ამოაგდოსო. ადგა უმცროსი და, ამოაგდო იატაკის ერთი ფიცარი, გაიხედა და დაინახა მოშორებით ზღვის პირას ერთი წითელი ვაშლი ეგდო, მოუვიდა სურვილი იმ ვაშლის ჭამისა; სთხოვა დებს წაჰყოლოდენ იმის ამოსატანად, მაგრამ დებმა უთხრეს: ვინც ნახა, იმან მოიტანოსო. წავიდა უმცროსი და, მოიტანა ვაშლი, გათალა, დასჭრა და მიაწოდა თავის დებს საჭმელად. მაგრამ დებმა უთხრეს: ვინც ნახა, მოიტანა და დათალა იმან ჭამოსო. აიღო და შეჭამა უმცროსმა დამ, შეჭმისათანავე დაორსულდა. მესამე დღეს მეფემ, ჩვეულებისამებრ ასწონა ისინი და რა ნახა, რომ უმცროსი ქალიშვილი ზომას გადაცილებულია, განრისხდა და უბძანა ვეზირს: შეუკარი ამ უნამუსოს ხელ-ფეხი, აუხვიე თვალები, წაიყვანე უდაბურს

ტყეში და იმისთანა ადგილზე დასვი, სადაც არც მამ-
ლის ყივილი ისმოდეს და არც ძაღლის ყეფა, იქ ახვე-
ული თვალი აუხსენი, წინ ჯოხი დაუდევი და შენ აქ
მოდიო. ვეზირმა მეფის ბრძანება აღასრულა. გავიდა
დრო, მოახლოვდა შვილის დაბადების დღე. მეტის-მე-
ტი მწუხარებისაგან დაიწყო ტირილი... მაგრამ გადმოვი-
და ზეცით ანგელოზი, აიღო მის წინ მდებარე ჯოხი,
დაჰკრა მიწას და გაჩნდა თორმეტ-საართულიანი სახლი.
დაიბადა ყრმა. თვით ანგელოზმა მონათლა და დაარქვა
სახელად ხათაგანი. ანგელოზმა დალოცა ხათაგანი, დაუ-
ტევა მშვილდ-ისარი, ერთი ფინია ძაღლი და გაფრინდა.

ხათაგანი დედასთან გაიზარდა, ისწავლა მშვილდო-
სნობა, და როცა დავაჟკაცდა, დაიარებოდა ტყეში სა-
ნადიროდ და რასაც ესროდა, არ დააცდენდა; ფინია
ძაღლიც თან დაჰყვებოდა, ნანადირევი ყოველ დღეს
ბლომად მოჰქონდა დედასთან და გაკვირვებული იყო,
რომ არ ჰყოფნიდა. თურმე დედასთან დადიოდა დევი;
ხათაგანმა კი ეს არ იცოდა.

გახდა დედა ორსული ამ დევისაგან; დაებადა ვა-
ჟიშვილი და დაარქვეს სახელად შვათაკანი. გაიზარდა
შვათაგანი, შეუყვარდა თავისი ძმა ხათაგანი და გახდნენ
ძმა-მეგობარნი: ყოველთვის ერთად დადიოდენ ყველგან,
ერთმანეთს არ სცილდებოდნენ და ერთმანეთის მოშო-
რება უმძიმდათ. დევს დაებადა შური ანგელოზის მონა-
თლულისა და ურჩია დედას მისი მოკვლა. დედამ ჯერ
შორს დაიჭირა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა და შეეკი-
თხა დევს: როგორ მოვკლათო? დევმა მიუგო: მაგისი
ფიქრი ნუ გაქვს, როცა იმათ დავინახავ ნადირობიდგან
დაბრუნებულთ, მე მაშინვე გველად გადავიქცევი, კარ-
თან მივიმალები და რა ხათაგანი შემოვა ფეხებზე ვუკ-

ბენ და იქვე გავაგორებო. ასეც მოიქცა. საღამოს მოვიდნენ ორნი ძმანი და რა კიბეზე ავიდნენ, შვათაგანმა სთხოვა ხათაგანს: თუ ძმა ხარ ზურგზე შემომჯექი და ისე შევიდეთ სახლშიო. ხათაგანი დასთანხმდა, შეაჯდა შვათაგანს ზურგზე და შევიდენ სახლში. ამ დროს დევმა, რომელიც გველათ გადაქცეული კარებთან იყო მიმალული, რა დაინახა თავისი შვილის ფეხი და ხათაგანი კი მის ზურგზე მჯდარი, თავის შვილს ვერაფერი უყო. ამით შვათაგანმა გადაარჩინა ხათაგანი სიკვდილს. მეორე დღეს რა ძმანი სანადიროდ წავიდნენ, დევი მიუბრუნდა თავის საყვარელს და უთხრა: მე გადავიქცევი ისევ გველად, ავალ და კარების ზევით შევჯდები, ისინი რომ მოვლენ, ისე მოიქცევიან, როგორც წინეთ, და რა დავინახავ ხათაგანს შვათაგანის ზურგზე მჯდარს, დავეცემი ხათაგანს ზევიდან თავზე ვუკბენ და იქვე გავაგორებო. ასეც მოიქცა, მაგრამ იმედი გაუმტყუვნდა. საღამოს რა მოვიდენ ძმანი შვათაგანმა უთხრა ხათაგანს: ძმაო, გუშინ მე რომ შეგიჯდინე ზურგზე, ახლა მე შემიჯდინე და ისე შემიყვანე სახლშიო! ხათაგანმა შეისვა ზურგზე შვათაგანი და შევიდნენ სახლში. დევმა, რომელიც გველად გადაქცეული კარებზე იყო შემჯდარი, რა დაინახა თავისი შვილის თავი ზევით, ვერაფერი უყო და ამით შვათაგანმა მეორეთ გადაარჩინა სიკვდილს ხათაგანი. მესამე დღეს ორივე ძმანი ისევ წავიდენ სანადიროდ. დევმა მესამედ სხვა ხრიკი მოიგონა და უთხრა თავის საყვარელს: როცა ხათაგანი მოვა, მიეც იმას ეგ მსხვილი თოკი და უთხარი: თუ ვაჟკაცი ხარ, ამით შეიკოჭე ხელ-ფეხი და გაწყვიტეთქო. თუ ეს გაწყვიტა, მერმეთ მიეც ჯაჭვი ტ ბოლოს თავისი შვილდ-ისრის დალეწვა უთხარი და, თუ

ამათგანს რომელიმეს ვერ მოერია, მაშინ მე დამიძახეო. საღამოს ჟამს ნადირობისაგან დაქანცულნი ძმანი წამოვიდნენ შინ. ხათაგანმა გაასწრო შვათაგანს და მარტო მივიდა სახლში. დედამ მიუალერსა თავის შვილს, მოუტანა თოკი და როგორც დევმა დაარიგა ისე უთხრა. ხათაგანმა შეიკოჭა ხელ-ფეხი თოკით და ერთი გაწევით გაწყვიტა. ამის შემდეგ დედამ ჯაჭვი მისცა. ხათაგანმა ესეც გაწყვიტა. ბოლოს თავისი შვიდლ-ისრის დალეწვა უთხრა. გათამამებული ხათაგანი ამასაც სწვდა. შეიკოჭა ხელ-ფეხი შვილდ-ისრით და უნდოდა დაელეწა როგორც თოკი და ჯაჭვი, მაგრამ ვერ მოერია. რა დაინახა ეს დედამ, დაუძახა თავის საყვარელ დევს. დევმა მაშინათვე სიხარულით მოირბინა, დაჰკრა ფეხი მიწას ⁄ უმანკო ხათაგანი ქვესკნელში ჩასძირა.

ამის შემდეგ შვათაგანიც მოვიდა და შინ რომ ხათაგანი არ დაუხვდა, ტირილით გასწია ტყეში თავისი ძმა-მეგობრის საძებრად. ეძება ერთი კვირა, ორი კვირა, სამი, ოთხი, მაგრამ ხათაგანი არსად სჩანს.

ხათაგანს, რომელიც ქვესკნელში იყო, ანგელოზისაგან მოცემული ფინიკ ძაღლი უზიდავდა ნანადირევის ხორცს, ჩაუგდებდა ორმოში და ამითი იკვებებოდა ხათაგანი. იმ მინდორში, სადაც ხათაგანი იყო, დაბინავდნენ მეცხვარეები, ამ მეცხვარეებს შეეჩვია ფინია. ერთ-ხელ, საჭმლის ჭამის დროს, მივიდა ფინია მეცხვარეებთან და წკმუტუნით სთხოვა პური, იმათაც მიუგდეს ცოტა ნაჭერი. ფინიამ სტაცა პირში და გასწია იმ ამოთხრილ ალაგისკენ, სადაც, წყეული მდევისაგან, უმანკო ხათაგანი იყო დატანჯული, ჩაუგდო პური ⁄ ხელახლად მოირბინა მეცხვარეებთან. იმათაც შენიშნეს ძაღლის საქციელი; მეორედ უფრო მოზრდილი პური მიუგდეს, ეხლაც იმ რი-

ვად მოიქცა. ადგნენ მეცხვარეები, მივიდნენ იმ ადგილას და ჩასძახეს: ადამიანი ხარ თუ პირუტყვიო? მათ მოესმათ ადამიანის ხმა, შეეცოდათ მეცხვარეებს, ჩაუშვეს თოკი ორმოში და ამოიყვანეს ხათაგანი. ხათაგანმა მადლობა უთხრა მეცხვარეებს და გასწია შვათაგანის საძებრად. დიდის ძებნის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს და მეტის-მეტი სიხარულისაგან მორთეს ორთავ ტირილი. შემდეგ ინადირეს და საღამოს ჟამს გახარებულნი დაბრუნდენ შინ ნანადირევით.

დევმა რომ ხათაგანი ცოცხლად დაინახა, გაუორკეცდა შური. მეორე დღეს, როცა ძმები, ჩვეულებისამებრ, სანადიროდ წავიდნენ, დევმა უთხრა თავის საყვარელს: მე ეხლავე ღრუბლად გარდავიქცევი, მოვიყვან თბლე და სისხლის წვიმას და ორივეს ერთად დავახრჩობ. საყვარელიც დაეთანხმა. იქცა დევი ღრუბლად, დაედევნა მათ და დაიწყო ისეთი თხლე და სისხლის წვიმა, რომ ნახევარ საათის განმავლობაში, ერთ არშინამდე აიწია თხლე და სისხლმა სიმაღლით. შვათაგანმა უთხრა ხათაგანს: თუ ძმა ხარ, ესროლე შენი ისარი იმ ღრუბელს. ხათაგანმა ესროლა ღრუბელს ისარი და რომ მოხვდა, მათ წინ წივილ-კივილით დაეცა დევი. ხათაგანს ეგონა ზეცას ღვთის ქმნილებას შეეხო და ტირილი დაიწყო, მაგრამ შვათაგანმა ანუგეშა და უთხრა: ეს არის მამაჩემი, რომელსაც შენი სიკვდილი უნდოდა. გახსოვს ერთს დღეს რომ ზურგზე შეჯდომით შეგიყვანე სახლში? ის იმიტომ ვქენი, რომ მაშინ ეს, მამა ჩემი, გველად გადაქცეული, კართან იყო მიმალული და რომ შემოდგამდი შენ ფეხს, გიკბენდა და მოგკლავდაო. მეორე დღესაც მე რომ შეგაჯექი ზურგზე და ისე შევედით სახლში, ის იმიტომ ვქენი, რომ მაშინ ეს, მამაჩემი,

იმ სახით ზევით კარებზე იყო ჩამოწოლილი და ზევიდან თავზე დაცემას გიპირებდა. მესამედ, ამას ხომ შენი თვალით ხედავდი, როგორ ჩაგძირა ქვესკნელში! მეოთხედ ხომ ხედავ ახლა ორივეს დაღუპვა უნდოდა, მაგრამ ჩვენ დავასწარით. ახლა ამისი დარდი ნუ გაქვს, წავიდეთ, მოვშორდეთ ამასო.

საყვარელმა გაიგონა თუ არა დევის სიკვდილი, გასწია წივილ-კივილით სანახავად, მაგრამ რას უშველიდა. ბევრი ტირილის შემდეგ, მოსჭრა თავი დევს და იმისი ტვინით უნდოდა მოეწამლა იმისი მკვლელი.

მოვიდა სახლში, გამოაცხო სამი პური. ერთ პურში დევის ტვინი ჩასდო და სხვა ორი წმინდად გამოაცხო და შეინახა. როცა მოვიდნენ ხათაგანი და შვათაგანა, ასწია დედამ ეს ტვინიანი პური და ხათაგანს მისცა, თავისთვის წმინდა პური დაიკავა და შვათაგანსაც წმინდა პური მისცა. ამას მიხვდა შვათაგანი. მიუბრუნდა ხათაგანს და წყლის მოტანა სთხოვა; დედას ხათაგანის შვილდისრის მოტანა სთხოვა. ესენი რომ წავიდნენ თავ-თავიანთ საქმეზე, შვათაგანმა შესცვალა უცებ პურები, ტვინიანი პური დედას დაუდვა წინ, და დედის წმინდა პური ხათაგანს. შემოვიდნენ დედა და შვილი და მოიტანეს თავ-თავიანთი ნივთი, რის მოტანაც სთხოვა შვათაგანმა. შემდეგ დაჯდნენ და დაიწყეს პურის ჭამა. მესამედი პური რომ შეჭამა დედამ, მკვდარი დაეცა. მაშინ შვათაგანმა უამბო ხათაგანს ყველაფერი, თუ რა მიზეზით მოკვდა დედა. რა დაასაფლავეს დედა, შეჯდნენ ბედაურებზე (აქ „ბედაური“ ნახმარია „რაშის“ მაგიერ. „რაშს“ სამეგრელოში მეტის-მეტ შესანიშნავ ცხენს ეძახიან. მაგ. ამბობენ: წმ. გიორგი ზის რაშზედო) და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მი-

ვიდნენ ერთ ჯვარედინ გზაზე. აქ შვათაგანი მიუბრუნდა ხათაგანს და უთხრა: ძმაო ხათაგან! მე ვარ დევის შვილი, შენ კი ვისი შვილი ხარ არ ვიცი, მაგრამ ანგელოზის მონათლული ხარ და მე ღირსი არა ვარ შენთან სიარულის; ამ გზაზედ მარჯვნივ შენ წადი, მარცხნივ მე წავალ და გავშორდეთ ერთმანეთს, თუმცა გვიმძიმს დაშორებაო. ბევრი ეეედრა ხათაგანი ერთად ვიცხოვროთ, ნუ დავშორდებით ერთმანეთსო, მაგრამ შვათაგანი, რადგან ღირსად არა სცნობდა თავის-თავს იმასთან სიარულისა, არ დასთანხმდა. მაშინ ხათაგანმა აჩუქა თავის სახსოვრად შვათაგანს ანგელოზისაგან მოცემული ფინია; იმანაც მადლობა უთხრა. მერმეთ გამოემშვიდობენ ერთმანეთს ტირილით და გაუდგნენ თავ-თავიანთ გზას. გამოთხოვების დროს შვათაგანმა უთხრა ხათაგანს: გზაზედ შენ შეხვდები მდინარეს, იმაში შენც დაიბანე ტანი და შენს ცხენსაც და ამოსვლისათანავე ოქროს ტანისამოსით შეიმოსებიო.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ხათაგანს შემოეყარნენ წინ მეცხვარეები. ამათგან ხათაგანმა იყიდა ცხვრის ტყავი და გაუდგა გზას. ცოტა ხნის შემდეგ შეხვდა ერთ მდინარეს, შევიდა მდინარეში და დაიბანა ტანი ცხენითურთ და ამოსვლისათანავე ოქროს ტანისამოსით შეიმოსა. შეჯდა ბედაურზე და გაუდგა გზას. იარა, იარა და მივიდა ერთ მინდორში, ჩამოხტა ბედაურიდან, გაიხადა ოქროს ტანსაცმელი, ჩაალაგა ბედაურის ყურში, ლაგამი იქვე ფუღურო ხეში მიმალა და გაუშვა ცხენი საბალახოდ. თვითონ ჩაიცვა ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ტანისამოსი და გასწია მეფის სასახლეში, რომელიც იქვე მახლობლად იყო. მივიდა მეფესთან, თაყვანისცა მას ბ სთხოვა მებაღეობა. მეფემ თავისი ბაღის დარაჯად დააყენა.

ამ მეფეს ჰყავდა სამი ქალიშვილი. ერთხელ მეფის უმცროსი ქალი-შვილი, როცა დასეირნობდა ბაღში, დაინახა ხათაგანი, რომლის სილამაზემ და სახეზე მა-მაცურმა გამომეტყველებამ, მოხიბლა მეფის ქალიშვილი და შეუყვარდა ამ ქალიშვილს ხათაგანი.

გაიარა ამის შემდეგ რამოდენიმე ხანმა. მეფემ შეკ-რიბა თავის საბრძანებელში ყველა წარჩინებულნი, მისცა თავისს ქალიშვილებს თითო ვაშლი და უთხრა: ვისაც, რომელი ყმაწვილი მოგეწონოსთ ქმრად, იმას ესროლეთ თქვენ-თქვენი ვაშლიო. ორმა უფროსმა დებმა ამოირჩიეს ორი წარჩინებულნი და მშვენიერნი ყმაწვილნი და იმათ ესროლეს ვაშლი. უმცროსმა ქალიშვილმა ხათაგანს ესროლა ვაშლი, იმანაც დაიჭირა. მეფემ რა გაიგო უმცროსი ქალის საქციელი დიდად ეწყინა, მაგრამ რას იზამდა, რადგან ნება ჰქონდა მიცემული. დააქორწილეს სამივე თავიანთ არჩეულებზე. ქორწილის გათავების შემ-დეგ, მეფემ ორს უფროს სიძეებს უბოძა უმაღლესი ად-გილი თავის საბრძანებელში, და მესამე უმცროსი სიძე ე. ი. ხათაგანი თავისი ცოლით მიუჩინა მათ მოსამსა-ხურედ. ამის გამო ხათაგანს მუდამ ეჩიჩინებოდა თავისი ცოლი: თავი გამოიჩინე, მუდამ ტყავში გახვეული ნუ დადიხარო, მაგრამ ხათაგანი ყურადღებას არ აქცევდა.

გავიდა ხანი. გახდა მეფის ცოლი ავად. ექი-მებმა ახალი მოკლული ტახის გული გამოუწერეს. ამის გამო უფროსი სიძეები წავიდნენ ტახის მოსაკლა-ვად. ხათაგანიც მივიდა და სთხოვა მეფეს ცხენი. მეფემ გაიცინა და ფეხ-მოტეხილი ცხენი მისცა. შეჯდა ხა-თაგანი და წავიდა ტახის გულის მოსატანად. მივი-და იმ მინდორში, სადაც თავისი ბედაური ჰყავდა გაშვე-ბული. გამოიღო ხის ფუღუროდან ლაგამი, დააჩხარუნა

და მაშინათვე იქ გაჩნდა იმისი ბედაური. ამოიღო ბედაურის ყურიდან უნაგირი და შეკაზმა. მერე ამოიღო ოქროს ტანისამოსი, გაიხადა ტყავის ტანისამოსი, და ის ჩაიცვა. მეფისგან მიცემული ფეხ-მოტეხილი ცხენი იქ დასტოვა, თვითონ შეახტა ბედაურს და სულ ფრენით გასწია ტყისკენ. იქ ჩამოჯდა ერთ ალაგას, ამოიღო ბედაურის ყურიდან ჩონგური, დაუკრა და დაიწყო სიმღერა. რა მოესმათ ჩონგურის ხმა და სიმღერა მხეცთ, ნადირთ, ქვეწარმავალთა და ფრინველთ, შემოიკრიბნენ ყველანი ხათაგანის გარშემო და დაუწყეს სმენა. უფროსმა სიძეებმა ბევრი იარეს, მაგრამ ტახი თვალითაც ვერ დაინახეს. ბოლოს სიძეებმა დაინახეს ხათაგანი, რომ უკრავდა ჩონგურს და გარშემო ყოველნაირი ცხოველი შემოკრებილი ჰყავდა. სიძეებმა ხათაგანი ვერ იცნეს, მივიდენ და მდაბლად თავი დაუკრეს. ხათაგანმა თუმცა იცოდა მათი ვინაობა, განგებ დაუწყო ვინაობის გამოკითხვა. იმათაც ყველაფერი უთხრეს, და ბოლოს სთხოვეს ტახის გული. საფასედ რას მომცემთ, ტახის გული რომ მოგცეთო? ჰკითხა ხათაგანმა.—სულის მეტს ყველაფერსო, მიუგეს. ადგა ხათაგანი, დაჰკლა ტახი, ამოიღო გული, მისცა მათ, და საფასედ ერთს სიძეს პატარა თითი მოსჭრა, მეორეს ყური, შეხვია ესენი ქაღალდში და ჩაიდო უბეში. რა სიძეები გაშორდენ ხათაგანს, ადგა, ამოარჩია ფრინველებში ფეხ-მოტეხილი ბეღურა წამოიყვანა ეს და წამოვიდა. მივიდა თავის მინდორზე, სადაც ცხენი ჰყავდა დაბმული. იქ გამოიცვალა თავისი ტანისამოსი, შეჯდა ფეხ-მოტეხილ ცხენზე და მოვიდა სასახლეში. ეს ფეხ-მოტეხილი ბეღურა თავისი ცოლის ხელით შეუგზავნა მეფეს. ამ დროს სიძეებიც მოსულიყვნენ და რა დაინახეს ფეხ-მოტეხილი

ბელურა, დაიწყეს ერთი ამბავი, სიცილ-ხარხარი; გლახას მეტი რა შეეძლოო, ამბობდნენ... იმას კი არ ფიქრობდენ და არ აცხადებდენ თუ რამდენად დაუჯდათ ტახის გულის მოტანა. დედოფალი ცოტ-ცოტათ გვარიანად შეიქმნა და ბოლოს მორჩა.

გაიარა ხანგრძლივმა დრომ დედოფლის მორჩენის შემდეგ, დაეცა მეფეს მტერი. მეფემ საწინააღმდეგოდ გამოიყვანა ურიცხვი ჯარი უფროსი სიძეების წინამძღოლობით. ასტყდა ომი. მთელი თვე ომობდენ, მაგრაა ჯერ გამარჯვება არ სჩნდა, ბოლოს საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ მეფე ერთობ უნდა აეკლო მტრის შემოსეულს ჯარს. ხათაგანმა რა გაიგო ეს ამბავი, გასწია იმ ალაგას, სადაც ჰყავდა თავისი ბედაური. გამოიღო ფულუროდან ლაგამი, დააჩხარუნა, მოვიდა ბედაური, შეჰკაზმა, თვითონაც შეიმოსა თავისი ძვირფასი ტანისამოსით და სულ ფრენით გასწია მტრის ბანაკისაკენ, დაეცა მტრის ჯარს და სულ ამოწყვიტა. ბოლოს ხათაგანმა ნეკი გაიჭრა განგებ და სისხლმა იწყო დენა. ეს რომ მეფემ დაინახა მაშინვე ამოიღო თავისი ძვირფასი ხელსახოცი და მით შეუხვია თითი. თითის შეხვევისათანავე ხათაგანმა ჰკრა დეზი თავის ბედაურს და ფრენით წავიდა. რა ეს ნახეს მეფემ და მათმა მხლებლებმა გაუკვირდათ, რადგანაც ზეცით მოვლენილი ანგელოზი ეგონათ. გზაგზე სიარულის დროს სულ ამ ამბავში იყვენ. ბოლოს მოვიდენ სატახტო ქალაქში, ღმერთს მადლობა შესწირეს და გამართეს ნადიმობა.

ხათაგანს ცალკე ქოხი ედგა და იქ სცხოვრობდა თავისი ცოლით. ამ ნადიმობის დროს, რადგანაც მას ჯრავინ პატიჟობდა, გაიხსნა შეხვეული თითი და ჭრილობისაგან დაიწყო სისხლმა დენა. ხათაგანის ცოლმა

შემოიხედა გარედან და რა დაინახა თავისი ქმარი ოქროს ტანისამოსით შემოსილი ზის სკამზე, ერთი ხელიდან სისხლი მისდის და მეორე ხელში მეფის ხელსახოცი უკავია, ჯერ განცვიფრდა და მერმე სიხარულით თავის დებს უთხრა ეს ამბავი. დებმა იუკადრისეს, როგორ ბედავ ჩვენთან ამ ნაირ ტყუილის თქმასო? და გაჯავრებულებმა თოთხმეტ-სართულიან სახლიდან გადმოაგდეს თავისი უმცროსი და. როცა ეს წივილ-კივილით ეშვებოდა ზევიდან, მაშინ ხათაგანს შემოესმა ეს, შეახტა თავის ბედაურზე და გასწია თავის ცოლისკენ, მივიდა, სტაცა ხელი ცოლს და შეხტა აივანზე, მერე მიუბრუნდა თავის ცოლის დებს და უთხრა: არა გრცხვენიათ, რომ თქვენი უმცროსი და უდანაშაულოდ სასიკვდილოთ გაიმეტეთ?

ამ ხმაურობის გამო, მეფე და სიძეები გამოვიდენ აივანზე და რა დაინახეს უცხოთ მოწყობილი კაცი გაუკვირდათ. მეფემ მაშინათვე იცნო ხათაგანი, გადაეხვივნენ ერთმანეთს და შეექმნათ დიდი სიხარული. ბოლოს ხათაგანმა უთხრა სიძეებს: ვინ მოგცათ თქვენ თქვენის სიდედრის ავად ყოფნის დროს ტახის გული და ან საფასეთ იმ კაცმა რა გამოგართვათო? სიძეებმა მიუგეს: რა ვიცით, ბატონო, თქვენისთანა ადამიანი ბძანდებოდა და საფასეთ ერთს, ერთი თითი გამოგვართვა და მეორეს ყურიო. ჰა შენი თითი და ჰა შენი ყურიო და მისცა ხათაგანმა. მერმედ მეფეს თავისი ხელსახოცი დაუბრუნა. ამისთანა ამბავი მეფეს მეტის-მეტად იამა. თავისი ტახტი ხათაგანს დაუთმო, აკურთხა ორივე ცოლ-ქმარნი და უფროსი სიძეები იმათ მოსამსახურეთ გახადა.

ხათაგანმა თავის მეფობის დროს ბევრი ეძება თავისი ძმა-მეგობარი შვათაგანი და, ბოლოს, რა გაიგო იმისი სიკვდილი, ბევრი იტირა, და შემდეგ, იმის სახსოვრად, აუგო შვათაგანს მშვენიერი ძეგლი თავის სატახტო ქალაქში.

გუშინ იქ ვიყავი და დღეს აქ გამომგზავნეს, ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

ოქრუა

(ზღაპარი, ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძისაგან).

იყო და არა იყორა, იყო ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ერთი ვაჟიშვილის მეტი არა გააჩნდარა. მამა დღე და ღამე იმის საცადში იყო, რომ შვილისათვის ბლომათ სიმდიდრე დაეტოვებინა.

შვილი წამოიზარდა — გადააბიჯა ოცს წელიწადს თუ არა, გაიჩინა ძმა-კაცები და ქეიფს მიჰყო ხელი. მამას, რა-საკვირველია, ეს შეუნიშნავი არ დარჩა და ძალიანაც სწუხდა, დარიგებაც ბევრჯელ მისცა, მაგრამ შვილი მაინც თავისას არ იშლიდა და ბედოვლათობაში იქანცებოდა.

ერთხელ მამა ძლიერ ავათ გახდა, სიკვდილის პირს მიეწურა, მაშინ დაიბარა შვილი და უთხრა:

— შვილო ოქრუა! მე ვკვდები და მსურს ანდერძი დაგიბარო თუ შემისრულებო.

— გაძლევ მაღლა ღმერთს და ძირს დედამიწას შენი ანდერძი არ დავარღვიო და შევასრულოვო, უთხრა ოქრუამ.

— ძაშ, კარგი შვილო! ოთხ რამესა გთხოვ, რომ შემისრულო:

პირველი: რა გინდ რომ ძრიელ საშური საქმე გქონდეს, რეკა რომ გაიგონო გადაუხვიე, მიდი საყდარზე, ღმერთი ილოცე, ხალხს გამოელაპარაკე და ისე წადი შენ გზაზეო.

მეოთხე: ბრბო ძმა კაცებს ერიდე, გზაზე რომ მიხვიდოდე და შეჩერდე — თუ ამხანაგმა არ შეგიცადა ის სანდობი არ არის და მოერიდეო. სანამ კაცი მგზავრობაში და საქმეში არ გამოიცნო მეგობრათ ნუ გაიხდიო.

მესამე: ქალს ყოველიფერს შენს საიდუმლოს ნუ ეტყვი, ცოლს ის უთხარი რაც მის სათქმელად საჭირო იყოსო.

მეოთხე: თუ ვინიცობაა ძალიან გაგიჭირდეს ცხოვრება, სასოწარკვეთილობამ დაგძლიოს და თავი სასიკვდილოთ გაიმეტო, მაშინ აი ზევით, ამ შუა სხვენზე რომ თაკავია მიჭედილი, იმაზე ჩამოიღჩვე თავიო. შვილმა პირობა მისცა ყოველივე ნაანდერძევს შეავასრულებო.

კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოქრუას მამა, ოქრუამ როგორც რიგი იყო ისე გაასვენა, ყოველივე რიგი და წესი შეუსრულა მიცვალებულ მამას და მგლოვიარებაში ჩადგა. — მაგრამ გარშემოხვეულმა ძმა-კაცებმა მაინც არ მოასვენეს, შავი თითქმის ძალათი შემოახიეს და გულ-ჯავრის გადასაყრელად საქეიფოდ გაიტაცეს.

სანამ ოქრუას ქონება ბ შეძლება ჰქონდა, თითქმის დასაძინებლად არ ეცალა, გამუდმებით ქეიფობდა. მამის სიკვდილის ოთხი-ხუთი წლის შემდეგ თანდათან შამოაკლდა ქონება და ბოლოს მთლათ გაღარიბდა, ძმა კაცებიც შამოშორდენ. გზაში რომ შეხვდებოდენ ოქრუას ძმა-კაცები, პირს მოარიდებდენ და გამარჯობასაც აღარ ეუბნებოდენ. ოქრუა დარწმუნდა, რომ ყველა მისი ძმა-კაცები მხოლოდ მისი ქონების მეგობრები ყოფილან — იმისი კი მტრები და დამღუპელნი. დარწმუნდა, მაგრამ ეს გვიანლა იყო, მაშინ გასაფთხილებელიც აღარა ჰქონდარა.

იგი ნახევარჯელ მშიერი დადიოდა და ლუკმის მიმწოდებელი არავინ ჰყავდა. ყველაფერი გაყიდა და გაფლანგა ქეიფობაში, დარჩა მხოლოდ მამა-მისის სადგომი სახლი, რომელსაც არაფერი გაჭირვებისათვის არ ელევოდა.

ერთხელ სხვაგან წავიდა და გზაში საქეიფო ბაღებთან ჩაიარა, დაინახა რომ ერთ ბაღში ყველა ადრინდელ ძმა-კაცებს მოუყრიათ თავი და გახურვებულ ქეიფში არიან. ოქრუას კიდევ არ მოუთმინა გულმა და მოინდომა მათთან შესვლა. მებაღემ რომ კარებში არშეუშვა — „შენისთანა დახეულ-დაგლეჯილს აქ რა უნდაო“ — ლობეზე გადახტა და მივიდა მათთან. მათ შემოუცაცხანეს და არ მიიღეს: „საიდან მოთრეულხარ, გასწი დაიკარგე აქედგანაო..“

— ხალხო! მე თქვენი ძმა-კაცი და მეგობარი ოქრუა არა ვარ? მთელი ჩემი ცხოვრება თქვენ შეგაჭამეთ და ახლა ვეღარა მცნობთ, რომ დავღარიბდიო?

— რას როტავ ვინ ოქრუა, რა ოქრუა! აქედგან გაეთერი, თორემ სულ ყიწის კვრით და პანღურით გაგათრევთ აქედგანო და სხვა.

ამ ლაპარაკში და დავიდარაბაში ძაღლს ცეცხლზე დაფიცხებული მწვადი მოეტაცა, სტაცეს ხელი ოქრუას მისწი-მოსწიეს: თქვი მწვადი რომ მოიპარე, სად წაიღეო.

— არა, ღმერთი რჯული, მე მწვადი არ მამეპაროს. მე დავინახე, რომ ერთი ყურშია ძაღლი მიარბეინებდა შამფურიან მწვადსაო.

— რას ყბედობ! შამფურიან ცხელ მწვადს ძაღლი როგორ წაიღებდა? ასეთი ტყუილიც გაგონილაო? და მო-

სცხეს საწყალ ოქრუას და სულ კისრი-კვრით გამოაგ-
დეს ბაღიდგან.

გალახული და შეურაცხყოფილი ოქრუა საშინე-
ლი დაღონებული მიდიოდა შინისაკენ, თვალ-ცრემლი-
ანი და სრულიად სასოწარკვეთილი ამბობდა: ავიკიდე
ამოდენა ძმა-კაცები, მთელი მამიჩემის დანატოვარი სა-
ცხოვრებელი ამ ოხერ ხალხს შევაჭამე, რომელნიც დღეს
მადლობისა და სამაგიეროს გადახდის ნაცვლად, აღარც
კი მცნობენ, მცემენ და შეურაცყოფასაც კი მაყე-
ნებენო. მამიჩემის ანდერძიც დავარღვიე და მისი საფლა-
ვიც შეურაცხვყავი, ამის შემდეგ მე სასიცოცხლო პირი
აღარა მაქვს და სიკვდილი ჩემთვის ერთად-ერთი მკუ-
რნალიაო.

და მტკიცედ გადაიწყვიტა გულში ოქრუამ თავის
მოკვლა. მივიდა სახლში, შეხედა სხვენში თავკავს და
თქვა: ამ ერთს ანდერძს მაინც შეუსრულებ მამა ჩემსაო:
მიიდგა საფეხური, ჩამოაბა თოკი, გაუყარა მარყუჟში
თავი და გამოიცალა ფეხებიდგან საფეხური; ჩანგალი
მოძვრა და თან ჩამოყვა ნახევარი ადლი ალიზით გალე-
სილი სხვენი. ოქრუა დაეცა ძირს და თავზე რამოდენიმე
პევშვი ოქროები დააცვინდა.

განსვენებულს მამას წინდა-წინვე ეგრძნო, რომ შვი-
ლი ქონებას გაფლანგავდა და ამ გაჭირვების დღემდინ
მივიდოდა. ალიზით გალესილ სხვენში ოქროები ჩაე-
ფლა და ზედ ჩანგალი მიემაგრებინა. ოქროამ ილოცა
კეთილი მამის სული და თაყვანი სცა მის საფლავს.
ამის შემდეგ ოქრუამ წამოიწყო ხელი, ზოგიერთი გაყი-
დული და გაფლანგული მამულიც დაიბრუნა, შეირთო
ცოლი და ცხოვრობდა თავისთვინ ბედნიერათ.

დაკარგულმა ძმა-კაცებმა გაიგეს თუ არა ქონება

შეუძინიაო, ისევ დაუწყეს ძებნა, ცდილობდენ ისევ ოქრუასთან დამეგობრებას. ერთხელ ოქრუამ დაპატიჟა ყველა თავისი ძველი ძმა-კაცები და გაუმართა კარგი სადილი. ოქრუას ყველა წარბში შეყურებდა და რასაც ოქრუა იტყოდა, ყველა იქ მყოფი მოწიწებით ემოწმებოდა, მაშინ ოქრუამ დაიწყო:

— იცით რა საკვირველი და განსაცვიფრებელი ამბავი მამივიდაო?

— რა, ბატონო, შენი ჭირიმეო?—მოესმა აქეთ-იქიდგან ხმები.

— წარმოიდგინეთ, ერთი სავსე სარდაფი რკინა მთლათ თაგვებმა დამიხრეს და შემიჭამესო.

ყველანი დაემოწმენ: „ადვილი შესაძლებელია ბატონო ოქრუა. აბა, მად რა არის გასაკვირვალი, თაგვები, არა თუ რკინას, თუჯსაც კი ადვილათ გამოხრავენ და შესჭამენო.

— მაშ თუ აგრეა, რომ ერთ სარდაფ რკინასა და თუჯს შესჭამენ თაგვები, თქვენ ღორ-მუცელა მლიქვნელებო, ერთ მწვადს ვერ მოიტაცებდა და ვერ შესჭამდა ძაღლი?! ადეთ, ადექით გამეცალეთ და დაიკარგენით ჩემი სახლიდგან, რომ თქვენი ფეხი ჩემმა კარ-მიდამომ აღარ ნახოს.

და გარეკა გარეთ მთელი მისი ძმა-კაცები, მოშორდა სამუდამოთ იმათ ბრბოს და ცხოვრებდა ბედნიერათ თავის ცოლ-შვილში.

ერთხელ ოქროუა გაემგზავრა ორი დღის სავალზე. ისეთი საჩქარო საქმე ქონდა, რომ ერთი წემით შეჩერებაც არ შეეძლო გზაში. დილას წირვის დროზე გაჩქარებული რომ მიაგოლვებდა თავის ლურჯას, რეკა გაიგონა, მას მაშინვე მოაგონდა მამის ანდერძი, მაშინვე გა-

დაუხვია, ცხენი გალავნის გარეთ დაბა, თვითონ შევიდა საყდარში ᲯᲔ გულ მხურვალეთ ლოცვილობდა წირვის გამოსვლამდინ. წირვის შემდეგ გაეცნო, გამოელაპარაკა ზოგიერთებს, გამოჰკითხა გზის ვითარებაც, რომელიც უნდა იმ ღამეს გაევლო. გაიგო, რომ ადიდებულ მდინარეებს ხიდები მთლათ დაუხვეტია და სანაპირო ჩასავალი გზებიც ისე არის დახრამული, რომ, არა თუ ღამე, დღისითაც გაუძნელდება კაცს მგზავრობაო.

— ამაღამ აქ მოითმინეთ, თორემ უადგილო-ადგილებში დაგიღამდებათ და საფათერაკო მგზავრობა შეგექმნებათო. ხვალ გამოცდილი მგზავრი იახელით, რომელმაც გზაც ᲯᲔ წვრილი ბილიკებიც კარგათ იცის ᲯᲔ წყლების ფონიცა, უთხრა ხალხმა.

მეორე დღეს ოქრუა გაემგზავრა დილა ადრიან და ბევრი განსაცდელიც გაირა გზაში, თუმცა გზისა ᲯᲔ ფონის მცოდნე მგზავრიც კი ახლდა თან. ოქრუამ დაიწერა პირჯვარი და დალოცა მამის საფლავი: რომ არ გადამეხვია საყდარზე და ყოველივე ეს არ გამეგო, ახლა მე ცოცხლებში აღარ ვიქმნებოდიო, ამბობდა გულში და ღმერთს მადლობას სწირავდა.

გავიდა კარგა ხანი და ერთხელ ოქრუას აზრათ მოუვიდა ცოლის გამოცდა. საღამოზე, როცა შინ მიდიოდა და მიაღწია სასოფლო წყაროს სიახლოვეს, ერთი ჯირკი დამარხა მიწაში და სახლს რომ მიუახლოვდა, ცხვირში ხელი შემოიკრა, სისხლი წაიგდო, პირის სახე და ჩოხა ახალუხის კალთა-გულის პირი მისვარ-მოისვარა სისხლით ᲯᲔ შევიდა შინ აღევლებული. შეშინებული ცოლი მაშინვე მივარდა: — ეს რა ამბავია ოქრუა ჩვენს თავზე რა მოგივიდა?

— ჩუ! დედაკაცო! გაჩუმდი არავინ გაიგონოს და

არ დავიღუპოთ. ცეცხლი დაანთე, რომ სისხლიანი ტანისამოსი დავსწვა და წყალი მომიტანე, რომ თავ-პირი დავიბანო.

— ნუ გადამრიე, მითხარი რა ამბავია? ემუდარებოდა თვალცრემლიანი ცოლი.

— რომ გამამხილო სადმე დავიღუპები და ვერ გეტყვი.

— რას ლაპარაკობ! რას ქვია გაგამხელ, მე ჩემი თავის დაღუპვას მოვინდომებ? აბა რას ამბობ? მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ნუღარ მაწვალებ.

— მაშ კარგი და თუ სადმე წაგცდა, მაშინ ჩემი დაუღუპელობა აღარაფერს შეუძლია.

— თქვი ბეჩა რა იყო? გული ნუ გადამილიე.

— რა იყო და ჩვენ წყაროსთან ჩხუბში კაცი შემომაკვდა და იქვე ჩავფალი მიწაში, ქვეყანაზე არავის არ უნახავს. ახლა ეს ტანისამოსი დავწვათ, წყალიც მამიტანე დავიბანო, რომ არაფერი ნიშან-კვალი აღარ ეტყობოდეს. ტანისამოსი დასწვეს, ოქრუამ დაიბანა და ჩაიცვა სხვა ტანისამოსი.

მეორე დღეს დილას მთელი სოფლის დედაკაცები დამწკრივებულიყვნენ კოკებით და მიდიოდენ წყაროზე, ოქრუას ცოლმა დაინახა თუარა კოკებით დამწკრივებული ქალები, იმანაც წამოავლო კოკას ხელი, აიხვია ცხვირ-პირი და მიეწია ქალებს. შუა გზა არ ჰქონდათ ჩავლილი, რომ ოქრუას ცოლი, ოხვრა ხვნეშის შემდეგ, ფშლუკუნს მოყვა და თავსაფრის ყურიდ ცრემლ-მორეული თვალების წმენდა დაიწყო.

მთელ ქალებს ცნობის მოყვარეობა აღუძრა. „ნეტა რა მოგვივიდა, ქალო, რატომ არ გვეტყვი“ მაგრამ ოქრუას ცოლმა უფრო სლუქუნს მოუმატა.

— ნეტა რა შეგემთხვა თქვი, ქალო! ბეჩა და იმისთანა რა უნდა იყოს, რომ თქმისა გეშინოდეს? ავათმყოფი ხომ არავინა გყავსთ, ან ხომ არავინ მოგკდომია?

— არა! არა! გენაცვათ ნუ მკითხამთ, რაც არი არი, ყველამ თავის ვარამი და ცეცხლი თვითონვე უნდა მოიქარვოსო.

— ბეჩა და რა არის მისთანა თქვი, ქალო? მტრები ხომ არა ვართ და ურჯულოები, რომ ვაგვეხარდეს; ნათქვამია: „ჭირის თქმა დამწვარ გულს ნახევრად ანელებსო.“

— აჰ! ვერ გეტყვით, გენაცვალეთ! მეშინია წამოგცდებათ სადმე და დავიღუპები ქმარ-შვილიანა.

— ვაი! რისხავდეს მაღალი ღმერთი და ძირს დედამიწა ვინც გაგამხილოს! განა ჩვენ მაგისთანეები ვართ, რომ არ გვენდო?

— გეტყვით და აბა არსად რა წამოგცდესთ-რა, თქვენი ჭირიმეთ.

— არა, ღმერთი იყოს თავდები!.

— მაშ სუნი არაფერი მოგდით ახლა თქვენა?

— რისი?... რა სუნი?... არ ვიცით.

— ბეჩა! მე ცხვირ-პირი მაქვს ახვეული და კიდევ მომდის სუნი ჯ თქვენ რამ დაგიბიდგნათ ეგ ცხვირები? ყველანი გაკვირვებულნი ერთმანეთს ავლებდენ თვალებს და ვერაფერი ვერ გამოეცნოთ.

— თქვენი ჭირიმე, არსად წამოგცდესთ: წუხელის ჩემ ქმარს აქ, ეშმაკათ და ქაჯათ, კაცი შამოკდომია და აი ეგერ რომ ნაყარი მიწა მოჩანს იქ დაუმარხავს.

— უიმე! გენაცვალეთ თურმე იმისი სუნი არ მოგვდიოდა! — წამოიძახეს ქალებმა და სუყველამ ცხვირ-პირი

აიხვიეს.—ფუი! ფუი! რა საშინელი სუნი ასდენია ასე ჩქარა და სხვ.

ამ გვარათ ცხვირ-პირ ახვეულები ამოვიდენ სოფელში, სადილობამდინ მთელ სოფელში მორწყეს ამბავი, ჩქარა მსაჯულებმაც გაიგეს. ოქრუა დაიჭირეს, საქმე შედგა, ქვეყანა აყაყანდა და საქმემ მეფის ყურამდინაც მიაღწია. რადგანაც ქვეყანა კაცის მკვლელათ აღიარებდა ოქრუას, საღჩობელა გადაუწყვიტეს და მეფემაც ამაზე დასტური ბძანა. ოქრუამ ბოლოს ბევრი იყვირა: არა ვარ დამნაშავე კარგად გამოიძიეთო, მგარამ ყურადღებაც არავინ მიაქცია და ჩამოსაღჩობათ ქალაქში გაამგზავრეს. როცა ოქრუა მიყავდათ სოფელში ცოლი წამოეწია და დაუძახა:

— ოქრუა! თუ ვინიცობაა სიკვდილს გადარჩე, ქალაქიდგან ერთი სანიფხვე შეიდიში წამომიღე—არ დაგავიწყდესო.

რამოდენიმე კვირის სიარულის შემდეგ ოქრუა მიიყვანეს ქალაქში. როცა დასაღჩობათ წაიყვანეს მეფეს ებძანებია: „საღჩობელაზე რომ აიყვანოთ, უკანასკნელი სიტყვა რაცა სთქვას მომახსენეთ და შემდეგ ჩემის ბძანებისა ჩამოახჩეთო.“

როცა ოქრუა საღჩობელაზე აიყვანეს, ძირს დაუბრუშდა... ფეხი.

— თქვი რამე უკანასკნელი სიტყვაო უთხრეს ოქრუას, როცა მარყუჯში თავს აყრევინებდენ.

— რა ვქნა! ჩვენს მეფეს, ჩემს ცოლს და ამ ჩემს... ფეხს ერთი ჭკუა აქვსო.

ბრძანებისამებრ ეს სიტყვები მაშინვე მოახსენეს მეფეს. მეფემ ბძანა ოქრუას მიყვანა. ოქრუა მიიყვანეს

მეფესთან. მეფემ უბძანა: შენ რა გითქვამს სარჩობელაზე, როგორ გაბედე იმ სიტყვის თქმაო?

— ვიღას მოვერიდო, შენიჭირიმე, მაღჩობენ და სიკვდილის წინ სიმართლე როგორ არ უნდა გავბედო.

— აბა რა არი სიმართლე იმ სიტყვებში, მითხარიო უბძანა მეფემ?

— როგორ სიმართლე არ გახლავსთ, შენიჭირიმე, მოახსენა ოქრუამ: მამაჩემმა ანდერძით დამიბარა, ქალს შენ საიდუმლოს ნუ ეტყვიო. მე ცოლის გამოსაცდელათ ჯირკი ჩავმარხე ჩვენ წყაროსთან, ცხვირ-პირი სისხლით მოვისვარე და ცოლს უთხარი, არიქა კაცი შამამაკვდა და არ გამამხილო მეთქი. იმან მთელ ქვეყანას მოსდვა, მე დამიჭირეს თქვენგან დაყენებულმა მსაჯულებმა, არც კი გამოიძიეს რიგიანათ საქმე, ჩემს სიმართლეს ყური არ ათხოვეს ჯ თქვენც საღჩობელა გადამიწყვიტეთ ასე ალალმართალ კაცს.

როცა დასაღრჩობად მივყავდი დარაჯებს, ჩემმა ცოლმა მაშინ მამაყვირა: „კაცო, თუ თავი გაითავისუფლო სიკვდილისაგან, ერთი სანიფხვე შეიდიში წამამიღე ქალაქიდგან არ დაგავიწყდესო.

როდესაც საღჩობელაზე ამიყვანეს და თავს მაყოფინებდენ გამომაყურჭებულ თოკში, მაშინ დამიბრუშდა ძირსაო და აბა სად არის წესი და რიგი, ჭკუა და სიმართლეო.?!

მეფემ გამოიძია, ოქრუას ყველა ნათქვამი სიმართლე აღმოჩნდა. მაშინ მეფემ განათავისუფლა, ოქრუა და სხვა საჩუქრებთან ერთათ თავის ხალათიც უბოძა:

ჭირი იქ და ლხინი აქ,
ქატო იქ და ფქვილი აქ.

ხალხური ლექსები

(შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისა)

შიმშილ-სენნიდან კამხარი
,კამბეჩი მიდის ტყეშია.
— წადი ჩემ ჰატრონს უთხარი
დანა გაირჭოს წელშია..,

—

— ვაიმე, ჩემო კამბეჩო,
მე შენ არ გამეშვ ტყეშია,
ნეტა მანათი მემლია
თითო კალათა ბზეშია.

—

— მაცალე, გაგახსენდები
დიდი აღმართის ყელშია,
შეგებას წვრილი მოზვრები
იწმაწნებოდენ წელშია.

—

— მუხრანელი ხარ კამბეჩო,
ულელი გეცოდინება.
— მთას ვიყავ, მთას გავიზარდე
კიდევაც მეჩოთირება.

—

ჩემ მტერსაც დააღამდება
ავჭალასა და მცხეთასა:
სახლში არავინ შეუშვებს,
სიცივე მოჰკლავს ბეჩავსა.
წისქვილს ჰური მიურიგე
ჩამოვიდა მინდობითა,
მე წავალ და ღმერთსა შევსთხოვ
კიდევ გნახოთ მშვიდობითა.
ტუეში წაველ ხე მოვსჭერი
და გავთალე ნავათა,
თუ რომ თავი შეგაწუინეთ,
ნურას უკაცრავათა.

—

სიბრძნე ისე ძნელია
სიპ ქვასა დაედარება,
ილევა ჟამთა ბრუნვისგან
ნაძლევსა დაემზგავსება

—

დაჯდება ვეღარ ადგება.
ადგომა დაეზარება,
სიმართლეს ლაპარაკობდეს
არვისგან დაეჯერება.

*
* *

აბრამის ლექსი.

აბრამი მოდის წირვიდგან
წინ სტუმარი შემოხვდება:
— აბრამ, სადილი მაჭამე
წირვის მადლი შეგეწევა,
თურმე ქრისტე ღმერთი არის
თურმე მგზავრათ ეჩვენება.

—

— შენ რომ სადილი გაჭამო
რა მადლში ჩამივარდება:
ოქროს ქამარი გარტყია,
ერთ ხმელეთად დაფასდება,
ეგ გაყიდე ხური ჭამე
სადილს კიდე მოგირჩება.

—

მცხოვარი გამობრუნდა
მის მემცხვარეს მიადგება:
— მემცხვარე, ხური მაჭამე
შიმშილითა სული მხდება.
იმ დალოცვილს მემცხვარესა
ხირს სიცილი წამოსკდება:
— შინ შამობძანდი, ბატონო,
ეგ სტუმარს არ ეკადრება,
ორი აბრამის ხური მაქვს
სადილს კიდეგ მოგვირჩება,

— მე ხმელა ხურსა ვერა ვსჭამ
ცხვრის მაწონი არ გექნება?
— ოცი ათას სული ცხვარი
აბრამისა ჩამბარდება,
თუ იმას რამე მოვაკლო
ბოლოს სული წამიწუდება.
— ამ ოცი ათას სულ ცხვარში
ერთი როგორ არა გხვდება?
მემცხვარემ უთხრა: ბატონო,
ერთი ბერწი ცხვარი მხვდება.
— ბერწი იყოს მოიუვანე
ბერწი იყოს გადედდება.
იყო დვთისაგან ბძანება:
ქვეშ კრავები შეუჯდება,
ოთხი ქვაბი მოიწველა
ძეხუთე თავს გადასკდება.
დაჯდენ ტკბილათ ხური ჭამეს
ქრისტე დმერთი იდოცება:
— მემცხვარე შენი ჩოშბახი
ალვის ხეთ გადაგექცევა,
შენი ერთი სული ცხვარი
ათას სულათ გადიქცევა.

—

ორმოცი დღე დაუწეევდა
აბრამს სტუმარი არ ხვდება.
აბრამი დადონებული
თვის მეუდეს ეუმბება:
— გადი, სარა, გაიხედე
თუ სტუმარი მედირსება.
იმის ცოლი კარს გამოვა
შორს გაჭვრეტით იუსირება:

— ორი სტუმარი კი მოდის
ჩიტის ტოლათ ძლიერსა ჩნდება.
აბრამ დმერთი მოიდოცა
სამდთოობას შეპირდება.
—ვმადლობ ჩემ წილ მოწყალესა,
თუ სტუმარი მედირსება.
მაშინ დასცალა უფალმა
ისევ მგზავრათ მიაღგება.
— აბრამო, კარში გამოდი
დვთის სტუმარი გედირსება.
ეს რომ აბრამმა გაიგო
დედა მიწას დაესკვნება.
— შინ შამობძანდი, ბატონო,
ეგ სტუმარს არ ეკადრება.
რომელიც რომ კარგი ხბო ჭუაკ
იმ აბრამის დაიკვლება.
სადამო ყამი მოვიდა
ი ძროხა მოელინება.
ძროხამ ევირილი დაიწყო,
ქრისტე დმერთი ეუბნება:
— აბრამ! აბრამ! გეუბნები
ძროხა რაზე გიბდავლდება.
— ეს ხბო მისი შვილი იყო
ძროხა იმას მიჯავრდება.
გადასახა ქრისტემ ჯვარი,
ხბო კი ძუძუს მივარდება.

—

აბრამ იყო ასი წლისა
იმას შვილი ენატრება,
დაბოცვილი ქრისტე დმერთი
კიდევ მგზავრათ ეჩვენება.

— ამდენი შენი ცხოვრება
არ ვიცი ვიდას დარჩება,
სუფეველაფერი ბევრი გაქვს,
მაგრამ შვილი გენატრება.
ეს რომ აბრამმა გაიგო,
დედა მიწას დაესაკვნება
— ნეტავ შვილი გაჩნდებოდეს
შვილ წელს სადმოოთ გაიზდება.
აბრამს ვაჟი გაუჩინა
შეეთესი რა იქმნება.
— შვილ წელიწადს შენთვინ იყოს
მერე სადვოოთ გაიზდება.
შვილი წლისა რომ შეიქმნა,
თვის დედაკაცს გაუტეხდა:
— დედაკაცო! დედაკაცო!
ე შვილი რადთ გვეზდება,
შვილ წელიწადს ჩვენთვინ იყო
ახლა სადვოოთ დაიკვლება.
დედას ელდა გულზე ეცა
ჯავრით კრიჭა არ ეხსნება.
დედა წუხს და ბირს იკაწრავს
დღე-დამ ტირილითა დნება.
— ეგ რომ სადვოოთ დაიკვლისო,
ნეტა ჩვენ რადა დაგვრჩება?
— არ იქნება, დედაკაცო!
ღვთის ბირობა არ გატეხდება.
სინოხ მოაზე რომ შევიდენ,
ეს ისაკი ეუბნება:
— მამაჩემო! მამაჩემო!
სამდვოოს თავი არ უჩნდება?

ჩვენ აქ ვიცდით, რას უფურებთ,
ქვაბი დულს და წყალი შრება.

—

დახედე ჩვენი აბრამი
თურმე დანას ელესება,
— მამაჩემო რადაც იცი,
რატომ ბირად არ გეთქმება?
— რადა გითხრა, რა ვქნა, შვილო,
სისხლი შრება, გული ჭკნება,
დაგკლა, აბა როგორ დაგკლა,
შვილი ძლიერ მენანება.
— უხდა დამკლა, მამაჩემო,
თორემ უფალს ეწყინება;
მაგრათ შემკარ, მამაჩემო,
საძრახობა არ მექნება,
კალთას სისხლი არ მოგეცხოს,
სამდვეთოობა წაგიხდება!..
აბრამ კალასწევს ქოჩორსა,
ველში დანა მიესვლება;
დანა მაგრათ გამოუსვა,
დანას ბირი არ ეჭრება.

—

შვიდჯერ იჭექა შვიდმა ცამ,
ზედ ვარსკვლავი კალიურება,
კალმოხედა ქრისტე დმერთმა:
დახე აბრამ რასა შვრება,
ერთი ცხვარი კალმოკიდა
ათას ფერათ აუვადება!
— ეს დაკალი ეგ ბაშვი,
შვილი ფეხზედ დაგიდგება!...

დვთის ვედრება —სამსახური,
აგრე კარგად მოგიხდება!..

—

მაშინ გაჩნდა სამდვთოობა,
ქვეყანაზე მორიგდება,
ერთმანეთში მისვლა-მოსვლა
უველა მაშინ გაგვიჩნდება!...

იობის ლექსი

*
* *

ოობ იეო დვთის ნათლული,
ტოლ ჭეკვდა მონა დვთისა,
ჭეკვდა შვიდი ვაჟიშვილი
ხუთი ქალი სახე მზისა!..

უველა ერთს დდეს დაეხოცა,
ერთი ადარ დარჩა ძირსა..
ოობი დმერთს შემდეროდა:
ერთიც არ სთქვა ძვირი დვთისა.

—ჩემშარიტათ დვთის ბრძანებას
ჩემი ბედი არა დირსა!..
მან მომცა და მან მიიღო,
ისევ მისად დაითვლისა.

ი დაწუეული ეშმაკი,
იქვე უზის მუხლთან ძირსა,
ოობ გადაგწვია სახლი,
სარაია დასცეს ძირსა!.

ჯორ-აქლემი სულ დაგეწვა
ნალ-ლურსმანი ალმასისა;
მინდორს ცეცხლი მოეკიდა,
თვარა იწვის შენი ცხვრისა.

იობ ლხინი არ მოშალა,—
სამსახური ზეციერ ღვთისა.
— რახან ცხვრის ჯოგი დამეწვა,
სამდვთო გადახდილა ღვთისა! .
იობმა ღმერთს შეშინდერა...
თავის უფალს მადლი მისცა.
იობ ისე გადარიბდა
კარზე ვედარ გამოდისა.
იობს მატლი დაეხვია
ათას ხუთას ფერადისა,
ზოგი ძვალსა ეწებება,
ზოგი რბილზე გადმოდისა.
ორი მატლი ჩამოკარდა,
იქ დაეცა მუხლის ძირსა,
ციყვანა—თავს დაისვა,
—შენი სარჩო აქ არისა!
რბილი წამე, ძვალი ხარი—
ვამი ნუ გაქვს სიკვდილისა.
თურმე ისე გადარიბდა,
ტოლი მისი ბედსა სცდისა:
თხოვნით ხალხში მოკრეფილ ბურს
თითო დუკმად მიაწვდისა.
ერთი ბური კი იყიდა,
ერთი ბური ოქროს თმისა.
წინ ეშმაკი შეეყარა
თურმე ბურსაც გაუტვლისა;
როცა იობს მოუტანა,
იობ შეკრთა გულის თქმითა:
—ქალო, ეგ ბური ვინ მოგცა
ბური არის იუდისა,

ჩვენ რომ ეს ბური შევწამოთ,
ჩვენ დავრჩებით ეშმაკისა.
ბური კატეხა იობმა,
იქვე ძალსა გადუგდისა,
შეწამა ძალმა თუ არა,
ძალი იქვე გახეთქისა.
ი დაწყევლილი ეშმაკი
კიდევ უზის მუხლის ძირსა.
— იობ უფალს რა ასმე,
სარჩო მოგცა ყოველისფერისა!..
ან ქვე რადა აწყენიე,
რომ ყოლიფერს გაგაცალისა.
იობმა დმერთს შემომდერა,
თავის უფალს მადლი მისცა:
— ათასი ბევრი მაწვალოს,
მე ვერ ვიტევი დვთისა ძვირსა,
ეს სიტყვა რომ დასრულა,
ეშმაკ ნატრად დაიწვისა.
მაშინ ოთხი ანგელოზი
ხორციელათ შაისხმისა,
ფიცხლავ წამობძანდებიან
იქ დაუჯდეს მუხლის ძირსა.
— იობ, დახე, არ გვეგონა,
არ იტყოდი დვთისა ძვირსა.
ძველი მკვდრები გაგიცოცხლოთ,
თუ სხვა მოგცეთ სახე მზისა?
— არ იქნება, ბატონებო,
გაცოცხლება ძველი მკვდრისა!
თუ გაცოცხლდეს ძველი მკვდრები
შეგვექნება შავი დღისა.

იმ შვიდ დღესა შვიდი ვაჟი,
უკრავ-უგინებლად მისცა,
სამოთხის კარი აჩვენეს;
გასაღები ხელში მისცა.
იობი, მისი ცოდ-შვიდი
დღესაც სამოთხეში ჯისა!
წაწყმედა და ცხონებაი
დღესაც იმას ეკითხვისა.

---

* *
*

ჯამბარაძ სთქვა: ჩემი საქმე,
მაბეზღარასმც მოსვლაა:
წვიმა მოვა დავგრძელდები,
მზეც ცეცხლივით მომედება.
დედანმა სთქვა: გვერდზე ცურვით
გვერდის ტუვი გადამძვრება.
ფრიეემ სთქვა: ვედისა ბრუნებითა
ნეკნები სულ დამეტვრეგა.
ბარმა სთქვა: ქვეშ-ქვეშ ტარებით
მე მზის შუქი მენტრება.
საკვეთმა სთქვა: წინ ტარებით
წინა კბილი არა მრჩება,
— მეტის მეტი ოკვლებ ცემით
თავის ტვინი დამებნევა.
რვილმა სთქვა: წელში წევნითა
წელის მძივი გადამწყდება.
დირდიტმა სთქვა: ძახილითა
კრინტი ხმა ადარა მრჩება.
ხარმა სთქვა: ეგ საქმეები
სულ ჩემს კისერს გადახდება.

მეხრე ულელს გამიჯდება
თუ არ გასწევ არ იქნება.
დაწუევლილი გუთნის დედა
კვალ-კვალ გაშიეურება.
იმას არ ეტყვის მეხრესა
ულიერობა ნუ იქნება.
მოვა და ისიც გამარტყავს
თუ არ გასწევ არ იქნება.....—
დაიხოქა და შებლავლა
მალლა მეუფეს ცაშია.
მე რაგიეო შე საწყალო
მეც მაგინებენ ცაშია.
მე მაშინ მოგეშველები
სული გებჯინოს ეელშია,
დაედგაო რკინის ულელი,
მოჭეეანდეთ ჯოჯხეთშია.
იქ არის კეხრი-გენია
გარს ახვევია გველია
ალ-მამის მეულიარეს
ეელზედ ჭკიდია გველია,
იმასაც არ აჯერებენ
შიგ ულევს ენის წვერია.

* *
*

გიორგი მეფისაშვილო *)
სარდალო მწყემსებისაო,
ისე არაგებ მწყემსებსა,
როგორც რომ მამა შვილსაო,

---

*) ვარიანტი

მოჯამაგირემ შეჰფიცა
ფიცი სთქვა მეუფისაო:
გუშინ რომ ტუეში ვიუავო
ნავადი ვნახე მტრისაო.
შე წუწკო შეგშინებია!
ვაი შენ გიორგისაო!
გიორგიმ ცხვარი აჭუარა
იმ მთას მიადგა ძირსაო.
ქოხები დადგა ისეთი
ათას თუმნათა ღირსაო,
იუალარათა გიორგიმ
ტურფათ აბირებს ძალსაო,
თავს ლეკები წამოადგნენ
განთქმული დადისტნისაო.
წამოიხედა გიორგიმ,
დაუდუბივარ ძალსაო.
წამოხტა და დატრიალდა,
როგორც ბორბალი წუდისაო,
კაფა და კაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო.
დიდმელებს მიგუშვენით,
არიან ჩვენი მხრისაო,
ორი ურჯულო ბელადი
დიდმელებშია ზისაო,
ორივემ ერთათ ესროლეს
გიორგი დასცეს ძირსაო...
კარგი ამბავი მიუვათ
იმ ჩემ ცოლსა და შვილსაო,
წადით და აგრე უთხარით:—
გიორგის არა უშავს-თქო,

ხელში უჭირავს ჩონგური
სამოთხიერ კარსა ზისა-თქო...
შენ, ჩემო ძმაო მამუკი,
ბალდი ხარ ოცის წლისაო
შარა გზას ნუ გაუვენებ
იმ ჩემ ცოდსა და შვილსაო.

*
* *

დიდება და მადლი დმერთსა,
როშ ბრძანება იქმნა დვთისა:
ბელადები შეიყარნენ
ჯარისა და ბელაქნისა,
ნიახურაზედ კავიდნენ
შემოჭვარეს ბირი-ბირსა,
ქართველთ ჯარი დაამწკრიეს
ომარ ხანი იტინისა:
ჩვენ ეგენი რას გვიზამენ
მებოსტნეს უგავს ჯარია.
გაიმარჯვეს ქართველებმა
ჩოხა ჩაიცვეს შავია.
აკრიბეს გულ ნაბდები
დაკერილი ტხვრის ტყავისა.
ამოტირდა ალექსანდრე
მარგალიტის ტრემლსა დვრისა:
აბა რისთვის ვუდალატე
მეფეს, ბაბაჩემის შვილსა!
რისთვის ავუევ თავძერასა—
მე ხომ მოინახვდა ჩემი ჭკვისა!
რატო არ ვიჯუქ თელავში
დვინიო არ ვიბანდი ბირსა.

დარეჯანი დედოფალი
მდოცავია მაღლა დგომისა.
კიორგის ეჩხუბებოდა
რისთვის გამითათრებ შვილსა?
რად არ მოამგვრი ალექსანდრეს
არ მოამისომ მუხლის-ძირსა?

*
* *

ციციონმა სთქვა სიწყალმა
რა ვიეჭეხო ჩემი დღისა,
ოცი წლისა რომ შევიქენ
ოსტატი ვარ ზარბაზნისა.
რუსთ ხემწიფე კაცს მიგზავნის
ტახტზედ დაგსვამ განა ძირსა,
წელზედ ხმალსა შემოკაერავ
ჰირი ჭქონდეს ალმასისა.
მოდი, ციცი, მეფობა ჭქენ
ჯერ ხმელეთის, მერე ზღვისა.
მე მეფობას როგორა ვიქ,
ბრძანება არ არის დგომისა.
ბევრი ჯარი კამაყოლე
უფრო ბევრი ეაზახისა,
ბელადები კამაყოლე,
გზა მასწავლონ შავი ზღვისა.
შავ ზღვის ჰირას რო ჩავიდნენ
ჯარი დახვდათ ჩერქეზისა.
ციცის კაცი მოუვიდა:
შემრიგდები? მოამცემ ჰირსა?
მე შენ როგორ შეგრიგდები—

გერ ვიხილავ მეფის ხირსა!
ორასი სოფელი დავწვი
თათრისა და სრაბისა,
კაცის ხსენება გავაქრე
არ გავუშვი სამი დღისა,
შილდას ჯარი ჩამოვიდა
სადილობისა ხანია,
ეს დავითი ჭაგჭავაძე
დრუჟინის თავი კაცია.
ისე შეშინდა დავითი
ციხეს შელალა ჯარია....
კისის ხევი აირეს
ბრიალებს ცხენის ნალია.
წავიდნენ ჩამოიუვანეს
ბაგრატიონის ქალია,.
ეს რა მიუავი, შამილო!
რაზედ მომიკალ შვილია?
სასახლე რისთვის დამიწვი,
თუ მიგეავს ჩემი თავია?

*
* *

როცა აშენდა მანგლისი
წყარო ადინეს მალითა,
შიგ სასახლები დამართეს
თეთრათ დალესეს კირითა.
ერთი აქაური ქალი
წარბსა იდებავს ინითა.
ადგა და ქალმა დასწყევლა
თავის კოკობის ულითა:

„მეცხვარეს გაგიწყდეს ცხვარი
ჩინჩრახითა და ჭირითა,
ტუაგებს ვერ ასდიოდე
მაგ შენი ხანჯლის შვილითა,
ასვლა-ჩასვლას უნდებოდე
მაგ შენი კუდა ვირითა.“
ადგა მეცხვარემ დასწყევლა
თავის საწყალი ჭირითა:
„შენ წაგიყვანონ ლეკებმა
. . . . . .
ლამე გზა გამოკლებინონ
და ცის ქვეშ გმალონ დღისითა..
წინ დაგხვდნენ მეცხვარეები
თეთრი მოჭქონდეთ ქილითა,
დაგიხსნან, წამოგიყვანონ
ჩანგურითა და სტვირითა.“

*
* *

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
შენ სიცოცხლე, ჩემო ემაო,
როცა ჩემი ნება არის
შენი თავი ხელთა მეავო!..
ჭირვეულად მოგცემ სიცხესა,
გონებიდან დაგკარგავო,
ჭურის მალს დაგიკარგავ,
არც ენაში გაგმართავო.
მნახავებსაც გვერდს მოგისხამ,
სცა თვისი-ტომი გეავო.

*
* *

დაწუევლილი ომარ-ხანი
არ დაგვიღევდა ბალასა,
ალაზნის პირზედ ჩავიდა
იქ ადუდებდა ყაკასა.
სანამ რუსის ჯარი მოვა
ტეტხლებს უდებდა კავკაზსა,
ქარ-ბუქიც რომ წამოტეხა
სახლებსა ხდიდა ჩალასა.

*
* *

ეორანამ უთხრა ლალასა
ჩვენ ნუ ვიზამთო ამასა,
ჩვენი პატრონი კაკვიკებს,
უდელს კაკვითლის მაკარსა,
ჯაკ რცხილის სახრეს მოკვიჭრის
მოკვარტუამს მაკარ-მაკარსა.
დაბრუნდა ლალა კამბეჩი
დაადგა ძრახის ლალასა,
წინ შვინდი შემოეყარა —
კავექქეები ამასა.
შვინდმაცა უთხრა ლალასა:
თავი მანებე მე აქა,
თორემ აკიტეხ ბალანსა.
ბევრი ტაბიკი მოსტეხე
ვერ მოსტეხ ჩემისთანასა.
შვინდი და ლალა ეძკერნენ
შვინდი ატანდა ძალასა.
ლალამ ამოიქედურა

ბევრდები დაჭვრა ალაგსა,
მეძრახეები მორბიან
სულზედ ასწრობენ დანასა.
ერთი ვირიც მოიუვანეს,
ალა ავეიდოთ ამასა.
ვირმა ურიუეხი დაიწეო:
მე ვერა ვზიდამ ამასა.
შენ რა გინდოდა, კამბეჩო,
მინდვრად გეძოვნა ბალახი,
ხანდისხან ხილად გენახნა
ალზევანი და ქალაქი.
შენც რა გინდოდა, ბატრონო,
ცოტა რამ ხარჯი გეწია,
თითო აბაზი გეძლია
თითო კალანჩხა ბზეშია.
ეს მაშინ მოგაგონდება
შავი ალმართის უელშია,
შეგებას წვრილი მოზვრები
იკლაკნებოდენ წელშია.
ბეჭირის წითელი შოლტი
ატრიალებდე ხელშია,
ეძახოდე: ბშუდი, ბშუდი!
სულიც ჭბჯენოდეთ უელშია.

* *
*

ალალაანთ ქალი ვიუავ,
მჭედლიაანთ ბატარძალი,
სახედრები დამეკარგა
ხელში დავიჭირე ტარი.
ვენახების ბოლოს ჩავედ

იქ დამიხვდა რუსის ჯარი,
ათიცარმა დამინახა
გვერდზედ მოამიხუნა თავლი.
ათიცარი მე წამომწვდა
ჩემ რძალს დაეხვია ჯარი.
ხიზანაშვილსა ივანეს
მხარზედ გაუდვია ზარი,
წააქციეს ბევრი სტემეს
სულ ზედ დაამტვრიეს სარი.

*
* *

მე რომ ცოლი დამინიშნეს
მამაჩემის ნახულია,
მოუვრის სანახავათ წავედ
მე და ეს ჩემი ცხენია.
მოუვარე გამომეგება
ცხენსა მიტაცა ხელია,
სიდედრი გამომეგება
ეელზედ გადამდო ხელია.
ქვეშ ხალიჩა გამიშალეს
მოქარგული და ბრელია,
მოიუვანეს გვერდ დამისვეს
კამბეჩზედ უფრო სქელია.
მაშინვე შემომიძახა,
თან გვერდში წამკრა ხელია,
ქევხო ის კაბა მიეიდე,
თორემ რუსები ბევრია.
ვუეიდე ქევხომ ის კაბა
თურმე არ შემოსწვდენია,
ზედ შემოგარტეი სარტეელი

წითელი ჭიათურია;
ცხენს შევსვი წამოვიყვანე
ცხენს მომიწყვიტა წელია,
დედა ჩემი მიეგება,
ბირში ჩაუდო შაქარი,
მთლად მოაგლეჯა თითია.
მამა ჩემი მიეგება —
მთლად დააგლეჯა წვერია.
წიწილები ხომ დაწყამა,
კრუხებსაც მაჭმო ხელია,
ქალებში დაუკვეხია:
ერბოსაც მივუკვ ხელია.

*
* *

შაქრიანს ჯარი შევიდა,
დამე ბნელია ტიალი,
როსტომსა ხელი მოგვიჭრეს
დაწყებინეს ფრიალი.
გრემში კაცი გავაქციეთ,
ის ჩვენთვის სამაგრე არის.
ნათარეულის ბიჭები
თოთიანი და ხმალიანი,
ნაშალში წამოგვეწივნენ
ომი ასტეხეს ტიალი.
კარიჭაშვილი შაზიი
იქა სდგას ლურჯ-ჩოხიანი,
კავარდა ლეკის მაყარა
შარმაზანს მოხვდა ტიალი.
იმისი დედა სტიროდა:
„შვილო სად წახვედ მშიერი!

„ნეტავი არ გამეგონა
„შენი მარცხი და ზიანი.“

*
* *

თამარაშვილი პეტრია
მონადირეა ჩვენშია,
სანადიროთ წასულიეო
პეტრე-პავლობა დღეშია.
პეტრიამ ნახა ლეკები
ჩამალულიუვნენ ტუეშია.
მოდი გაიქე, პეტრიავ,
შენ მალე მიხვალ ჩვენშია.
გზირნი მდევარს იძახიან,
რადგან ის მათი წესია.
სესიაშვილი თევდორე
გაზრდილი თავადებშია,
ბიჭებს გაუძღვა ბელადათ,
ავიდა გონჯათ ხევშია.
ქაიხოსრო მოურავი
ამაყი არის უმებშია,
ნიშა ცხენს მოაფრინდება
გაიჩეჩება მხრებშია.
ის პაპაშვილი გიორგი
ლამაზი არის ჩვენშია.
მოურავი ეუბნება:
„ადე გიორგი წავიდეთ
ომი ავტეხოთ ტუეშია.“
გამოგუვები, მოურავ,
იუ არ დამაგდებ ტუეშია.
ცოდი ეარადებს ართმევს

ეამალავს მალდა სხვენშია.
მე შავი არ მომიხდება
ამ გამოკანკლულ წელშია.
გიორგი ტოლს ეუბნება:
რა ვაუკაცისა წესია!
იარაღები მომეცი —
უნდა წავიდე ტყეშია.
ტოლი იარაღს არ აძლევს
სტირის — „ვარ შავსა დდეშია“!
ჩვენი გიორგი არ იშლის,
კაჭვევა მოურავს ტყეშია.
ლოპოტის ხიდის თავშია
ჩატვივდნენ შავსა დდეშია,
ვინც კი გავიდნენ გადმითა
მოაკლდნენ მზიან დდეშია,
ლეკებმა სულ მთლად გასწევიტეს
და გადაეარეს ტყეშია.
გიორგიც იმათში მოჭეეა —
ტოლი გადასწედა წელშია.
გვერდელაშვილი კაკაცი,
ბატარა სომხის ბიჭია,
რო მოვიდა შუა ხიდთან
შეატეო თავსა ჭირია,
ისკუმა შიგ შუა წყალში
მონახა წელისა ძირია,
დმერთო, შენ გადამარჩინე,
მეკვს ერთი დედა ქვრივია.
ლეკებმა თოფი ესროლეს,
მაგრამ ის დამალულია.
გადარჩა მხდალი კაკაცი
ხარობს საწყალი ქვრივია.

*
* *

მეფე ერეკლე

ერეკლე ჩვენმა ბატონმა
შეჭეარა დიდი ჯარია,
ორბირ ააგსო ქიზიეი,
ხელთ მისცა წინამხარია.
ალაზანს კადო ჯიშირი,
ზედ გადის ჩვენი ჯარია.
მიეედით გამოგვაქციეს,
როგორც ნადირმა ცხვარია,
ბატონის ცხენი მოგვიკლეს
შუბლში ჭერეს ზარბაზანია.
ბატონი ქვეითი მოდის
დაუბჯენია ხმალია;
დათუნამ ცხენი მიართვა
ოთხიეე დაჯედილია:
„ბატონო, ცხენზე შებრძანდი,
თუ გიეეარს ჩემი თავია“.
ბატონო, ცხენზედ შებძანდი,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია.
„დათუნი ქალაქს ჩამოდი,
თუ გინდა სიხუქარია“.
დათუნი ქალაქს ჩავიდა —
ეხვევა დედოეალია.
„შენი ჯირიმე, დათუნი,
შენ მომირჩინე ქმარია“.
მამული დიდი უბოძა —
წისქვილი საკუთარია.

ვეზირის შამა.

(ზღაპარი ს. ქურთაში გაგონილი ე. ბასიშვილისაგან)
ჩაწერილი ა. მაჩაბლისაგან.

იყო და არა იყორა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ქალაქში ერთი ხელმწიფე. ერთ დღეს იმან გაცა ბძანება, რომ ამაღამ სანთელი არავინ აანთოსო. მართლაც, მეფის ბძანებას ვინ გასტეხდა, არავინ აანთო. ხელმწიფემ იმ ღამეს დაიარა ქალაქი, სანთელი ვერსად ვერა ნახა ანთებული, გარდა ერთის სახლისა, სადაც ქონის სანთელი ენთო და ცოლ-ქმარნი იყვნენ შინა. ქმარი მოკეცილი იჯდა, ცოლს მის კალთაზე ეძინა, და ქმარი ზევიდან დასცქეროდა. მეფეს ეწყინა მათი თავხედობა, რომ სანთელი ენთოთ, დაასვა ნიშანი მათ კარებს, გასწია და შინ წავიდა. მეორე დილას გაგზავნა მსახური და უბძანა: „ამა და ამ სახლზე ნიშანი დავსვი, წადი და იმ სახლიდგან კაცი მომიყვანეო.“ წავიდა მსახური, დაიჭირა ის კაცი და წიმოიყვანა. მოიყვანა ხელმწიფესთან, ხემწიფემ უბძანა: „რა გამოხველი მაგისთანა, რომ ჩემი ბრძანება გასტეხე და სანთელი არ ჩააქრეო?!“ — „რა ვქნა, დიდებულო ხელმწიფევ,“ მიუგო იმ კაცმა — „ჩვენ ცოლ ქმარი ვართ, ერთმანერთის სურვილი ვერ მოგვიკლავს, მთელი დღე ერთმანერთის ცქერით ვერა ვძღებით, ღამეა და იმან უნდა ჩემ მუხლზე დაიძინოს, შუალამემდის მე ვუყურო, მერე მე დავიძინებ მის მუხლზე და ის მიცქერი-

სო. ამ სიყვარულს ვეღარ ვუღალატებთ, და ნურც თქვენ შეგვრისხამთო.

მერე ხელმწიფემ უბძანა: „წადი, ის შენი ცოლი მოჰ. კალ, მერე მე ჩემს ქალს შეგრთამო“.

— არა, დიდებულო ხელმწიფევ, მე ჩემს ცოლს ვერ მოვკლამო, მიუგო იმ კაცმა.

— წადი მოკალ, თუ მოჰკლავ, ჩემს ქალს შეგრთავ, და ამ ქალაქს მზითვათ მოგცემ, თუ არა და დაგახრჩობ.

— თქვენი ნება გახლდეთ, უმჯობესია დამახრჩოთ, ვინემ ჩემს ცოლს მოვკლავდეო. მესამეთ კიდევ უბრძანა, მაგრამ კაცმა უარი განუცხადა.

მერმე, ის კაცი რომ გაისტუმრა, იმის ცოლი დაიბარა, და მასაც იგივე ჰკითხა, რაზედაც ის პასუხი მიიღო, რაც ქმრისაგან. მერე უბრძანა: „წადი შენი ქმარი მოჰკალ, მოდი და ჩემს ვეზირს შეგრთამო.“ ცოლმა, ორჯელ უარი უთხრა, და მესამედ კი დაჰპირდა, რომ მოვკლამ ჩემ ქმარსაო ტ წავიდა. ხელმწიფემ მალე კაცი დაადევნა, რათა არ მოეკვლევინებინა ქმარი, მაგრამ ვინამ კაცი მივიდოდა, ცოლს კიდეც აესრულებინა ხელმწიფისაგან მიცემული ბძანება და თავის ხელით მოეკლა ქმარი. რა გაიგო ეს ხელმწიფემ, დიდათ ეწყინა, განრისხდა ქალებზე, რომ ასეთი ორგულები ყოფილან ქალებიო, შეემზადა სხვაგან წასასვლელად, დაიბარა თავისი ვეზირი და უბრძანა: „მე ექვს თვეს აღარ დავბრუნდები, ამ ხნის განმავალობაში რაც ქალებია სულ გასწყვიტე, აგრეთვე ჩემი და შენი ცოლებიცაო, თუ არა და შენ დაგახრჩობო,“ უბრძანა და წავიდა. დაღონდა ვეზირი ძალიან, მოემზადა დასახოცათ, მაგრამ, რომ შეხედავდა დედოფალს ტ თავის ცოლს, სიმწარით გული შეუღონდებოდა და თავს ანებებდა. ბოლოს

ვადასწყვიტა ისევ თავი ჩამოერჩო, ვიდრე იმ ქალებს ამოს-წყვეტდა. დალონებულმა ვეზირმა შესჩივლა თავის ასი-ოცი წლის მამას, ყოველივე საქმის გარემოება. მამამ უბ-ძანა: „ნუ გეშინიან, შვილო, ხელმწიფე რომ მობძანდეს, გაგირისხდეს და დასარჩობად გაგამზადოს, მოახსენე: დი-დებულო ხემწიფევ, მამაჩემი დაიბარე და ორი სიტყვა ათქმევინე, მერე როგორც გნებავდეს ისრე ასრულდეს თქვენი ნებათქო. მერე მე ვიცი რასაც მოვახსენებ.“ მობ-ძანდა მეფე, რა ნახა ქალები თავის ქალაქში ცოცხლები, მეტათ განრისხდა, გაუწყრა ვეზირს და მისი დახრჩობა უბრძანა.

— დიდებულო მეფევ, მამაჩემი დაიბარეთ, ორი სი-ტყვის ნება უბოძეთ, და მე ჩემის ხელით გავაკეთებ სახრ-ჩობელასო, სთხოვა ვეზირმა. შეისმინა იმისი თხოვნა, დაი-ბარა ვეზირის მამა. იგი იახლა, თაყვანი სცა ხემწიფეს და მოახსენა: „დიდებულო ხემწიფევ, ნება მიბოძე ცოტა რამ ამბავი მოგახსენოთ. გაგიძრახამთ ქალების დახოცვა ქრმების ორგულობის გულისთვის, მანდ ერთი მაგალი-თი მოხდა ქმრის ღალატობისა, და ერთგულობისასაც ერთ ამბავს მოგახსენებთ, და დაიწყო შემდეგი:პაპაშე-ნი რომ ხელმწიფეთ ბრძანდებოდა, მე მას ვეზირად ვახლდი. მის მეფობის დროს ყოველ დღე თითო კაცი იკარგებოდა ამ ქალაქიდგან, ვერავინ მიაგნო თუ რა ჰკარ-გავდა კაცსა. ბოლოს, ალბათ, დაკარგვის ჯერი ჩემზედაც მოსდგა და ერთ ღამეს ვიღამაც დამიძახა, რომ გარეთ გავსულიყავ. წამოვდეგ ლოგინიდგან გარეთ გამოსასვლე-ლად, მაგრამ ცოლმა დამიჭირა და მითხრა: „ჩაიცვი ტან-თა“, ჩავიცვი, „აისხი იარაღი, შესჯეგ ცხენსა და ისე გა-დიო“. ავისხი იარაღი ლ გაველ გარეთ ცხენით. კარებზე მომდგომოდა ახალგაზდა ჯერ უწვერული კაცი, რომ-

ლის სილამაზე, სიახოვნე, მისი მოხდენით მხედრობა და იარაღთ შეკაზმულება კაცს დააფეთებდა. მიბძანა: „წამომყე მეო“ მეც ნება უნებურად გავყე უკან, მისმა ბძანებამ გასჭრა ჩემზე. მიდის და მივდევ უკან, თან ჩემ გულში ვფიქრობ: ვაიმე, ახლა-კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე. გავივლე გულში იმისი მოკვლა, მივუახლოვდი ჩემი ლახტით, რომლითაც დოლაბს დავანაჭუჭებდი ხოლმე, დავუქნიე ერთი და მკლავში მოხვდა, მაგრამ თითქო აქ არაფერი ამბავია, მომიბრუნდა და მითხრა: „ბიჭოს! რა კენჭებს ისვრიო?“ მე გავშრი, მეორეთ დავუქნიე — ბეჭში მოხვდა, მან კიდევ გამიმეორა: „რა გინდა, ე, კენჭებს რათ მესვრიო?“ შემეშინდა ძალიან, დავუქნიე მესამეთ ტ თავში მოხვდა, მაინც არა დაეკლდა რა, მამიბრუნდა და მითხრა: „გამანებე თავი, ტყვილათ ნუ მეთამაშებიო!“ მე დიდათ გავკვირდი და წავყე უკან. ბევრი ვიარეთ ტ ჭრთ მარმარილოს კოშკთან მივედით, გადმოვხტით ცხენებიდან. ამ მხედარმა მითხრა: „ჯერ პური შეეჭამოთო.“ ვჭამეთ პური, მერე მითხრა: „აქ მდევები ცხოვრობენ, ამათ ვეღმები ტ თუ შენ ილბალზე გავიმარჯვე, ხომ კარგი, ტ თუ არა, — დაიღუპებიო. ამისთვის ღმერთს შეევედრე, იქნება შენი ლოცვით მეშველოს. ჯერ პირველად რომ ჩავალ, ერთს დავიყვირებ, მაშინ შეევედრე ღმეთსა ჩემის დახსნისთვისა, მეორეთ რომ ჩემი ხმა გაიგონო, კიდევ მაშინ, და თუ მესამეთ შემოგესმა ხმა, ძალიან ილოცე და ეხვეწე ღმერთს, ეგება მოვრჩეო, თუ ვერ გაიგონო ჩემი ხმა, იცოდე ხიფათი მოგელის და გაიქეცი, ეგება გაასწრო მდევებს და გადარჩე სიკვდილისაო“. გასწია და შევიდა კოშკში, მე დავიჩოქე და ღმერთს შეევედრე, შემომესმა ხმა, უფრო მხურვალედ ვეხვეწებოდი ღმერთს, რომ ეშველა მისთვის. შემომესმა მეორედ და მაშინ კიდევ შევაპყრე ღმერთს

ხელები და შეეახვეწე. შესწყდა ხმა, ვსთქვი: ახლა კი დავიღუპე, მაგრამ ამ დროს ოდნავ კიდევ გავიგონე იმისი ხმა და მაშინ უფრო მხურვალეთ ვილოცე. პატარა ხანს უკან ამოვიდა ჩემი მხედარი სულ მთლად გასისხლიანებული და გახარებულმა დამიძახა: „ილბალი გქონია, გავიმარჯვეო“. მივიდა წყალზედ, დაიბანა პირი, გაიბანა ტანისამოსი, მოვიდა, დაისვენა, შესჭამა პური, შევსხედით ცხენებზე და გამოვემგზავრეთ. ბევრი ვიარეთ, ცოტა ვიარეთ, მოვედით ერთ მშვენიერ მარმარილოს ქვასთან, მისი სისპეტაკე კაცს თვალსა სჭრიდა. იქ დავდექით. მერე მითხრა: — „აბა ასწიე ამ ქვას და გადმოაგორე“. დავებღაუჭე — მაგრამ ძვრაც ვერ ვუყავ. მერე მითხრა: „მე ქალი ვარ, აქ ჩემი ქმარი მარხია, რომელიც მაგ მდევებმა მომიკლეს და ახლა შენ ილბალზე ძლივს სისხლი ავიღე. დარდი აღარაფრისა მაქვს, ჯავრი ამოყრილია, ეხლა მეც აქ უნდა დავიმარხოვო“. გადმოაბრუნა ქვა და მითხრა: „დამეც გულში ხანჯალი და მომკალ“! მე რას გავბედავდი, უარი უთხარი. ეწყინა ძალიან, ანაზდათ დაიცა თვითონ ხანჯალი და მოიკლა თავი. მე იგი დავმარხე. დავადე როგორც იყო ქვა, შევსჯექ მის ცხენზე და მოვედი აქ მშვიდობით. მას უკან აღარავინ დაკარგულა. აი ასეთი ერთგულობა გამიწია ჩემმა ცოლმა, რომ უიარალო არ გამგზავნა და იმან კიდევ ამოიყარა ქმრის მკვლელობის ჯავრი და მერე თავი მოიკლა და ქმართან დაიმარხა“. გაათავა ვეზირის მამამ ეს ამბავი, დაუფიქრდა ხელმწიფეც, გაეხარდა, დაიბარა ვეზირი, აკოცა და ქალებს კაი თვალით დაუწყო ყურება. ჭირი იქ დავტოვე, ლხინი აქ მოვიტანე, ნაცარი იქა, ფქვილი აქა.

მ ე დ ა ი რ ე

(ზღაპარი გორში ჩაწერილი მერაბიშვილისაგან).

იყო ერთი მედაირე, თუმცა თავისი ხელობა კარგადა ჰქონდა შესწავლილი, მაგრამ რადგანაც არავინ იცნობდა, ვერსად მიდიოდა. ერთხელ ცოლმა უთხრა: რას ჩამოგიკიდია დაირა და შეჰყურებ, წადი იქნება იშოვნო რამეო. ქმარმა დაუჯერა და წავიდა.

ერთს ადგილას სასახლე დაინახა და იქ მივიდა, თურმე იქ ქორწილი ჰქონდათ გამართული. დაჯდა ჩვენი მედაირე და დაუკრა დერეფანს ქვეშ. ხალხს გაუკვირდა: ესე მშვენივრად ვინ უკრავსო? იპოვნეს მედაირე და აიყვანეს ქორწილში.

მოაგროვა ოც თუმნამდინ ფული და როცა ქორწილი გათავდა, წავიდა სახლისკენ. შინ რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა: რა იშოვნეო? მედაირემ ჩაიყო ჯიბეში ხელი, უნდოდა ფული ამოეღო, მაგრამ ხახა-მშრალიკი დარჩა... თურმე ჯიბე დახეული ჰქონიყო და ის ფულები სულ დაჰკარგოდა. ბევრი იდარდა, მაგრამ რაღას იზამდა. გაჯავრებული დაჯდა და ექვს ნაკეცი ტილოს ჯიბე დაიკერა.

წავიდა მეორე დღეს კიდევ რისამე საშოვნელად. წვიმამ მოასწრო, გზა დაჰკარგა და ერთს ტყეს მიადგა. იქ ერთი კაჭკაჭი დაიჭირა, ჩაისვა უბეში და გააგრძელა გზა. ამასობაში კიდეც დაღამდა. ერთს ადგილას სინათლე დაინახა და იმას მიჰმართა. დააკაკუნა კარები და

შეეხვეწა სახლის პატრონს: სახლში შემიშვიო. იქიდგან ქალმა უპასუხა: ქმარი შინ არა მყავს და როგორ შემოგიშვავ?.. ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, როგორც იყო შეუშო, დაუგო კარებს უკან ლოგინი და უთხრა: წაიძინეო. მედაირეს ძილი არ მოუვიდა, მაგრამ ისე აჩვენა თავი, ვითომ ეძინა. ქალიც არ აპირობდა ძილს, ეტყობოდა, ვიღასაც უცდიდა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ვიღაც კაცი ძღვნით. ქალი მიეგება და უთხრა: სად იყავ, ჩემო საყვარელო? ისიც მიესაყვარლა. მერე გაშალეს სუფრა და დაიწყეს ქეიფი. ქეიფის შემდეგ ქალმა სუფრა აალაგა, ლოგინი გაშალა და დაწვნენ. ყველა ამას მედაირე ყურადღებით უცქეროდა.

არ გასულა ბევრი ხანი, რომ კიდევ კარების კაკუნი მოისმა. ქალმა უთხრა თავის საყვარელს: ჩქარა ქვევრში ჩაძვერი, თორემ ჩემი ქმარი მოგკლავსო. ჩასვა ქვევრში და თვითონ კარები გაუღო ქმარს.—ამდენი ხანი რად მაცდეინე? ჰკითხა ქმარმა. „მეძინა და ვერ გავიგეო!“ ცბიერად უპასუხა ცოლმა. ქმარმა ტანისამოსი გაიხადა და მედაირეს თვალი მოჰკრა.—ეს ვინ არის? „ვიღაც კაცია და აქ თავი შემოაფარაო“—მაშ გააღვიძე და ვახშამიც მოგვიტანე, ერთადა ვჭამოთო. ქალმა სუფრა გაშალა, ააყენა მედაირე და დასხდნენ პურის საჭმელად. მაგრამ რა გამოვიდა? ძაღლიც-კი არ იკადრებდა იმისთანა მჭადს, როგორიც იმათა ჰქონდათ. მედაირემ მოუჭირა ხელი კაჭკაჭს, რომელიც უბეში ჰყავდა და დააჩხავლა. მასპინძელმა ჰკითხა: ეგ რას ამბობსო? მედაირემ უპასუხა: თახჩაში კარგი ქადები არის, მოიტანეთ და ჭამეთო. შეგზავნა ცოლი და გამოატანა. მედაირემ კიდევ დააჩხავლა.—რას ამბობსო? იმან უპასუხა: თახჩაში ტიკჭორით ღვინოა გამოატანეთ და და-

ლიეთო, გამოიტანეს ისიც. მედაირემ დაუკრა თავისი დაირა ⁄ დაიწყეს ქეიფის გატარება. ქადები როცა შემოაკლდათ, იმან კიდევ მოუჭირა ხელი და დააჩხავლა. ასე, რომ, ამ ნაირის ეშმაკობით, მედაირემ გამოაზიდვინა დედალი, ნაზუქები, შემწვარი ინდაური და სხვა. ბოლოს მედაირემ კიდევ დააჩხავლა და როცა მასპინძელმა მიზეზი ჰკითხა, მან უპასუხა: „თქვენ რომ ქვევრი გაქვთ, იმაში მაბანავეთო.“ გააცხელეს წყალი, ჩასვეს კაჭკაჭი ქვევრში და ზევიდგან მდუღარე დაასხეს. კაჭკაჭიც შიგ ამოიფუფქა და შიგ მჯდომი კაციც.

მეორე დღეს, როცა მასპინძელი წავიდა, ქალმა უთხა მედაირეს: ხომ იცოდი, რომ იმ ქვევრში კაცი იჯდა, რათ დამღუპეო. მედაირემ გადაჰფიცა.—მაშ წაიღე მაინც და დამარხე, რომ არავინ გაიგოსო. მედაირემ უთხრა: ერთი კარგი ვირი მომეცი და ასი თუმანი ფული და მაშინ დავმარხამო. რას იზამდა. ,,როგორც გიჭირდეს ისე გიღირდესო'' აიღო და მისცა.

მედაირემ შეკაზმა ვირი, შესვა ზედ გაფუფქვილი კაცი, გაამაგრა ⁄ წავიდა. მივიდა ბოლოს ერთ კალოსთან. მუშები პურსა სჭამდნენ. მედაირემ მიუშვა ვირი ხვავზედ და თვითონ მოეფარა. დაინახეს მუშებმა ვირი და შეუტიეს: კაცო, ხვავს რათ აჭმევ, ისევ ბზე აჭამოვო? მაგრამ მკვდარი კაცი რას გაუგონებდა. გაჯავრდნენ მუშები და შემოჰკრეს ჯოხი ვირს, ვირი შეხტა ⁄ გადმოაგდო მხედარი. გადმოხტა მაშინ მედაირე და დაიწყო ყვირილი: რაზედ მომიკალით ბებერი მამა, რაზედ დაიდეთ ჩემი ცოდოო? გამოვიდნენ თვითონ მებატონეები და ამშვიდებდნენ, მაგრამ მედაირე არა სცხრებოდა. მაშინ უთხრეს: ორმოც თუმანს მოგცემთ და მკვდარსაც ჩვენ დავმარხამთო, ოღონდ ნურავის გააგებინებო. მაგ-

რამ მედაირე გაიძახოდა: არ მინდა ფულებიო. დაახარბეს: ას თუმნამდინ რომ ავიდნენ, მაშინ დასთანხმდა მედაირე. დამარხეს მკვდარი, გადაუხადეს ქელეხი, მისცეს მედაირესაც ასი თუმანი და გაისტუმრეს.

იარა მთელი დღე და დაუღამდა ერთს დანგრეულ წისქვილთან; შევიდა შიგ და კუთხეში წამოწვა. შუაღამე რომ გადავიდა, შემოვარდა დათვი, მიათრია წისქვილის დოლაბი და მიადო კარებს. მედაირეს შეეშინდა, მაგრამ მერე სთქვა: რაც მომივა, მომივა, ამ ბოლო დროს დაირას მაინც დაუკრავო. ჩაჯდა ხვიმირაში და დაუკრა. დათვი დაფრთხა, კარებს ველარ მიაგნო, რომ გაქცეულიყო და დაიწყო ტრიალი და ხტუნვა.

ამ დროს მოდიოდა ერთი სოვდაგარი და აუარებელი სიმდიდრე მიჰქონდა თან. დაირის ხმა რომ გაიგონა, სთქვა: ამ დანგრეულ წისქვილში რა ამბავი არისო და მიაწვა კარებს. ქვა გადავარდა და გაიღო კარები. გამოვარდა დათვი და ვაიქცა. მედაირემ დაიწყო ღრიალი: რაზედ დამანელე? ხელმწიფისაგან მყავდა მობარებული, თამაშობას ვასწავლიდი და შენ კი ეს საქმე მიყავი! სოვდაგარმა დაუწყო ხვეწნა: გაჩუმდი, კაცო, ნუ გააგებინებ, თორემ ორივეს მოგვკლავს; იქნება რამე მოვახერხოთო. მედაირე კი გაიძახოდა: რა უნდა მოვახერხოთ, ეხლა რაღა პასუხი უნდა გავცე ხელმწიფესაო? სოვდაგარმა უთხრა: ერთი საპალნე ოქრო-ვერცხლი წაიღე და მიართვი, იქნება დაგჯერდესო. მედაირე თავისას გაიძახოდა. ბოლოს ორი საპალნე შეაძლია. მაშინ კი დაშოშმინდა მედაირე და გამოართვა ორი საპალნე ოქრო-ვერცხლი და წამოვიდა. მოვიდა შინ და დაიწყო ცხოვრება ბედნიერად.

ას თორმეტის წლის მოხუცი

(ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძისაგან)

სოფელ წირქვალში-სათაბაგროში ცხოვრობს გლეხი გრიგოლ სვიმონიკას ძე კენჭოშვილი ას თორმეტის წლისა.

— „რუსი რომ შამოვიდაო, — მიამბო გრიგოლამ — მაშინ კარგი მოზდილი ბიჭი ვიყავი, მახსოვს კარგად თუნდა გუშინ ყოფილიყოს. ხმა გავრცელდა, რომ ყოველიფერს იტაცებენ, რაც ძვირფასი და მოსახმარი საქონელიაო. ყოველი კაცი მალავდა ტყეში ნივთებს, რომ რუსებმა არ წაგვართვანო, ისე იყო ხალხი შეშინებული. ვინც ვერ მოასწრო დამალვა ნივთების, სულ ერთიანად ართმევდენ. მე და დედაჩემმა წავიღეთ ყველა ნივთები, სპილენძეულობაც კი თან გავიყოლეთ. ეს მიდამოები მაშინ უშველებელ ტყით მოფენილი იყო და ჩვენც ერთ მიუდგომელ უტეხ ტყეში ჩავმარხეთო. ჩვენსას ვერას მიაგნეს და სრულათ გადაგვირჩა ნივთებიო“ და სხვა, და სხვა. ეს ოთხი წელიწადია რაც კბილი დაჰკლებია, თვალთა ხედვა და ყურთა სმენა მშვენიერი აქვს, მხოლოდ ცოტა წელში მოხრილა, სიარულით კარგად დადის. ხნავს, თოხნის ტ ბარავს კარგათ, არც ერთი მუშა კაცი ჯერაც ვერ ჯობნის მუშაობაში.

კახეთში ყოფილა ტ ბატონ-ყმობის დროს გაქცეულა, მერე ისევ კახეთში ყოფილა მეზვრეთ, შამილობის წინ, დასწრებია შამილის ომშიაც.

— „იმ შემთხვევასაც დავესწარი როცა იასე მოურავმა დიდ ძალი მუშა გაიწვია კახეთში, გავაზის მთაზე, განიერი გზის გასაყვანად. ბრძანა: გზიდან ორას-ორას ნაბიჯზე აქეთ-იქით გაგვეკაფა ტყე და ისე განიერათ წაგვეღო ნაკაფი, რომ ლეკებს გზის ახლოს ჩასაფრება აღარ შეძლებოდათ.

„ამ გზაზე ერთ ნაწილს მუშა გლეხობას ძალზე დალალულს მძინარეს დაესხენ ლეკები, წითელ პარასკევს ღამეს, ⁄ სამასი მუშა გლეხი ისე ამოწყვიტეს, რომ ერთი მოამბე აღარ გადარჩენიათ. მეორე დღეს რომ ჩამოვედით და ვნახეთ, მთლათ სისხლში ცურავდენ საწყლები.

„გვიბძანეს და ამოგვათხრევინეს დიდროვანი ორმოები და სულ ერთიანათ შიგ ჩავყარეთ ერთად დახოცილები და ისე დავმარხეთ.

„მახსოვს კარგა ციციონის შემოსვლაც.

,,როცა ვარანცოვი მობძანდა მაშინ ჩემ ბატონს, თავად როსტომ წერეთელს (აკაკის მამას), ვახლდი.

მანსხადგა

ეს № 12 (მეთორმეტე ნომერი) უკანასკნელი წიგნია „კრებულის“ და ამით თავდება ერთი წელიწადი. შარშან ამ დროს, როდესაც პირველად შეუდექი გამოცემას, ხალხში ბევრი სხვა და სხვა აზრი ვრცელდებოდა: „ვერ გამოსცემს!“, „ვერ შესძლებს“. „ხელ-მომწერლების ფული შემოეჭმევა“. „ერთ-ორს გამოსცემს და მერე თავს დაანებებსო“ და სხვანი. დახმარების ბ შემწეობის მაგიერ, მეც გულს მიჩაგვრიდენ და ხალხსაც გულს უტეხავდენ. ვინ იყვენ ეს პირები და რა უნდოდათ?.. ვინ და ჩემი მეგობრები და ჩემთვის კარგის მსურველები!.. ნუ გაგეცინება მკითხველო!.. ბევრჯელ, როცა კაცს გულით ენატრება რამე, ნამეტანი სურვილი და ნდომა, გულში რაც უძევს, მისს წინააღმდეგს ალაპარაკებს: „ვაი თუ არ იქნეს“ მაგიერ დაღონებულად: „არ იქნება“ „არ შეიძლებს აძახებს“.. არ გინახავთ ავათ მყოფის პატრონი, რომ „არ მორჩება“ იძახოდა მის სანეტაროზე, მაგრამ გულში-კი სულ სხვა ედვა და ღმერთს ევედრებოდა. სწორეთ ამ გვარივე სიყვარულითა და თანა-გრძნობით ხელ-მძღვანელობდნენ ისინიც, ვინც მე შარშან კიჟინას მაყრიდენ, თვარა შური, მტრობა ხელ-შეშლის სურვილი და სხვა რამ ამ გვარი არა-სიკარგე რა წარმოსადგენი და სათქმელია ჩვენში და მით უფრო მოწინვე წრეში?—აი, არ გამართლდა მათი ეჭვი!.. დარწმუნებული ვარ დღეს იმათ უხარიათ და მეც მადლობასა ვსწირავ. ერთი კი მაკვირვებს: ამ ორმოცი წლის განმავლობაში

მისთანა არა მიკისრებია რა საზოგადო, რომ მისთვის მეღალატებიოს და ცუდობა ჩამედინოს და რა საფუძველი ჰქონდათ, რომ მაინც და მაინც გულს იტეხდენ? ჯირ-აქით... მაგრამ არ ღირს ამ „პორაქითზე“ ლაპარაკი!.. თუ ეს ჩემი „პარაქითი“ მოვალეობა ყველასთვის ცხადი არ ყოფილა და ვერ დაუნახავთ-რა, სჩანს მე მომჩვენებია ჯ არა ყოფილარა!.. ჯ როცა სიტყვას მოაქვს, მაშინაც არა ღირს იმაზე ხმის გამოღება! ასეა თუ ისე მე მაინც მადლობელი ვარ იმ ჩემი მოკიჟინეების.. ჩემის აზრით ის წინ დასწრებული მითქმა-მოთქმა და კიჟინა, რომ გაეგრძელებიათ ურიგო არ იქნება მათი მხრით, თვარა რასა ჰგავს?.. გამოვიდა თუ არა № 1 იმ დღიდან კრინტიც აღარ დაუძრავთ, აღარა უთქვამთ-რა, არც ავი და არც კარგი ჩემი, „კრებულის“ — შესახებ..

ეს სიჩუმე და ხმის გაკმედა ყველასთვის ცხადი შეიქნა და „კრებულის“ მკითხველებსაც თვალში ეჩხირათ. ხშირად მოგვდიოდა მათგან წერილები, რომლებითაც მიზეზს გვეკითხებოდენ. აი ერთი მათგანი: „საზოგადოდ მიღებულია და ჩვენ ჟურნალ-გაზეთებსაც ჩვეულება აქვთ, ყოველ-გვარ გამოცემის, გინდ უმნიშვნელოც იყოს, ავათ-თუ კარგად აღნიშვნა. და „კრებული“-კი, რომელიც ამდენი ხანია გამოდის, მოკლებულია მათ ყურადღებას და კრინტსაც არავინ ძრავსო“. ამ გვარი წერილები ბევრი მოგვდიოდა, მაგრამ ჩვენ რა პასუხი უნდა მიგვეცა სხვების მაგიერ? სიტყვით-კი რასაც აღიარებდენ, ზოგიერთი მათგანი, ის კი იმითაც ისე ჰქონდათ გაგონილი, როგორც ჩვენ: შიგა და შიგ მოკრძალებით აბზობდენ ნაცობებში: „მიტომ ვართ გაჩუმებული ჯ არა-სა ვსწერთ, რომ მოსაწონი „კრებულში“ არა არის რა და რომ სიმართლე ვსთქვათ და დავიწუნოთ, ავტორს

ეწყინება და არ გვინდა, რომ ვაწყენინოთ„—ჩვენი აკაკი არისო!“ ოჰ, პატიოსანო გულ-კეთილობავ! ტ ზდილობიანო ლმობიერობავ!. რა კარგი რამახარ?!! ამაზე მეტი სიყვარული და პატივის ცემა კიდეველა შეიძლება განა? საზოგადო საქმესა და მათ მოვალეობასაც კი ივიწყებენ, ოღონ „აკაკის არ აწყენინონ“ და გული არ დასწყვიტონ მართლის თქმით!!.

მადლობის მეტი რაღა მეთქმის, მაგრამ ვსძრახავ კი: არც მისთანა სიყვარული ტ პატივის ცემა უნდა, რომ საზოგადო კერძოსა და პირადს შესწიროს კაცმა?!. ხე იძლევა ნაყოფს და არა ნაყოფი ხეს და ერთ უმნიშვნელო ნაყოფში, რომ თვით ხე გასწიროს ძირიანად კაცმა, აბა რა მოსაწონია?. გონიერების წინაალმდეგი საქმეა!!. ასე გამოდის სწორეთ „კრებულის“ შესახებაც: თუ რიგიანი იყო რათ გაჩუმდენ? რატომ მეც არ გამამხნევეს და მკითხველებსაც არ მიუთითეს? და თუ ურიგო, რატომ მეც არ მამხილეს ტა მკითხველებიც არ გააფრთხილეს?. ასე იცის ნამეტანმა სიყვარულმა, აბრმავებს მოყვარეს! ჩემი კეთილის მყოფი მეგობრებიც, ჩემი სიყვარულით იყვენ დაბრმავებული და მეც ღმერთსა ვსთხოვ, რომ მღირსებოდეს და მენახოს მათი თვალის ახელა!.. რომ ყოველთვის გულის თქმას არ გადაჰყვებოდენ ხოლმე!..

ამ დალოცვის შემდეგ მიუბრუნდებით საუბარს ისევ პირდაპირ „კრებულის“ შესახებ. ხელ-მომწერთ სია ჩვენ კრებულშივე.. არის დაბეჭდილი და აქედან ცხადათ ჩანს, თუ ვინ იყო წლის განმავლობაში ჩვენი თანა-მგრძნობი ტ მკითხველი?.. 1) მოზარდული თაობა, 2) ქალები, 3) სოფლელები 4) დაბალის წოდების მუშა ხალხი, უმეტესად ღარიბი ტ ხელ-მოკლე, ხოლო არა თანა უგრძნობდენ: 1) მდიდრები, მაღალ-წოდების გვარიშვილები ტ 2) ფეხ-

მოდგმულ ინტელიგენციის უმრავლესობა. ეს სწორეთაც ასე უნდა მომხდარიყო: — მდიდარი და მაღალ-წოდების გვარიშვილები ვერას იპოვიდენ ჩვენ „კრებულში“ მათის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელს, ვერც არას გასართობს და ვერც მათთვის გამოსადეგს და მაშ რაღად უნდა გამოეწერათ?.. აგრეევ იმ ინტელიგენტებს, რომელთაც ევროპიელთა სხვა და სხვა სამეცნიერო თხზულებანი წისქვილის სარეკელასავით ხელში დაუჭერიათ აზრების ჩამოფქვის დროს, რათ უნდოდათ „კრებული?“ ჩვენ ჩვენდა თავად უამათოდაც, ჩვენი ხელ-მომწერლების მადლიერი და კმაყოფილი ვართ ჯ მზა ვართ მომავალშიაც განვაგრძოთ მათი სასურველი „კრებულის“ გამოცემა, თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა... ჩვენა გვყავდა „კრებულზე“ ხელის მომწერი სულ 1000, სრული გადამხდელი იყო 400, 300 მუქთი და დანარჩენი ნახევრისა და ზოგი მესამედ-მეოთხედისაც. მართალია, ჩემი შრომის ქირას არ ვიღებდი, არც რედაქციისას, (ჩემ სახლშივე მქონდა), მაგრამ მაინც ხელის მომწერლებისაგან შემოსულმა ფულმა ვერ დააკმაყოფილა გამოცემის ხარჯი და ჩემი სუსტი ჯიბიდან უნდა შემევსო ნაკლი. მომავლისთვის, ვიმედოვნებ, მასალა არ შემომაკლდება ჯ შრომასაც, რომ ავიტან ეს მგონი ცხადია, მით უფრო, რომ ჩემი სამი თვის მძიმე ავადმყოფობამაც ვერ შეუშალა ხელი „კრებულის“ გამოცემას. მაგრამ საქმე მატერიალური საშუალებაა. იმდენი ხელის-მომწერლების იმედი, რომ „კრებულის“ გამოცემას ეყოს ერთი წლის განმავლობაში, არც ახლა მაქვს. საჭიროა, რომ კერძო საცადისს მივჰყო ხელი და ამიტომაც რამდენიმე თვით იძულებული ვარ შევაჩერო „კრებულის“ გამოცემა. — მომავალი წლის პირველ იანვრიდამ გამოვსცემ და წელიც იანვრიდამ დაიწყება. ამაზე დაწვრილებით განსაკუთრებით განცხადება იქნება დაბეჭდილი და მანამდი კი მშვიდობით.

შეცდომის გასწორება.

პირველი განყოფილება.

გვერდი	სტრიქ.	ასრის	უნდა იყოს
11	3	რომ	რამ

მეორე განყოფილება

1	18	დადგინო	და დგინო
22	19	მიგხდენ	მიხვდენ
28	3	ტრალი	ტრიალი
30	9	უვავებული	აევავებული
37	13	გაგწირავ	გაგწირამ
39	9	განზრახ.	განზრახ
50	23	სხვისი რამ.	სხვისი რამ
51	14	თითო-ორორდა.	თითო-ორორდა,

მესამე განყოფილება

2	18	სილადო	ხილადო
3	9	აკაწკაებენ	აკაწკაწებენ

„განთიადი“ შეცდომით ასრის დაბეჭდილი ხელ-მეორედ.